

ქართველოს იულიოტანა


კულტურულ-საგანმანათლაპოვო, სამაცნეო ორ
ჰორალარი და მათოლარი ზერალი

ინტერნეტი ყველა სოფლის ბიბლიოთეკას

თანამედროვე ინტერნეტსერვისები ადგილობრივი
მოსახლეობისთვის



სახელმწიფო სისტემის
ბანკითარების სამსახური



საქართველოს პრეზიდენტის ხარისხის ფონდი



საქართველოს ერაկანობის
ეროვნული განაკვეთი



BEYOND ACCESS
Libraries Powering Development



IREX
Make a Better World

ჩაღთა სახეები
"ვეფხისტყაოსაცი"



სოფლის
ბიბლიოთეკარების
წარმატების
რეცეპტები

03260 ქავახიშვილი - 140





ურნალი წარმოადგენს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის ყოველკვარტალურ ორგანოს; ურნალი გამოიცემა ეროვნული ბიბლიოთეკის დაფინანსებით და უფასოდ დაურიგდებათ საჯარო ბიბლიოთეკებს; ურნალში გამოსაქვეყნებელი მასალები მიიღება მხოლოდ ელექტრონული ფორმით. აკრეფილი ტექსტი უნდა იყოს Sylfaen შრიფტით და გადმოიგზავნოს ელექტრონულ მისამართზე:
sakartvelosbiblioteka@gmail.com

ალექსანდრე ლორია - მთავარი რედაქტორი

სარედაქციო კოლეგია:

გურამ თაყნიაშვილი
გულნარა სტურუა
მაია მიქაბერიძე
მირიან ხოსიტაშვილი
რუსულან ასათიანი

ტექნიკური რედაქტორები:

მანანა გაბარაშვილი
მარინე შარაშენიძე

დაკაბადონება:

მარიამ ნათაძე

ყდის დიზაინი:

გიორგი გელაშვილი

საქართველოს ბიბლიოთეკა N4 (65) – 2016; გამოიცემა 2000 წლიდან
საავტორო უფლება: საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია.

ძვირფასო ბიბლიოთეკარებო!

იიწურა მრავალი საინტერესო მოვლენით, ნაყოფიერი შრომით დატვირთული 2016 წელი. მინდა, კიდევ ერთხელ გადავხედოთ განვლილ წელს, შევაჯამოთ ის და დავსახოთ სამომავლო გეგმები. საქართველოს საბიბლიოოთეკო ასოციაცია, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, კომპანია Beyond Access-თან და პრეზიდენტის ფონდთან ერთად აგრძელებს სოფლის ბიბლიოთეკების კომპიუტერიზაციის მასშტაბურ პროექტს - “ინტერნეტი უკელი სოფლის ბიბლიოთეკას”, რომლის ფარგლებში საქართველოს 15 რაიონის (აბაშა, აღმაშენი, ახალციხე, ბორჯომი, ზუგდიდი, ხონი, ჩხოროწყუ, ჭიათურა და ა.შ.) 70 ბიბლიოთეკა აღიჭურვა კომპიუტერებით და შეუერთდა ციფრულ მსოფლიოს. ამჟამად მიმდინარეობს მესამე, მონიტორინგის ეტაპი. ჩვენმა წარმომადგენლებმა უკვე ბიბლიოთეკების ნახევარზე მეტის მონიტორინგი განახორციელებს. 3 დეკემბერს ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში გაიმართა პროექტის დასკვნითი დონისძიება. მოხდა პროექტის შეჯამება და სამომავლო გეგმების დასახვა.

ბიბლიოთეკების კომპიუტერიზაციასთან ერთად, მიმდინარეობდა ტრენინგები სოფლის ბიბლიოთეკარებისთვის. მრავალმა მათგანმა შეისწავლა კომპიუტერული პროგრამები. ისწავლეს ტექსტის აკრეფა, ცხრილებზე მუშაობა, პრეზენტაციების მომზადება, სარეკლამო კამპანიის წარმოება, აღვყარების და ა. შ. 15-მა ბიბლიოთეკარმა გაიარა IREX-ის მიერ ორგანიზებული ტრენინგების ტრენინგი (TOT). ისინი ახლა თვითონ ატარებენ ტრენინგებს თავიანთ რაიონებში და დიდი წარმატებითაც. ტრენინგები გრძელდება. 5-13 დეკემბერს ეროვნული ბიბლიოთეკის ლიბერთი დარბაზში ჩატარდება ელექტრონული მმართველობის ტრენინგები 80 ბიბლიოთეკარისთვის, მათ შორის კახეთის რეგიონის წარმომადგენლებისთვის, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთან ერთდ. მომავალში, დიდი ყურადღება დაეთმობა საზღვრისპირა, მაღალმთიანი და ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული სოფლების ბიბლიოთეკების აღდგენა-რეაბილიტაციას. პროექტში ჩართული არიან ადგილობრივი მუნიციპა-



ლიტერები, რომლებიც ფინანსურად უზრუნველყოფენ ბიბლიოთეკების საქმიანობას.

საჭიროა ბიბლიოთეკამ ფეხი აუწყოს თანამედროვეობას. ის უნდა გადაიქცეს მრავალფუნქციურ დაწესებულებად, კულტურულ-საინფორმაციო ცენტრად, სადაც არამარტო ტრადიციულად განათლების მიღება იქნება შესაძლებელი, არამედ ინფორმაციის მიღება, გამოცდილების გაზიარება. გაიზრდება სოფლის ბიბლიოთეკარის ფუნქციაც. ის დაქმარება სოციალური პრობლემების მოგვარებაში ადგილობრივ მოსახლეობას.

ამდენად, გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. იმედი მაქას, რომ პროექტის განხორციელებაში ჩართული სუბიექტების ერთობლივი ძალისხმევით შევეძლებოთ საქართველოს საბიბლიოოთეკო სისტემის შემდგომ მოდერნიზაციას.

ჩუსულან ასათიანი

საქართველოს საბიბლიოოთეკო
ასოციაციის პრეზიდენტი

**საქართველოს ბიბლიოთეკა №4 (65) - 2016
შინაგანი**

ოფიციალური განყოფილება

გურამ თავისი შენიშვნი - პირველი ოფიციალური 3

საბიბლიოოთეკო ტექნოლოგიები

მატევი ნოვაკი - მკითხველზე მორგებელი ბიბლიოოთეკის მოდერნიზაცია საქართველოში 5

საბიბლიოოთეკო ფონდები

ფერიდე კვაჭანტირაძე - გაფუფრთხილდეთ მემკვიდრეობას 8

მანანა გაბარაშვილი - დიდი და მნიშვნელოვანი წამოწყება - „წიგნი ყველა სოფელს“ 9

ფილოსოფიური ძიებანი

გულნარა სტურუა - მუდამ ახალი სიცოცხლით სავსეა 11

მარინე სამადაშვილი - ათასწლოვანი შედევრი უდაბნოთა ქალაქმყოფელზე 15

დედაენა - 140

რუსულან წაქაძე - დირსება „დედა ენისა“ 17

გურამ თავისი შენიშვნი - ივანე ჯავახიშვილის მოსაზრებები ი. გოგებაშვილის ნაშრომზე „ბურჯი ეროვნებისა“ 19

წიგნის ისტორია

ნინო ხევდელიძე - პარიზის სამეცო სტამბა 22

კორესპონდენცია

ინგა ფილაური-ლორიძ - ერთი დღე გორის საჯარო ბიბლიოოთეკაში 27

ივეტა თვალჭრელიძე - ზაფხული ქალაქის ბიბლიოოთეკაში 28

მერი გიორგაძე - ისრაელში ნამდვილი საქართველო ვნახე 29

ციცი ჯინჯიხაძე - ქუთაისის საჯარო ბიბლიოოთეკის კონფერენცია მასშტაბებს სცდება 32

ქეოგან ნიკურაძე - შეხვედრა იუბილარ კომპოზიტორებთან 34

თამაზ ნანიტაშვილი - მეტი გულისხმიერებით მოვეკიდოთ ბიბლიოოთეკართა შრომას 35

მაია სიმონიშვილი - „ფრთხის წერილებში“ ნაპოვნი წინაპართა სიცოცხლე 36

იუბილე

საბიბლიოოთეკო განათლების დიდოსტატი 40

გურამ თავისი შენიშვნი - ამაღლებული გონების შემოქმედი 41

რევიუ

დავით გიგინეიშვილი - ლონდონის საკონცერტო დარბაზებში 43

წარმატების რეცეპტები

დანჩხუთის რაიონის, სოფელ აცანას ბიბლიოოთეკარის რეცეპტი 46

ზესტაფონის რაიონის, სოფელ ქვედ საქარას ბიბლიოოთეკარის რეცეპტი 48

კალენდარი

2017 წლის დირსშესანიშნავი და საიუბილეო თარიღების კალენდარი 50

ქრონიკა

საქართველოს საბიბლიოოთეკო ცხოვრების ქრონიკა 52

ბიბლიოოთეკების საქართველო 55

ნებროლოგი

მზია ჭელიძე - უსაზღვრო ერთგულებით 55

ოფიციალური განყოფილება

ბეჭედი თაყნიაშვილი

პირველი ოფიციალური

საქართველოში საბიბლიოოთეკო საქმის ისტორიის ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე პირველად იქნა მიღებული კანონი საქართველოში საბიბლიოოთეკო საქმის შესახებ. 1996 წელს მიღებულ კანონი იურიდიული ტერმინოლოგიით ჩამოყალიბებულია საქართველოს საბიბლიოოთეკო სისტემა, დახასიათებულია ძირითადი საბიბლიოოთეკო ქსელები, ქვეყნის მთავარი და რაიონებში მოქმედი საბიბლიოოთეკო გაერთიანებები, რომლებიც ახორციელებდნენ მოსახლეობის საბიბლიოოთეკო და საინფორმაციო მომსახურებას გასული საუკუნის 90-იან წლებში. კანონი შედგება ცხრა თავისა და ოცდაცხრამეტი მუხლისაგან. მე-20 საუკუნის ის პერიოდი, როდესაც ამოქმედდა აღნიშნული კანონი, საქართველოში საბიბლიოოთეკო საქმე ხასიათდებოდა არსებითი მნიშვნელობის პრობლემებით, სინელექტო და გადაუქრელი საკითხებით, რაც უარყოფით ზეგავლენას ახდენდა მოსახლეობის საბიბლიოოთეკო მომსახურების ხარისხზე. უპირველეს ყოვლისა, მოსაგვარებელი იყო საჯარო (ყოფილი მასობრივი) ბიბლიოოთეკების ქსელის პარამეტრები, მათი ფუნქციონირების პრინციპები, დასაზუსტებელი იყო მათი რაოდენობითი მაჩვენებლები. კანონმა ზუსტად განსაზღვრა ბიბლიოოთეკების ფუნქციონირების ძირითადი პრინციპები (მუხლი, 3). ამ მუხლის ერთ-ერთი პუნქტის მიხედვით განისაზღვრა ბიბლიოოთეკების პოლიტიკური და რელიგიური ნეიტრალიტეტი, რითაც განთავისუფლდნენ ბიბლიოოთეკები პოლიტიკური ზეგავლენისაგან. კანონის ამოქმედების პერიოდისათვის დაიწყო საბიბლიოოთეკო დოკუმენტების ფონდების დეპოლიტიზაციის პროცესი. ბიბლიოოთეკები გათავისუფლდნენ ზედმეტი და არაპოლიტიკური პოლიტიკური შინაარსის გამოცემებისაგან.

კანონში მკაფიოდაა ჩამოყალიბებული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების როლი და ამოცანები მოსახლეობის საბიბლიოოთეკო და საინფორმაციო მომსახურების საქმეში (მუხლი 21). აღნიშნული მუხლის საფუძველზე ადგილებზე საბიბლიოოთეკო პოლიტიკას აწარმოებენ თვითმმართველი

ორგანოები. კანონში ასევე გარკვევითაა ჩამოყალიბებული ბიბლიოოთეკისა და მკიოხველის უფლება-მოვალეობები (მუხლი 10, 7).

კანონის დეტალური ანალიზი იმდენად მნიშვნელოვანი არ არის, რამდენადაც მისი აღსრულების საკითხი. როგორი ზეგავლენა იქნის კანონმა საქართველოს საბიბლიოოთეკო ქსელზე, როგორი დადებითი და უარყოფითი მხარეებით ხასიათდება საქართველოს მოსახლეობის საბიბლიოოთეკო მომსახურება კანონის მიღებიდან 20 წლის შემდეგ. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს საჯარო ბიბლიოოთეკების ქსელის მკვეთრი, არაპროპრიციული შემცირება საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში. კანონის მიღების პერიოდისათვის საქართველოში ფუნქციონირებდა 4200 საჯარო ბიბლიოოთეკა, სადაც ორგანიზებული იყო 45 მილიონამდე წიგნობრივი ფონდი. 2000 წლიდან მოყოლებული, დაიწყო აღნიშნული ტიპის ბიბლიოოთეკების ქსელის მკვეთრი შემცირება ყოველგვარი პრინციპებისა და ნორმების უგულებელყოფით, მოსახლეობის კანონიერი უფლებების დარღვევით. განსაკუთრებული შემცირებები აღინიშნა 2003, 2008, 2011 წლებში. ბიბლიოოთეკების ქსელის შემცირების საკითხს ყოველგვარი იურიდიული ნორმების დარღვევით ახორციელებდნენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები. ბიბლიოოთეკების გაუქმების საკითხს არ ათანხმებდნენ ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებთან. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით დაზარალდა შიდა და გვემო ქართლის საჯარო ბიბლიოოთეკების ქსელი. 1990-იანი წლებისათვის მოქმედი 3000 სასოფლო ბიბლიოოთეკებიდან 2016 წლისათვის ფუნქციონირებს დახალოებით 650 სასოფლო ბიბლიოოთეკა. საბიბლიოოთეკო ქსელი ძირითადად შენარჩუნებულ იქნა იმერეთის, გურიისა და სამეგრელოს, რაჭა-ლეჩხუმის მუნიციპალიტეტებში.

აქვე უნდა დავძინოთ, რომ 2012 წლის შემდეგ ზოგიერთ მუნიციპალიტეტში დაიწყო გაუქმებული სასოფლო ბიბლიოოთეკების აღდგენა. ეს ტენდენცია გრძელდება იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც ადგილობრივი ხელისუ-

ფლება ნაოლად ხედავს ბიბლიოთეკებისა და საზოგადოებრივი ინფორმაციის ცენტრების დანიშნულებას მოსახლეობის აღზრდისა და განათლების საქმეში.

კანონის მიღებიდან გასულია ოცი წელი. მისი, როგორც პირველი ოფიციალური დოკუმენტის ძალა და მნიშვნელობა გამოვლინდა იმ რეგიონებში, სადაც, როგორც აღვნიშნეთ, ადგილობრივმა ხელისუფლებამ სცნო კანონის უზენაესობა და მიუხედავად დაბალი სოციალური და ეკონომიკური პირობებისა, არ გააუქმეს სასოფლო ბიბლიოთეკები დიდ დასახლებულ ადგილებში. ორი ათეული წლის შემდეგ, რა თქმა უნდა, კანონი საჭიროებს ცვლილებებსა და დამატებებს. განსაკუთრებული, არსებითი კორექტირებაა აუცილებელი იმ მუხლებში, სადაც ჩამოყალიბებულია სახელმწიფოსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების პასუხისმგებლობა საბიბლიოთეკო ქსელის განვითარებისა და მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურების მდგრადირების საკითხებზე (მუხლი, 4, 21). ამ მიმართულებით, ვფიქრობთ, უნდა გაიზარდოს ადგილობრივი ხელისუფლების პასუხისმგებლობა მოსახლეობის საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მომსახურების კონსტიტუციური უფლებების დაცვის თვალსაზრისით.

თუ ობიექტურად შევაფასებთ იმ მდგრადირებას, რაც სახეზე გვაქვს საქართველოს ზოგიერთ მუნიციპალიტეტში, დავრწმუნდებით, რომ უხეშად ირლევა სოფლების მოსახლეობის იურიდიული უფლებები. იმ მუნიციპალიტეტში, სადაც ძირითადად შენარჩუნებულია სოფლის ბიბლიოთეკები, ამჟამად მიმდინარეობს მათი მოდერნიზაცია, ოპტიმიზაცია, ინერჯება ახალი ტექნოლოგიები. ამ მიმართულებით დიდ ძალისხმევას ავლენს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია, საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლება. მათი ერთობლივი გეგმის თანახმად, უახლოეს ორ წელიწადში ყველას სოფლის ბიბლიოთეკაში იქნება ინტერნეტი. საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ თავის მხრივ სოფლის ბიბლიოთეკებში გახსნა საზოგადოებრივი ინფორმაციის ცენტრები. შეიძლება დავასკვნათ, რომ საჯარო ბიბლიოთეკების ქსელი ამჟამად სრული, გეგმიური მოდერნიზაციის გზაზეა.

ბიბლიოთეკა რომ განვითარდეს, საჭიროა, უპირველეს ყოვლისა, იგი არსებობდეს როგორც დაწესებულება და ინფორმაციის ცენტრი. ასეთი დაწესებულებებისადმი მოთხოვნილება დღეს ერთობ გაზრდილია ყველა

ციფილიზებულ ქვეყნაში. ამ თვალსაზრისით მეტი კონტრლია საჭირო იმ მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელ ორგანოებთან, სადაც ფაქტიურად ჩაშლილია მოსახლეობის საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მომსახურება.

საბიბლიოთეკო პრაქტიკაში დამატებითი კონსულტაციები გახდა აუცილებელი. კანონის მე-9 მუხლის შესახებ, ბიბლიოთეკები დამოუკიდებლად განაგებენ საკუთარ სახსრებს. შეფერხება გამოწვეულია საკუთარი საბიბლიოთეკო ფონდების განკარგვის შემთხვევაში. ამ კუთხით ზოგიერთ მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვანი შეფერხებებია ჩამოწერილი საბიბლიოთეკო დოკუმენტების ბიბლიოთეკიდან გატანის მხრივ. ამ მიმართულებით განსაკუთრებით მძიმე მდგრადირებაა საჯარო სკოლებთან არსებულ ბიბლიოთეკებში. განათლების სამინისტროს სისტემის ბიბლიოთეკები ნაკლებად უწევენ ანგარიშს საქართველოს პარლამენტის მიერ შემუშავებულ კანონქვემდებარე აქტებს, ინსტრუქციებსა და სხვა სახის მარეგლამენტირებელ დოკუმენტაციას, რაზედაც პირდაპირ მიუთითებს კანონის მე-10 მუხლი.

კანონში მცავიოდ არის ჩამოყალიბებული ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკისა და კორდინაციული მუშაობის პრინციპები (მუხლი, 19). ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი ხარვეზებია სახელმწიფო საბიბლიოთეკო ქსელის დაფინანსების, კადრების მომზადება-გადამზადების, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების კოორდინაციისა და სხვა საკითხებში. აუცილებლობა მოითხოვს ამაღლდეს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს როლი და დანიშნულება ქვეყანაში საბიბლიოთეკო პოლიტიკის სათანადო დონეზე გატარების საქმეში.

კანონის სრულყოფილად გატარებისა და აღსრულებისათვის აუცილებელია შემუშავებულ იქნება კანონქვემდებარე აქტები. ამ თვალსაზრისით გარევეული სამუშაოები აქვს ჩატარებული საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას, თუ სამეცნიერო და ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკებს. საჯარო ბიბლიოთეკები თანამედროვე ტებაზე მინიმალური დონით უზრუნველყოფილნი არიან შესაბამისი მარეგლამენტირებელი დოკუმენტაციით, მეორედურ-ინსტრუქციული და ნორმატიული შინაარსის მასალებით. საბიბლიოთეკო პრაქტიკა გზადაგზა, ეტაპობრივად უფრო სრულყოფილ სახეს დებულობს. ქსელის ოპტიმიზაციისა და ბიბლიოთეკების განვითარების თანამედროვე ტენდენციები იმაზე

მიუთითებს, რომ ქვეყანაში საბიბლიოოთეკო პოლიტიკა დებულობს უფრო ეფექტურ ხასიათს, ვიდრე ეს იქნა უკანასკნელი 10-15 წლის წინათ. ამ მხრივ ყურადსაღებია ცენტრალური ხელისუფლებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მცდელობა ერთობლივი ძალისხმევა. ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოთა კოორდინაციული მუშაობის გააქტიურების პირობებში უფრო ქმედითი გახდება პირველი კანონი, როგორც საქართველოში საბიბლიოოთეკო საქმის მარგულირებელი იურიდიული საფუძველი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი საბიბლიოოთეკო საქმის შესახებ/საქართველოს რესპუბლიკა.-1996.-10 ივლ.; ქურნ.: „საქართველოს

ბიბლიოთეკა“.-2000.-№1.

2. თავნიაშვილი, გ. ადგილობრივი თვითმმართველობა და ბიბლიოთეკები//საქართველოს ბიბლიოთეკა .-2004.- №3.- გვ.4-6;

3. თავნიაშვილი, გ. საქართველოს საბიბლიოოთეკო ქსელი თანამედროვე ეტაპზე//ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის წელიწ-დეული, წ.2.-ქუთაისი.-2010.

4. თავნიაშვილი, გ. სოფლის ბიბლიოთეკები წინათ და ახლა//საქართველოს ბიბლიოთეკა.-2012.- №1.-გვ.25-28

5. ლორია, ა. „საქართველოს კანონი საბიბლიოოთეკო საქმის შესახებ“ და მისი დებულებების აღსრულების პროცედურები//საქართველოს ბიბლიოთეკა.-2011.- №2. -გვ. 4-5

საბიბლიოოთა ბიბლიოგრაഫი


მასში ნოვაცია

თანამდებობა თამაში ხელისში

მპითხველების მორგებული ბიბლიოთეკის მოღერნიზაცია საქართველოში

2014

2014-2015 წლებში წარმატებული საპილოებების პროექტის განხორციელების შემდეგ საქართველოს ოთხ ბიბლიოთეკაში ამჟამად მიმდინარეობს სოფლის ბიბლიოთეკების განვითარების კუთხით მნიშვნელოვანი რეფორმები. მიმდინარე წლის დასაწყისში 70-ზე მეტი ბიბლიოთეკა, რომელთა შორის ზოგიერთი საქართველოს შორეულ კუთხეში მდგრაжეობს, მომხმარებელს სთავაზობს 21-ე საუკუნის ინფორმაციული მომსახურების მოედ სპექტრს: ელექტრონულ მმართველობას, ინტერნეტზე წვდომას, ტრენინგებს და კომპიუტერით სარგებლობის უნარ-ჩვევებს. ეს ინიციატივა არის სხვადასხვა სამთავრობო უწყების ერთობლივი ძალისხმევის შედეგი, ორგანიზაცია IREX-ის დახმარებით. მომხმარებელზე მორგებული მიდგომა განასხვავებს მას სხვა მრავალი ტექნოლოგიებზე დაფუძნებული მოდერნიზაციის ინიციატივებისგან მსოფლიოს მასშტაბით. რა არის ის საიდუმლო



მარცხელი, რომელიც ძველი წიგნების საცავს თანამედროვე საინფორმაციო ცენტრად გადააქცევს.

ყველაფერი მომხმარებლისთვის აღიჭურვოს
იდეა ძალიან მარტივია. აღჭურვოს საჯარო დაწესებულება კომპიუტერებით და სხვა ICT ტექნოლოგიებით, რასაც შედგად მოჰკვება პროცესების ოპტიმიზაცია და ახალი მომხმარებლების მოზიდვა. საჯარო ბიბლიოთეკების უმეტესი რეფორმა მსოფლიოში იწყება იმის გათვალისწინებით, რომ ICT დანერგვა ბიბლიოთეკის რეფორმის მთავარი ქვაპუთხედია. მკითხველთა რაოდენობის შემცირება, გამოყენებელი აპარატურა და შიდა მენეჯმენტის პრობლემები ბიბლიოთეკებში ადასტურებს, რომ ეს არასწორი მიღება ტექნოლოგია საჭიროა, მაგრამ ეს არ არის ეველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი. გასული 10 წლის განმავლობაში, IREX დაქმარა არაერთ სამთავრობო სტრუქტურას მსოფლიოს მასშტაბით საბიბლიოოთეკო რეფორმების

განხორციელებაში. აյ საკვანძო საკითხია ის, რომ მთავარი რესურსები უნდა დაიხარჯოს შესაძლებლობების განვითარებაზე. ეს მიღებობა 6 ქვემოთ ჩამოთვლილი ელემენტისგან შედგება:

- ბიბლიოთეკებმა უნდა დანერგონ შესაბამისი ტექნოლოგიები

ბიბლიოთეკას აშინებს იმის საფრთხე, რომ არ გადაიქცეს მომხმარებლების ან არამომხმარებლებისათვის ვიდეო თამაშების ადგილად. მსოფლიოს მასშტაბით დადებითი მაგალითები სხვა ბიბლიოთეკებიდან გვიჩვენებს, რომ ასეთი შიშები უსაფუძვლოა. დღეს ყველა ასაკისა და ინტერესის მქონე მომხმარებელს მოთხოვნილება აქვს მოიძიოს ინფორმაცია ტექნოლოგიების დახმარებით. შიშის თავიდან აცილების ნაცვლად (აკრძალვები, კომპიუტერით სარგებლობაზე), ბიბლიოთეკებმა მომხმარებელს უნდა შესთავაზონ ისეთი მრავალფეროვანი სერვისი, ადგილობრივი მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებს, რაც შეარბილებს პოტენციურ ექსცესებს მათი წარმოშობის შემთხვევაში. IREX-ის ტრენერები მოედს მსოფლიოში უზიარებენ თავიანთ გამოცდილებას ადგილობრივ ბიბლიოთეკებში ენთუზიაზმის და ICT სერვისის დანერგვის კუთხით.



- ბიბლიოთეკარებს, რომლებიც მუშაობისას იყენებენ კომპიუტერებს, უნდა ჰქონდეთ ძირითადი ICT უნარები. იმის მოვარება შესაძლებელია ინტენსიური კომპიუტერული ტრენინგების მოდელის საშუალებით (ერთკვირიანი), რომელიც ხორციელდება ისეთი კომპანიის პარტნიორებთან ერთად, როგორიცაა Intel და - Microsoft. ასეთი ტრენინგები ფოკუსირებულია ისეთი საბაზისო კომპიუტერული ამოცანების შესრულებაზე, როგორებიცაა საძებნი სისტემის დახმარებით ელექტრონული ფოსტის გახსნა და გამოყენება, რეზიუმეს დაწერა, გამოსახულების რედაქტირება.

(განსაკუთრებით სოფლებში) იმისათვის, რომ ბიბლიოთეკარმა შეძლოს დამწევებებისათვის დახმარების გაწევა.

- საჭიროა სამუშაო პროცესის შეცვლა ბიბლიოთეკაში. ICT -ზე დაფუძნებული მომსახურება უნდა განახორციელონ ისეთმა ბიბლიოთეკარებმა, რომლებმაც იციან ასეთი დაგადებების შესრულება და რომლებსაც აქვთ ამის უნარი. ძალიან ხშირად, ახალი სერვისების განხორცილებას ავალებენ იმ ბიბლიოთეკარს, რომელიც იქ უკვე მუშაობდა (როგორც წესი საუკეთესო ICT უნარებით) ფორმალური რეგულაციების გარეშე. ასეთ სიტუაციაში ბიბლიოთეკარს უწევს დამატებით სხვა სამუშაოსთან ერთად ICT-თან დაკავშირებული დავალებების შესრულება, რაც აისახებასერვისის ხარისხზე. ბიბლიოთეკის ავტომატიზაცია (კატალოგზაცია, წიგნის გაცემა-დაბრუნება) და ამავდროულად ICT სერვისი კლიენტებისთვის არ მოითხოვს დამატებითი კადრების აყვანას. საჭიროა მხოლოდ დავალებების სწორად განაწილება ახალი რეალობის შესაბამისად. IREX სოავაზობს ბიბლიოთეკების დირექტორებს მენეჯმენტში მხარდაჭერას, რათა სწორად მოხდეს სამუშაო პროცესის დარეგულირება.
- ტექნოლოგიები უნდა იყოს მდგრადი. თუ კომპიუტერი დაზიანდება, ბიბლიოთეკას უნდა ჰქონდეს უნარი და რესურსი მათ შესაკეთებლად. ინტერნეტ კავშირის საფასური ბიბლიოთეკის ხარჯებში უნდა იყოს გათვალისწინებული. გარკვეული პერიოდის შემდეგ ტექნიკა უნდა გამოიცვალოს, რის გაკეთებაც უმჯობესია თანდათანობით და არა ერთბაშად. ამ საკითხში ადგილობრივი მთავრობის მხარდაჭერას დიდი მნიშვნელობა აქვს (მათ აქვთ ბიბლიოთეკის ბიუჯეტის კონტროლის ფუნქცია). ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანია, ჩაიდოს ინვესტიცია ძირითადი ICT სისტემის მოვლაში. უნდა მოხდეს ადგილობრივი ხელისუფლების თავიდანვე ჩართვა ინიციატივაში, რათა ბიბლიოთეკის დირექტორებმა ისწავლონ დაცვის პრინციპები.
- საბიბლიოთეკო მომსახურება უნდა იყოს „შეფუთული“ და განვითარებული. კომპიუტერების ქონა თავისთავად არ გულისხმობს მომსახურებას. სერ-



ვისი არის რეგულარული კომპიუტერის მოხმარების გაკვეთილები დამწყებოათ-ვის. ბიბლიოთეკამ უნდა შეითავსოს ის სერვისები, რომლებიც უკლავებელი მეტად სჭირდება საზოგადოებას განვითარებისათვის. მთავარი გამოწვევა არის ახ-ალი მკიონელების მოზიდვა. ამჟამად ათობით სოფლის ბიბლიოთეკა საქა-რთველოს მასშტაბით ამზადებს საინ-ფორმაციო ბანერებს, რომლებიც იწვევს მომხმარებელს მათი სერვისებით სარგე-ბლობისათვის.

- და ბოლოს, სერვისებში უნდა აისახოს საზოგადოების მოთხოვნილება და ბიძლიოთების დიზაინი უნდა იყოს მიმზიდველი. ბიძლიოთებარების უტარდებათ ტრენინგები საზოგადოების მოთხოვნილებების შეფასების მარტივი ტექნიკის დასაუფლებლად, რაც მათ დაეხმარება გაარკვიონ რომელი სერვისია უფრო მეტად შესაბამისი, ძირიადლირებული კვლევების ჩატარების გარეშე. ბიძლიოთების დიზაინი უნდა იყოს ორიენტირებული მცირე დანახარჯებზე (პუფები კომფორტისთვის, კედლების ფერი სიმყუდროვისთვის, მეტი სივრცე ვიზიტორებისთვის და ნაკლები თაროებისთვის).

საქართველო მხარს უჭერს საბიბლიოთეკო
მომსახურების ახალ ხდვას.

2016 წელს 70 საჯარო ბიბლიოთეკას ჩაუტარდა სპეციალიზებული ტრენინგი და გადამცა კომპიუტერული საბაზისო მოწყობის მიზანისთვის.

ბილობა და პრინტერები. შემდგომ თვეებში ბიძლიოთეკარები მიიღებენ კონსულტაციებს თავდაპირველ გამოწვევებთან გამკლავებაში. შედეგები უკვე თვალსაჩინოა, ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ტანიას ბიძლიოთეკა მდგრადირეობს ეთნიკურად მრავალფეროვან რეგიონში. ბიძლიოთეკა იზიდავს როგორ ქართველ, ახევე აზერბაიჯანელ მომხმარებელს მეზობელი სოფლებიდან ICT სერვისის მისაღებად. ლანჩხეუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ასკანას ბიძლიოთეკა ადგილობრივ მოსახლეობას ექსელის კურსებს სოავაზობს.

მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მისაქიველის ბიბლიოთეკა სოაგაზობს ელექტრონული ფოსტის მოხმარებას დამწყებებისთვის. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ საქარას ბიბლიოთეკაში Wi-Fi -ის ერთადერთი წერტილი. ელექტრონული მმართველობა, ინტერნეტ-ზე წვდომა, კომპიუტერის მოხმარების უნარ-ჩვევების კურსები და საგანმანათლებლო ღონისძიებები, რომლებიც ადგილობრივ სკოლებში ხორციელდება უკვე ნორმად იქცა სოფელის ბიბლიოთეკაში.

საქართველოს ბიბლიოთეკები და ხელისუფლების წარმომადგენლები ერთნაირად უჭერენ მხარს IREX-თან ერთად შემუშავებულ თანამედროვე საბიბლიოოთეკო მომსახურების ხედვას. ამ ინიციატივის განხორციელებაში რამდენიმე დაინტერესებული მხარეა ჩართული: პრეზიდენტის ფონდი უზრუნველყოფს კომპიუტერებით, პრინტერებით და სხვა ძირითადი ტექნიკით, ნაწილობრივ აფინანსებს მენეჯმენტზე გაწეულ ხარჯებს, იუსტიციის სამინისტროსთან არსებული სახელმწიფო სერვისების განვითრების სააგენტო აფინანსებს ბიბლიოთეკების განახლებას. მონაცემთა გაცვლის სააგენტო ელექტრონული მმართველობის ორგანო, წარგზავნის ტრენერებს, რომლებიც ბიბლიოთეკარებს ასწავლიან როგორ განახორციელონ მომსახურება ელექტრონულად. ეროვნული ბიბლიოთეკა მხარს უჭერს ინიციატივას, ღონისძიებების და ტრენინგების მასპინძლობითდა ყოველთვიურ ბიულეტენში სტატიების გამოქვეყნებით. საქართველოს საბიბლიოოთეკო ასოციაცია ანაწილებს კომპიუტერებს და მონიტორინგს უწევს ბიბლიოთეკებს.

პარტნიორების ასეთი ერთობლივი ძალის სხმევა ბიბლიოთეკის მოდერნიზაციის მცდელობაში უპრეცედენტოა თანამდერთვე საქართველოს ისტორიაში. ეს კარგი სიახლეა ბიბლიოთეკებისთვის, და კიდევ უფრო უკეთესი ქართული საზოგადებისათვის, რომელსაც ინფორმაციული მომსახურება სჭირდება.

საბიბლიოთეკო ფონდები

ფიზიკური სახელმწიფო

გავუფრთხილდეთ მემკვიდრეობას*

Q ეგლის სტატუსმინიჭებული წიგნების დაცვა ხორციელდება სახელმწიფოს მიერ. წიგნადი ფონდის მფლობელთა დაწესებულებებში წიგნი-ძეგლები გამოიყოფა დოკუმენტების საერთო კრებულებიდან დამოუკიდებელ ფონდებად, ქვეფონდებად ან ხორციელდება მათი სპეციალური მარკირება.

წიგნი-ძეგლების რეგისტრირებული კოდექტიები და ფონდები არ გქვემდებარება გადაცემებას ან ლიკვიდაციას კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ორგანოების სპეციალური ნებართვის გარეშე, თუმცა ფონდის მფლობელთა წინადაღებით, შესაძლებელია განხორციელდეს წიგნი-ძეგლების მეცნიერულად დასაბუთებული გადანაწილება სახელმწიფო წიგნსაცავების სისტემაში.

აქტუალობის დაკარგვის მიზეზით დაუშვებელია ძეგლის სტატუსმინიჭებული წიგნის საცავიდან ამოღება, ასევე არ შეიძლება ფიზიკური ცვეთის მიზეზით მათი ჩამოწერა. ყოველგვარი ცვლილება წიგნი-ძეგლების ფონდების შემადგენლობაში რაც დაკავშირებულია მათ გადაადგილებასთან, ასალი ძეგლების მიღებასა და ზოგიერთის დაკარგვასთან, დოკუმენტურად უნდა იქნეს დაფიქსირებული დაწესებულების - ფონდების მფლობელთა სააღრიცხვო შიდა უწყნალებაში (საინვენტარო დავორებაში) და ასევე ცენტრალიზებულ სახელმწიფო საცავების სისტემაში.

წიგნი-ძეგლების სახელმწიფო დაცვას აქვს სამი დონე: სახელმწიფო, რეგიონალური, ადგილობრივი. შესაბამისად: სახელმწიფო დონეზე უზრუნველყოფილია მსოფლიო მნიშვნელობის და ეროვნული მნიშვნელობის ძეგლების ფონდები (კრებულები); რეგიონულ დონეზე ხდება რეგიონალური მნიშვნელობის წიგნი-ძეგლების მეტნაკლებად სრული ფონდების ფორმირება და დაცვა; ადგილობრივ დონეზე ხორციელდება ადგილობრივი მნიშვნელობის ფონდების შექმნა და დაცვა.

შველა დონის წიგნი-ძეგლების სახელმ-

წიფო დაცვის ონადგომას უზრუნველყოფს ქვეყნის მთავრობა და კულტურის მმართველი ორგანოები.

წიგნი-ძეგლებით სარგებლობის, მათი გამოყენების ძირითადი პრინციპია შენახვის პრიორიტეტი თრიგინალთან წვდომის მიმართებაში.

განსაკუთრებული დელიკატურობით ხდება წიგნი-ძეგლების გამოყენება. ამ კატეგორიის წიგნებით სარგებლობის ძირითადი და უპირველესი პრინციპი - თრიგინალის შენახვის, მისი გაფრთხილების პრიორიტეტია. ამიტომ მათი გამოყენების საერთო წესები ითვალისწინება:

- ა) წყაროსთან ურთიერთობას მხოლოდ სამეცნიერო მიზნით. სხვა შემთხვევაში მხოლოდ სპეციალური ნებართვით.
- ბ) სპეციალიზირებული სამკითხველო დარბაზების არსებობას, რაც უზრუნველყოფს ძეგლების გამოყენების ყოველმხრივ კონტროლს.
- გ) ბიბლიოთეკის პერსონალის პროფესიული მომზადების არსებობას, რაც უზრუნველყოფს ძეგლების გამოყენების ყოველმხრივ კონტროლს.
- დ) წიგნი-ძეგლების ფონდების მფლობელები მკითხველთა მომსახურებას უზრუნველყოფენ გამოცემების ელექტრონული ვერსიების, ელექტრონული კატალოგებით, ქსეროასლებით. ექსპონატის ელექტრონული ვერსიების შექმნაც რეგლამენტირებულია მათი იშვიათობის და ფიზიკური მდგრადი მოვალეობის გათვალისწინებით.
- ე) გამოყენებში წიგნის ექსპონირებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს მისი დაცვის მრავალმხრივი პირობები. შენობიდან გატანის შემთხვევაში მოქმედებს სადაზღვევო პირობები. სადაზღვევო ხარჯები განისაზღვრება წიგნის საექსპერტო შეფასების საფუძვლზე.

* დასაწყისი: საქართველოს ბიბლიოთეკი, № 1,3.

ენერგეტიკული

დიდი და მნიშვნელოვანი წამოწყება - „წიგნი ყველა სოფელს“



ლიტერატური პროგრამის ავტორმა და
ინიციატორმა, არასამთავრობო ორგანიზაცი-
ის „სტუდენტური ერთიანობის“ ხელმძღვან-
ელმა ბექა დაქონიამ მოელი საქართველოს
ბიბლიოთეკების წიგნებით მომარაგების
იდეას ფრთა შეასხა და ამ დიდ წამოწყება-
ში ქვეყნის ყველა მოქალაქეს მისცა შესა-
ძლებლობა შეკრანა თავისი წვლილი.

რა ოქმა უნდა, ასეოთი მასშტაბური პროექტი განსახორციელებლად დიდ ძალის ხმევასა და რესურს საჭიროებდა. იდეის ავტორმა პროექტი ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდში წარადგინა. ფონდმა და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ არა მარტო გამოჰყვეს პროექტისთვის გრანტი, არამედ სრული მხარდაჭერა გამოუცხადეს ამ შესანიშნავ ინიციატივას და დღემდე აქტიურად განაგრძოს ერთიანი ძალის ხმელეთი მთელი საქართველოს წიგნებით აღდგურვას. ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის დირექტორი ირაკლი ქორელიძიანი ინტერვიუში ხაზს უსვამს - „ჩვენი მხარდაჭერით ადგილი აქს უკრეცხდენტო კამპანიას - „წიგნი კვლავ სოფელს““. „ამ სიკეთით დიდხანს მოვიწონებთ კიდევ თავს“ - განაცხადა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა - გარიელ ხეზიკაშვილმა.

პროექტს, დაარსების დღიდან მხარს უჭერს ილია ჭავჭავაძის სახელობის პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. ბექა დაურნიას ოქმით, ბიბლიოთეკაშის თანამშრომლების თავდაუზოგავი შრომის შედეგად, ქველმოქმედების საფუძველზე შეგროვებული წიგნები გადახარისხდება. „ვყიქრობ, რომ ეს არის ფუნდამენტურად მნიშვნელოვანი ინიციატივა, არა მხელოდ სოფლისოვის კონკრეტულად, არამედ მთელი საქართველოსოვის, საგანმანათლებლო სივრცისოვის, იმიტომ რომ წიგნიერების გარეშე, წიგნის, როგორც ინსტრუმენტის გარეშე, ბუნებრივია, გაჭირდება წარმატების მიღწევა“ - აღნიშნა ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალურმა დირექტორმა გიორგი გეგელიძემ.

სტუდენტურ ერთიანობას მაღლევე შეუერთდა საპატიოარქოს ახალგაზრდული მომრაობა „დავითიანნი“. პროექტს მომენტალურად გამოიხმაურა კერძო სექტორიც, რომელთა შორის შეუცვლელია კომპანია „ვისოლ ჯგუფის“ როლი. „იყო ევროპული ოჯახის წევრი, რას ნიშნავს? ეს არის მაღალი ცოდნის დონე ჩვენს ქვეყანაში. ეს არის ნომერ პირველი. ამიტომ არის ეს პროექტი უნიკალური. ცოდნაზე, ინტელექტზე დამყარებული სახეობადოება აღწევს ყოველთვის ყველაზე მეტ წარმატებას“ - ამბობს ინტერვიუში „ვისოლ ჯგუფის“ დამუშავებელი სოსო ჭხაკაძე.





კომპანია „ვისოლ ჯგუფის“ დახმარებით შეიქმნა წიგნების შესაგროვებლად განკუთვნილი სპეციალური კუთხები, რომლებიც შემდგომ განთავსდა სმარტის სუპერმარკეტებში, ვენდისში, დავითიანის თფისში, სამების სამრეკლოში, ტაძრებში და სხვა თავშეყრის ადგილებში. ასევე მათი დახმარებით გასტიკერდა მოსიარულე ბიბლიოთეკა, რომელმაც მოიარა მთელი საქართველო და განსაკუთრებით შეუწყო ხელი წიგნის პოპულარიზაციას. მიიქცია ყველა მოსახლის ყურადღება, იქნებოდა ეს დიდი ოუ პატარა.

სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ, 2014 და 2015 წლებში დალოცა პროექტი და პროექტი მონაწილეები. „ძალიან დიდი წამოწყებაა, ძალიან მნიშვნელოვანი. მე ვფიქრობ, რომ წიგნის კითხვაში ჩვენ რატომ-დაც ჩამორჩენილი ვართ. აი პოეზია უფრო განვითარებულია, თითქმის ყოველი ქართველი ადამიანი პოეტია, მაგრამ წიგნის კითხვაში რატომდაც გვიჭირს... ჩვენთან ჩამოყალ-

იბდა ძალიან კარგი ტრადიცია, რაიონებში მიგვაძვს წიგნები და ამით ვებმარქებით ხალხს განათლების განვითარებაში, ამაღლებაში“ - ილია II.

უმნშვნელოვანებია პროექტში გამომცემლობების - „ბაკურ სულაპურის“ და „პალიტრა L-ის“ წილი. მათი გვერდში დგომით ბიბლიოთეკების წიგნად ფონდებს შეემატა უამრავი ახალი გამოცემა. ორივე გამომცემლობა დღემდე პროექტის ერთგული პარტნიორია და აქტიურ როლს თამაშობს, რათა სოფლის ბიბლიოთეკებში ინფორმაციის მოპოვება გახდეს უფრო მეტად დია და ხელმისაწვდომი.

პროექტის ფარგლებში, რომელიც უპასუამი წელია მიმდინარეობს, საქართველოს რეგიონების: ქახეთის, მცხეთა-თიანეთის, კახეთის, გურიის, სამეგრელოს, იმერეთის, აჭარის, სვანეთის, რაჭის, სამცხე-ჯავახეთის სოფლის ბიბლიოთეკები, მოსახლეობის და გამომცემლობების მხარდაჭერით, 50 000-მდე წიგნით მომარაგდა. თითოეულ „გიოხვის შიმშილით“* შეპყრობილ მკითხველს, რომელმაც განახლებულ ფონდში აღმოაჩინა მისთვის სასურველი წიგნი, მიუცა ლიტერატურულ ჯადოსნურ სამყაროში ფეხის შედგმის კიდევ ერთი შანსი.

იმედს ვიტოვებ, რომ პარტნიორების მხარდაჭერით და დიდი ძალის ხმევით კიდევ დიდხანს განაგრძნობს პროექტი არსებობას და მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს სოფლის ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდის გამდიდრებასა და მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებაში.



* ტერმინს იყენებს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი გიორგი კვამიძიე რადიო თავისუფლებასთან ინტერვიუში.

ფილოსოფიური ძირანი

ბერნარ სტენი

მუდამ ახალი სიცოცხლით სავსე... (ვისაუბროთ „ვეფხისცყაოსნის“ ქალებზე)

Ω სტორიაში საუკუნეები დღეებივით სწრაფმავალია. ფრენით ცვლიან ეპოქები ეპოქებს და თითოეული ეპოქის შემქმნელი ადამიანებიც მიჰყვებიან ქამთაცვლას. მოდის შემცვლელი ახალი ეპოქა. ერთი პლეადის წასვლით გამოწვეულ გლოვას ახალი თაობის მოსვლით გამოწვეული სიხარული ცვლის. უწყვეტი ცვალებადობა გრძელდება და გრძელდება ადამიანური თუ




ეკოლოგიური მოულოდნელობებით, აბობოქებული მრისხანებებითა და ზოგჯერ კი წყნარი, გაწონასწორებული კეთილზეობებით სავსე პლანეტაზე, რომელიც ბრუნავს, ბრუნავს მხოლოდ ერთი მიმართულებით და გულგრილი უყურებს მის სფეროზე ატენის აღმოჩენის შემდეგ. მათ მოგვიანები მოგვიანების შემდეგი გამოიიყო, რომელიც მის საუბარი, რატომ შევეხე ეპოქების შექმნის სირთულეებს, თითქოს და ობობას ქსელში რომ გამხვიდვები და ძლივები, გაჭირვებით ვალწევ თავს იქნებან?.. ქალები მაინტერესებს, კერძოდ ქართველი ქალები. რა როლი პქონდათ მათ, რას ქმნიდნენ და რას აპერებდნენ ისინი ამა თუ იმ ეპოქის შექმნაში და ზოგადად, როგორები იყვნენ ჩვენი, ეგრეთ წოდებული, სუსტი სქესის წარმომადგენელი წინაპრები? ამის შესახებ ისტორიის ძუნწი, მაგრამ მაინც ბევრისმოქმედი პწკარებს პაგიოგრაფიული ლიტერატურით დაწყებული, ქართული მხატვრული ლიტერატურაც არცოუ ისე ცუდად ავსებს. აი, ამ მხრივ სამაგალითოა დიდი რუსთაველი, რომელმაც თავისი გენიალური პოემა „ვეფხისცყაოსნით“ მოგვცა საშუალება, გავცნობოდით იმდორინდელ ქალთა ტიპაჟებს, მათ ხასიათებს, სულისკვეთებებს და შეგვედარებინა ისინი დღევანდელობასთან. რა დრო გასულა მას შემდეგ! დიდი დრო, ძალიან! ძნელია დღევანდელი ადამიანი მე-12 საუკუნისას შეადარო, იმ საუკუნეს სულ სხვა ელფერი პქონდა, ადამიანის მისწრაფებებიც ისეთი იყო, რასაც მისი დრო და ქვეყნის წყობილება მოითხოვდა. ალბათ იყვნენ მტრის მტრულად დამხვედრი, მოყვრის კეთილი მასპინძლებიც და იყვნენ პირიქითაც, მაგრამ გამოხატვის ფორმები? აი, ეს არის ეპოქების განმასხვავებელი ნიშანი. ზოგადად კი ადამიანი ხომ, გარეგნულად და სულიერადაც, იმ გარემოს ემსგავსება, რომელშიაც იბადება და იზრდე-

ეპოქების საოცარი მოძრაობების დროს რამდენი რამ მიაქვს ერთს, მიმავალს და რამდენ რამეს ტოვებს კიდევც, რათა მომავალი ეპოქის მშენებლობას ფუნდამენტად ექცეს, ოდონდ სულ განსხვავებული შენობის ასაშენებლად! ასეთია ადამიანთა ბუნება - „საწყაული ადუგებელი“, მუდამ მშევროვარე, დაუდღელად მიმავალი, თავადვე იმ გარემოს მშენებელი, რომელმაც ახალი ეპოქა უნდა შვას. დიახ, ადამიანები თავად ქმნიან ყოველ ახალ ეპოქას თავისივე შექმნილი გარემოსა და გარემოებების მიხედვით. არცოუ ადგილად ასახსნელ ამ ვითარებაში ჩართულია ქალი და კაცი, დიდი და პატარა... და რატომ წამოვიწყე ეს საუბარი, რატომ შევეხე ეპოქების შექმნის სირთულეებს, თითქოს და ობობას ქსელში რომ გამხვიდვები და ძლივები, გაჭირვებით ვალწევ თავს იქნებან?.. ქალები მაინტერესებს, კერძოდ ქართველი ქალები. რა როლი პქონდათ მათ, რას ქმნიდნენ და რას აპერებდნენ ისინი ამა თუ იმ ეპოქის შექმნაში და ზოგადად, როგორები იყვნენ ჩვენი, ეგრეთ წოდებული, სუსტი სქესის წარმომადგენელი წინაპრები? ამის შესახებ ისტორიის ძუნწი, მაგრამ მაინც ბევრისმოქმედი პწკარებს პაგიოგრაფიული ლიტერატურით დაწყებული, ქართული მხატვრული ლიტერატურაც არცოუ ისე ცუდად ავსებს. აი, ამ მხრივ სამაგალითოა დიდი რუსთაველი, რომელმაც თავისი გენიალური პოემა „ვეფხისცყაოსნით“ მოგვცა საშუალება, გავცნობოდით იმდორინდელ ქალთა ტიპაჟებს, მათ ხასიათებს, სულისკვეთებებს და შეგვედარებინა ისინი დღევანდელობასთან. რა დრო გასულა მას შემდეგ! დიდი დრო, ძალიან! ძნელია დღევანდელი ადამიანი მე-12 საუკუნისას შეადარო, იმ საუკუნეს სულ სხვა ელფერი პქონდა, ადამიანის მისწრაფებებიც ისეთი იყო, რასაც მისი დრო და ქვეყნის წყობილება მოითხოვდა. ალბათ იყვნენ მტრის მტრის მტრულად დამხვედრი, მოყვრის კეთილი მასპინძლებიც და იყვნენ პირიქითაც, მაგრამ გამოხატვის ფორმები? აი, ეს არის ეპოქების განმასხვავებელი ნიშანი. ზოგადად კი ადამიანი ხომ, გარეგნულად და სულიერადაც, იმ გარემოს ემსგავსება, რომელშიაც იბადება და იზრდე-

ბა? როგორ შეგვიძლა წარმოვიდგინოთ ბექა და ბეშქენ თპიზარების მიერ დამშვენებულ და მოჩუქურომებულ ტაძრებთან მცხოვრები ხალხი როგორები იქნებოდნენ, როგორი იქნებოდა თავად რუსთაველი, რომელმაც გვისახსოვრა ეპოქის მგრძნობიარე და ნიჭიერი გმირები? დიახ, ადამიანები ემსგავსებიან ნიჭიერ თანამედროვეთა შემოქმედებით ნიმუშებს: ტაძრებს, სასახლეებს, ყოველგვარი საყოფაცხოვრებო დანიშნულების მქონე სათავსოებს, ისეთ მეურნეობებს, რასაც მისი ეპოქის გავლენით, მისივე ბიოდოგიური არსი და სულიერი სამყარო მოითხოვს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, საოცარია ის, რომ მაშინდედი ადამიანების ფსიქოლოგიური წყობა თითქმის იგივეა, რაც დღევანდელისა. ჩვენთვის ძალიან გასაგებია მათი გრძნობები, - სიყვარული, სიძელვილი, მწუხარება, სიხარული, მეგობრობა, მტრობა, ერთგულება, თანადგომა, სიხარებები, გაუტანლობა და ასე შემდეგ. ამიტომ არის თანამედროვე მკითხველისთვის სავსებით ახლობელი „ვეფხისტყაოსნის“ მოქმედ პირთა შინაგანი ბუნება და ურთიერთობები. ამიტომ პევიათ დღევანდელ ქართველებს თინათინი, ნესტანი, დარეჯანი, ასმათი, ფატმანი, ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონი. ჩვენ ისინი მოგვიწონს, გვიყვარს, თავს ვიწონებოთ ასეთი პერსონაჟებით, რადგანაც მათ ჩვენს წინაპრებად მივიჩნევთ. გმირული და ამაღლებული ხასიათებით, ისინი ხომ რუსთაველის ეპოქის რეალური, ქართული სამყაროს შვილები არიან... მაგრამ მიუხედავად ყოველივე ამისა, ძალიან განსხვავდებიან კიდეც ჩვენგან.

ქვეყნებისა და ხალხების ცხოვრება მთამსვლელთა ცხოვრებას ჰგავს, მოიმარაგებენ სხვადასხვა საჭირო ნივთებს, იარაღებს, საშუალებებს და გაუდგებიან გზას, თოვლიანი და ხიფათიანი აღმართოთ... ადიან მაღლა-მაღლა, მიიწევენ მწვერვალისაკენ, მაგრამ თუ ფეხი დაუცდათ, სამუდამოდ ჩაიკარგებიან უფსკრულში. რამდენი ქვეყანა, რამდენი ხალხი ჩაკარგულა მწვერვალისაკენ ანუ ცივილიზაციისაკენ მიმავალ გზაზე. რამდენს დაცდებია ფეხი!.. ჩვენ, ქართველებმა გადაჭლახეთ ჯებირები, სისხლისმღვრელი ომებით, დაუნდობელი მტრის გამუდმებული შემოსევებით დაძაბუნებულნი და თითქმის განადგურებულნი, კვლავ აღვხდგებოდით. ვერ



მიაღწია მტერმა საწადელს, ვერც გაანადგურეს და ვერც დაიმორჩილეს ქართველთა გვარი და ჯიში. გადმოვლახეთ, გამოვადწიეთ, გამოვცდით უსაშველო ხიფათებს! ახლა თცდამეერთე საუკუნის საქართველო ვართ და გვიხარია, რომ ეს უძველესი ხალხი მაინც ახალგაზრდული შემართებით, არამც თუ ვცოცხლობთ, არამედ, კულტურის, ხელოვნების, მეცნიერებისა და ტექნიკის ახალ ჩარჩოებს ვაშენებთ, ვმოდგაწეობთ. ვქმნიო სიახლეებს და მივიწევთ წინ! პოსტინდუსტრიულ ეპოქაში შემოქმედებს, არ გვაკვირებს ის უცნაური ტექნიზაცია, გუშინ რომ ზღაპრულ სამყაროდ გვესახებოდა. არც წარსული გვაკიწყდება, ვეფერებით და ვუკლიო მას (უნდა მოვეფეროთ, უნდა მოვუაროთ!).

მიუხედავად იმისა, რომ რუსთაველს თრი სამყარო, თრი ერთმანეთობან მანძილით დაშორებული, წყობილებით, სისტემით განსხვავებული ქვეყნის ადამიანები ჰყავს დახატული, ისინი, გენიალური შემოქმედის წყალობით, პარმონიულად ერწყმიან ერთმანეთს და მკითხველისთვის არაფერია გადასალახავი, პირიქით, ეს პოლიტიკიური რომანი-პოემა თავისი საინტერესო ამბებით, გმირებით და საოცარი ბრძნული თუ ფილოსოფიური შინაგარსით გაედენთილი პოეტური ტექნიკით მიგვაქროლებს სიყვარულით, მეგობრობით, ერთგულებით, რაინდობით დამუხტულ სამყაროში და ეს სამყარო არ არის უცხო და შორეული, ეს სამყარო

მარადებამ ახალი სიცოცხლეა და არა მარტო ჩვენია, არამედ ყველა ეპოქისა და ყველა ქვეყნის ადამიანების სამყაროა, რომელშიც ჩვენც გვაცხოვრებს რუსთაველი, მოშლილია საუკუნეების საზღვრები და უახლესი დროის ადამიანებიც კი ვგრძნობთ, რომ დღეს, უფრო მეტად, როგორც არასდროს, საჭიროა ის სიბრძნე, ის ერთგულება, ის თანადგომა, სიყვარული და მეგობრობა, რომლითაც გაედენთილია ვეფხისტყაოსნი. დუღს და გადმოდუღს მაღალი ლირებულების ადამიანური გრძნობები ამ პოემაში, თითოეული სტროფით ბრძენი მოძღვარი გვარიგებს, გვაძლევს საკაცობრიო მნიშვნელობის ცოდნას და თუკი ადამიანს ნათელი გონება დაანათლა უფალმა, იგი აუცილებლად ეცდება, შევიდეს რუსთაველისეულ სკოლაში და იქედან

გაუყვეს სიყვარულის გზას, ეს გზა კი მეგობრებისა და მოყვრების მაძიებლის გზაა. „ ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“, გვეუბნება გენიალური პოეტი და ოუკი ჩვენი ძვირფასი, თანამედროვე მწერალი თამაზ ჭილაძე სანიმუშოდ იღებს ამ ურაზას და მას უწოდებს ქართველი ხალხის მორალურ კოდექსს, სულიერი კონსტიტუციის პარაგრაფს, მე ვიტოდი, რომ მოელი ეს გენიალური პოემა ჩვენი ხალხის სულიერი კონსტიტუციაა მხატვრული ენითა და საოცარი ჯადოსნური, პოეტური ხილვებით მოვარაყებული!“

ახლა მივხედოთ რუსთაველის სამყაროში მოქმედ ქალებს, ვინ არიან ისინი... რას აკეთებენ, რას საქმიანობენ... პოემის დასაწყისშივე ვეცნობით მეფის ასულს, თინათინს, ულამაზეს ქალს. ზოგადად, რუსთაველის პოემაში ჩვენ ვერ ვნახავთ ულამაზე ადამიანს, სილამაზე განგებისაგან ბოძებული ნიჭია, რომელიც ამკობს და ასხივოსნებს ადამიანს და გაგრძნობინებს არა მარტო მისი გარეგნობის განსაკუთრებულობას, არამედ თითქოს მის გონიერებაზეც მიუთითებს. „შუქთა მისთავებრ საქმენიც მისი მზებრ განაცხადიაო“... ამბობენ თინათინზე როსტევანის ვეზირები და მართლაც, ამ შესანიშნავ ახალგაზრდა ქალს, მეფის ასულს, უნატიფეს გარეგნობასთან ერთად, არ აკლია ის თვისებები, ჭკუა და ნიჭი, რომ ჰქეია და როგორც ყოველ ნიჭიერ ადამიანს, მოსმენის საუცხოო უნართან ერთად აქვს ცოდნის შემენის უწყვეტი სურვილი: „ამა მამისა სწავლასა ქალი ბრძნად მოისმინებდა, ყურსა უგდებდა, ისმენდა, წვრთას ადარ მოიწყინებდა“... ეს თინათინია, რომელიც მზესა სწუნობდა, მაგრამ მზე, თურმე, თინათინებდა, და რა გასაკვირია, როდესაც მეფე როსტევანი მას ძედ მოიხსენიებს: „ჩემი ძე დაგსვათ ხელმწიფებრ, ვისგან მზე საწუნელიაო“... თუმცა, არ გაჲკვირვებიათ ვეზირებს მეფის წინადაღება, მაგრამ მათ პასუხში მაინც გამოსჭვივის რუსთაველის ეპოქის დამახასიათებლი სოციალური ნიშნები ქალისა და მამაკაცის უთანასწორობის შესახებ. „თუმცა ქალია ხელმწიფეო,“ ამბობენ ისინი და მეფის სურვილს და მოსაზრებას ამართლებენ იმით, რომ ქალს და კაცს მნიშვნელობა არა აქვს, მაშინ, როცა მეფის შთამომავლობასთან გაძარეს საქმეო: „დევგი ლომისა სწორია ძუ იყოს თუნდაც ხვადია“, ასე ხატოვნად გამოქვამენ ვეზირები თავიანთ აზრს თინათინის გამეფების შესაძლებლობის შესახებ. ბრძენოაგან ქებული თინათინი გამეფდა, მეფე როსტევანმა მას გვირგვინი საზეიმო ვითარებაში დაადგა, იგი დაკვირვებით, ფრთხილად, მაგრამ თამამად შეუდგა მოვალეობის შესრულებას. პირველი, რაც მას აინტერესებს,

უცხო პირის გამოჩენაა მისი სამეფო ტერიტორიაზე და იგი იბარებს მასზედ შეევარებულ ყმას, სპასპეტს, ამირსპასალარის ძეს, ავთანდილს. რომელზედაც, თურმე, თავადაც შეევარებულია და დღესაც, რცდაშეერთე საუკუნის ქალისთვისაც არცოუ მისაღები პირდაპირობითა და გულახდილობით უმდებავნებს მას თავის გრძნობებს, ამავე დროს, როგორც მეფე, ავალებს იმ „უცხო მოყმის“ ძებნას და უუბნება:

„...სამსახური ჩემი გმართებს ამად ორად: პირველ, ყმა ხარ, ხორციელი არავინ გვყავს შენად სწორად,

მერმე, ჩემი მიჯნური ხარ, დასტურია, არ ნაჭორად;

წა და იგი მოყმე ძებნე, ახლოს იყოს თუნდა შორადო“.

ჩვენ იმასაც გვაგებინებს რუსთაველი, თუ როგორ იყო შემოსილი მეფე-ქალი „ვარუუზნი უსაპირონიო“, როგორი იყო მისი თმის ვარცხნილობა: „მას თეთრსა ყელსა ეხვივნეს გრძლად თმანი არ-უხშირონი.“

გამორჩეული და იშვიათია ის ეპოქა, რომელსაც მკვლევარები შოთა რუსთაველის შემოქმედებას მიაკუთვნებენ. ამ დროს საქართველო ძლიერი სახელმწიფო იყო. შენდებოდა უამრავი ციხე-სიმაგრე, მონასტერი, ხიდი, ეკლესია, შესანიშნავი სასახლეები, თვეებ წარმოიდგინეთ, გზებზე ქვაფენილიც კი იგბოდა თურმე (დავითის ისტორიკოსის ცნობით). იყო განვითარებული სხვა სახელმ



წიფოებთან მიმოსვლა და ვაჭრობა, გადიოდა და შემოდიოდა სხვადასხვა სახისა და მნიშვნელობის საქონელი, უვაოდა ხელოსნობა. მაღალ დონეზე იდგა კულტურა და განათლება. ერთი სიტყვით, ამ ეპოქას მკალევარები ქართული რენესანსის ეპოქას უწოდებენ, და რუსთაველსაც იგივე რენესანსის ფუძემდებლად მიიჩნევენ, ევროპული რენესანსისას და არა აღმოსავლურის, თუმცა სიტყვა „რენესანსი“ მოგვიანებით იტალიაში დაიბადა (აღმოცენტრი კი იგი მეთოთხმეტე საუკუნეში და გაგრძელდა ევროპაში მეოქვემდებრე საუკუნის თოქმის ბოლომდე) და არა საქართველოში, მაგრამ ეს სრულებითაც არ უშლის ხელს მეცნიერებს, რომ პოემა „ვეფხისტეფასანი“ ქართულ-ევროპულ რენესანსის წარმოშობის წყაროდ მიიჩნიონ. რადგანაც რუსთაველმა, წინა საუკუნეების მსოფლიო ლიტერატურისაგან განსხვავებით, თავის პოემაში სრულიად ახალი ტიპაჟები შემოიყვანა. ახალი ადამიანები, რომლებიც ცხოვრობენ, აზროვნებენ და მოქმედებენ მიწიერი ადამიანების და არა ზღაპრული, გამონაგონი პერსონაჟების მსგავსად. რუსთაველმა აღჭურვა ისინი ჩვეულებრივი ადამიანური თვისებებით. მისი გმირები არიან მომლენილ „მეფე სმასა და მდერასა იქმს მეტად მოილინებდა“... და მრისხანენიც, იციან სიყვარულიც და სიძულევილიც. უშვებენ ადამიანურ შეცდომებს და სხვა.

ამავე დროს ბუნებრივად იბადება მოსაზრება იმის შესახებაც, რომ შოთა რუსთაველი პირველი ფემინისტი მწერალიც არის ევროპელ მწერლებს შორის. ფემინიზმი ფილოსოფიის მეცნიერებაში ერთ-ერთი მიმდინარეობაა და ქალისა და მამაკაცის ონასწორობას ქადაგებს. თუმცა, ასეთი გაგება ფემინიზმის ცნებისა და თავად სიტყვა „ვემინიზმი“ იმ დროის საქართველოსთვის სრულიად უცხოდა გაუგებარი იყო. მეთორმეტე და შემდგომ საუკუნეებშიც ქალთა და ზოგადად ადამიანთა უფლებები განსაზღვრული და დაცული იყო არა მხოლოდ სამართლებრივი თვალსაზრისით, არამედ ხალხში მტკიცედ ფესტგამდგარი ადათ-წესებითაც და, მიუხედავად პატრიარქალიზმის დომინირებისა, ქართველ ხალხში ქალისადმი პატივისცემა, მისი ხელშეუხებლობა საკრალურ მნიშვნელობასაც კი იძენდა. ქალზე მოძალადე კაცს კაცი არ ეთქმოდა, ის ყოველგვარ დირსებას კარგავდა სოციუმის თვალში, რასაც, სამწუხაროდ, ვერ ვიტყვით დღევანდელ საქართველოზე.

„მეთორმეტე საუკუნეში, კერძოდ 1184 წელს, არამც თუ საქართველოში, არამედ იმდროინდელ ფეოდალურ სამყაროში მოხდა ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტი, საქართვე-

ლოს სამეცნიერო ტახტზე ავიდა ქალი - თამარ მეფე! მისი მეფობის ხანაში მოღვაწე ქართველმა მანდილოსნებმა, ხვაშაქ ცოქალმა და კრავათ ჯაყელმა თავიანთი სიბრძნითა და გამჭრიახობით ფეოდალთა ერთ-ერთი ცნობილი და საშიში აჯანყების თავიდან აცილება შეძლეს დიპლომატიური მოდაპარაკების საშუალებით. როგორც მკვლევარები ადასტურებენ, ეს რუსთაველის თანამდროვე ეპოქა იყო. და რა გასაკვირია, რომ გენიოს შემოქმედს თავის „ვეფხისტეფასანში“ შემოეყვანა მსგავსი მამაცი, დამოუკიდებელი, გმირი და მოაზროვნე ქალთა ტიპაჟები: თინათინი, ნესტან-დარეჯანი, ასმათი, ფატმანი და გნებავო დავარიც! რუსთაველმა საინტერესო ქალები თავიანთი ხასიათებით, სახელმწიფოებრივი აზროვნებით, ერთგულებით, შემართებით, გმირული ბუნებით, ორგანიზატორული ნიჭით ისე გაუთანაბრა მამაკაცებს, რომ მსგავსი ქალთა პერსონაჟები იშვიათია შემდგომდოროინდელ მსოფლიო ლიტერატურაშიც კი. დიახ, რუსთაველმა პირველმა აღიარა ქალის პირველება!

მიჩნეულია, რომ რუსთაველის პოემაში მთავარია ვეფხის ტყავით შემოსილი გმირი - ტარიელი. პოემასაც ხომ „ვეფხისტეფასანი“ ეწოდება. მაგრამ, დავუკვირდეთ, რისთვის იძრცვის და იღგწის ტარიელი? რატომ შეიკრიბა ეს სამი გმირი - ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონი და განა მარტო ისინი, პოემის ყველა მოქმედი პირი?

პოემაში მოგვინებით შემოდის ნესტანის პერსონაჟი, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, დანარჩენები მის ირგვლივ ტრიალებები, მასზე ფიქრობენ, მის დავალებებს ასრულებენ.

1. ინდოეთის მეფის და - დავარი მისი ადზრდილის, მეფის ასულის, ნესტანის საქციელის გამო (ნესტანი ტარიელს მოაკვლევინებს სასიძოს - ხვარაზმშას მეფის ძეს) მას ქაჯებს გაატაცებინებს და მერე თავად თავს იკლავს.
 2. ტარიელი და ასმათი ველად არიან გაჭრილნი და დაემძებენ ნესტან-დარეჯანს.
 3. ავთანდილი ტოვებს სამთავროს, გაიგებს რა ტარიელის თვევადასავალს, ისიც ნესტან-დარეჯანის კვალის ძიებას შეუდგება.
 4. ფატმანი ნესტან-დარეჯანის საიმედო დამხმარე და გულშემატკიცარი ხდება.
 5. ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი აწყობენ გეგმებს ნესტან-დარეჯანის ქაჯეთის ციხიდან გამოსახსნელად.
- მაგრამ ვინ არის ეს ნესტან-დარეჯანი?

(გაგრძელება იქნება)

მაჩინე სამაღლვილი

თბილისის 42-ე ბიბლიოთეკის მთავარი ბიბლიოთეკაში

ათასწლოვანი შედევრი უდაბნოთა ქალაქმყოფელზე

ძ თას სამოცდახუთი წელი გასულა „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების” დაწერიდან. თხზულება აგიოგრაფიული ხასიათისა და მას საპატიო ადგილი უკავია ძველ ქართულ ლიტერატურაში. კორნელი კეკელიძე შედევრს უწოდებს ამ ძეგლს.

„წიგნისა მისა აღმწერები არის გიორგი მერჩულე, ცნობები გიორგი მერჩულის ვინაობის შესახებ არ მოგვეპოვება. მისი ვინაობის დასადგენად დიდ დახმარებას გაგიწევს მისივე თხზულება, სადაც აღნიშნულია, რომ გიორგი მერჩულე მოხუცებულობის უამს ბერად ყოფილა შემდგარი და მოღვაწეობდა ხანძთაში, გრიგოლის მიერ აგებულ მონასტერში. აქვე დაუწერია სიბერეში შესულს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება”.

ცნობები გრიგოლის შესახებ მერჩულეს შეუგროვებია ხანძთელის მოწაფეებისა და მოწაფეთა მოწაფეებისაგან.

„ხანძთის მონასტრის მოღვაწეს, ვინმე გიორგი მერჩულეს, როდესაც ხანძთაში წინამდღვრად ყოფილა თეოდორე, ამ უკანასკნელისა და მისი ძმის იოანეს დახმარებით დაუწერია გრიგოლის ცხოვრება, რომელსაც ეწოდება „შრომაი და მოღვაწებაი და ღირსად ცხორებისაი არქიმანდრიტისაი, ხანძთისა და შატბერდისა აღმაშენებელისაი, და მის თანა ხელშებაი მრავალთა მამათა ნეტართაი” (პ. კეკელიძე).

გიორგი მერჩულეს ეს თხზულება დაუწერია გრიგოლის გარდაცვალებიდან 90 წლის შემდეგ - 951 წელს.

958-966 წლებში თხზულება განუახლებია ბაგრატ ერისთავთერისთავს რამდენიმე სასწაულის ჩართვით, რომელიც წინით თხზულებაში არ ყოფილა.

საკვირველია, რომ ეს შესანიშნავი თხზულება პირველად ცხრა საუკუნის შემდეგ, 1845 წელს აღმოაჩინა ნიკოლოზ ჩუბინაშვილმა, მეცნიერულად კი გამოსცა აკადემიკოსმა ნიკო მარმა.

„მართალია, თხზულება დაწერილია X საუკუნის შეა წლებში ტაო-კლარჯეთის მძლავრ კულტურულ ცაენტრში, ხანძთაში, მაგრამ სამწუხაროდ, არათუ მისი ავტოგრაფი, არამედ გადანაწერი პირებიც კი არ შემორჩენილა საქართველოში: ნაწარმოები დაცულია ერთადერთი მოგვიანო ხანის (დაახლოებით XI ს-ის დასასრულს) ხელნაწერ კრებულში ... რომელიც ინახება იერუსალიმის საპა-

ტრიარქო წიგნსაცავის ქართულ ხელნაწერთა ფონდში” (ზ. სარჯველაძე, პ. დანელია... გვ.129).

საინტერესოა, თუ საიდან არის წარმოქმნილი ავტორის ზედწოდება „მერჩულე”. ეს არ არის საგვარეულო ტიპის სახელწოდება, არც სადაურობას აღნიშნავს. ეს გახლავთ თანამდებობა-პროფესიის აღმნიშვნელი სახელწოდება.

„მერჩულე, ეწოდებოდა სჯულის მეცნიერს, კანონიკური სამართლის სწავლულ მცოდნეს. ძველ საქართველოში არსებულა მერჩულეობა ინსტიტუტი და გიორგიც ამ პროფესიის კაცი ყოფილა.

ამ ნაწარმოებს დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვს. მასში ასახულია მე-8-9 სს-ის საქართველოს პოლიტიკური და საზოგადოებრივი მდგრადი მონაშირეობა. თხზულებაში აღწერილი ეპოქა ეხება არაბობის ხანას. ამ დროს ქართველები იყვნენ „მძლავრობასა ქვეშე დამონებული და ნაკლოვანებითა და სიგლახაკითა შეკრულნი, ვითარცა რკინითა, ხარჯსა ქუეშე მათსა გუემულნი და ქენჯნილნი”. ასე ახასიათებს იმ ხანას იოანე საბასანისძე.

არაბების შემოსვების შედეგად გავერანებულა საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი ტაო-კლარჯეთი. ქართველი ისტორიკოსი ჯუანშერ ჯუანშერიანი ამის შესახებ ამბობს: „იქმნა მას ჟამსა განრყვნილ ქუეყანა ქართლისა... და არდა იპოვებოდა ნაშენები, არცა საჭამადი კაცოა და პირუტყვოა”.

არაბების მიერ დაპყრობილ მეფობაგაუქმებულ ქართლში ცხოვრება ჩამკვდარიყო. ჩვენს ქუეყანას დაკარგული ჰქონდა უმნიშვნელოვანები ცენტრი ქართლის სახით. ქართველობას კულტურული სახის შესანარჩუნებლად ესაჭიროებოდა ქართლის მაგივრობის გამწევი ახალი ცენტრის შექმნა. „აი, ამ უდიდესი ერთვენული მისის განხორციელება ითავა გრიგოლ ხანძთელმა, ნიშანდობლივია, რომ ქართლელმა კაცმა. არაა შემთხვევითი, რომ ის იყო ნერსე ქართლის ერისთავის მეუღლის ძმისწული და მისი გაზრდილი, ე.ი. ფაქტობრივად, ნერსეს ოჯახის შვილი. ამას კი განსაკუთრებული უურადდება უნდა მიეკცეს.

ტაო-კლარჯეთში გრიგოლის გამგზავრებას ახლდა დიდი სამომავლო მიზანი. ეს კუთხი უნდა ქცეულიყო ქართლის მონაცემები. თანაც ეს ისე უნდა დაწყებულიყო და წარმართულიყო, რომ არაბები ვერ მიმხ-

ვდარიყვნენ ამ მოძრაობის არსეს” (რ. სირაძე, გვ.90).

დიდი სამომავლო მიზნებით შეუმჩნევლად მიემგზავრება სამცხეს შესახედად დიდი, გამხდარი, ტანსრული, სავსებით კეთილი, ჯანმრთელი და სულიოთ უბიწო, მრავალმხრივ განათლებული გრიგოლი. ქართველობა ითანე საბანისძის მიერ უკვე იყო გაფრთხილებული საფრთხის შესახებ: „აღვერიენითო ერსა უცხოსა,” დავივიწყეთ „ჩვეულებისაებრ მამულისა სლვაი”. გრიგოლი კარგად ხედავდა შექმნილ სიტუაციას და გაცლა ამჯობინა, უძრალო ბერივით გაემგზავრა მტრისგან გავერანებულ მხარეში. იგი არაბოთა ბატონობას კი არ შევგუა და დაემორჩილა, არამედ გაერიდა იმიტომ, რომ კარგად იცოდა, არ იყო ეამი ქვათა სროლისა. ქვეყნის დალატი იქნებოდა საბრძოლო მოწოდება. ამიტომაც ქვათა სროლას, ქვათა შეგროვება და მტრისგან მალულად ქვეყნის შენება ამჯობინა, - დიდი სამონასტრო მშენებლობა გააჩადა...

ტაო-კლარჯეთს რომ მიაშურეს გრიგოლმა და მისმა მოწაფებებმა, მათი მიზანი იყო არაბოთაგან დაპყრობილი სამშობლო კვლავ მოეპოვებინათ. მისი სიბრძნისა და ორგანიზაციული ნიჭის წყალობით ტაო-კლარჯეთი იქცა ქართლის მონაცემები და შემზადდა ნიადაგი მომავალში არაბოთა განსაღევნად. არაბებთან უახრო დაპირისპირებით კი არ დაასუსტა სამშობლო, ეკლესია-მონასტრების შენებითა და ძმობის წევრთა გამრავლებით გააძლიერა საქართველო. ერთ და ბერი ერთი იდეით გააერთიანა; შეაფერება უცხო ტომთან ადრევა და ხელი შეუწყო „მამულისა ჩვეულებისაებრ სლვას”.

„გაკვირვებას იწვევს, როგორ აშენდა ამდენი რამ იმ შედარებით მცირე მონაკვეთში. რა მასშეაბი ჰქონია იმ მშენებლობას, რა გაქანება.” (ვ. ჭელიძე, გვ.288) მით უფრო საკვირველია ეს, რომ იმ დროს, ოპიზას გარდა, სხვა მონასტრები არ იყო და გრიგოლს საერთ პირებიც არ ახლდა. უაქტიურად, მოსახლეობა არ იყო ახლომახლო.

„გრიგოლ ხანძთელი იყო ერთ-ერთი უდიდესი პიროვნება საქართველოს ისტორიაში, რომელმაც თბილისის საამიროს დროს ტაო-კლარჯეთში შექმნა პოლიტიკური ცენტრი, რომლის საბოლოო მიზანი იყო საქართველოს გაერთიანება და არაბოთა ბატონობის დაძლევა. ამ აზრით შეიძლება ითქვას, რომ გრიგოლ ხანძთელმა დაიწყო ის საქმე, რომელიც საბოლოოდ დავით აღმაშენებელმა განასრულა” (რ. სირაძე, გვ.91).

გრიგოლ ხანძთელის დვაწლით კეთილად აღორძინდა ტაო-კლარჯეთი და იქცა სრულიად საქართველოს რელიგიურ და კულტურულ

ცენტრად. აშენდა ბევრი მონასტერი, სადაც რუდუნებით მოდგაწეობდნენ მმობის წევრები. ტაო-კლარჯეთის ცენტრად გადაქცევას ბევრი კარგი რამ მოჰყვა. აქ დაიწყო ბაგრატიონითა დინასტია და აქეე შეიქმნა ქართველ მეგეთა ლვოაებრივი წარმოშობის იდეა; აქედან მისცეს რეკომენდაცია გრიგოლის მოწაფეს, არსენს, ქართლის კათალიკოსად ასარჩევად.

გრიგოლის მეორე მოწაფე აწყურის ეპისკოპოსმა ეფრემმა მირონის კურონევა ქართლში განაწესა. ამას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსთვის, სადაც „ფრიადი ქუეყანი აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების.”

„ტაო-კლარჯეთის მონასტრებს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი მწერლობის ისტორიაში. აქ დუღდა ლიტერატურული შემოქმედება... აქ ჩამოყალიბდა ტაო-კლარჯეთის საგანგებო სალიტერატურო სკოლა, ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებული, რომელმაც შეიმუშავა თავისი საკუთარი გრამატიკა, ენა, ხელი და მიმართულება” (კ. კეკელიძე).

საოცარი ბედი ხვდა წილად გიორგი მერჩულის ამ მშვენიერ თხზულებასაც და გრიგოლ ხანძთელის ნადგაწსაც. კარგი ხანს მიუწვდომელი იყო ჩვენთვის ერთიც და მეორეც, მაგრამ რადგანაც „არა არ დაფარული, რომელი არა გაცხადდეს“, გვიან მაინც გავეცანით გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებასაც“ და უდაბნოთა ჰალაქმეოფელის ნადგაწსაც. ოდონდ გულდასაწყვეტია, რომ ჩვენი ადარაა კეთილად აღორძინებული ტაო-კლარჯეთი. ტკივილიანი სიხარულით ვივსებით, როცა ვაცნობიერებთ „რა განძი გვქონია, რა მხნე, რა მდიდარი“.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კეკელიძე კ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია: ტ.I - თბ., მეცნიერება, 1989.
2. ინგოროვა პ., თხზულებათა კრებული: ტ.III თბ., საბჭ, საქართველო, 1965.
3. ჭელიძე ვ., ქართლის ცხოვრების ქრონიკები, წიგნი II. - თბ., ნაკადული, 1976.
4. ძველი ქართული ლიტერატურის ქრებულმათია: IX კლასი. - თბ., მეცნიერება, 1999.
5. მერჩულე გიორგი, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება: სასკოლო გამოცემა; მომზადებულია ზ. სარჯვეელაძის მიერ. - თბ., განათლება, 1985წ.
6. სირაძე რ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია IX-XII კლასებისთვის. - თბ., განათლება, 2005წელი.

ჩასელან ნუკიც

ღირსება „დედა ენისა“

 ედა ენა მშობლიური ენის მნიშვნელობით იაკობ გოგებაშვილის შექმნილია. „დედა ენა“ შეიქმნა ქართული სიტყვების ანალიზით: დედა-ძმიწა, დედა-ბობი, დედა-ბურჯი, დედა-ქალაქი, დედა-აზრი, იმდენად მიგნებულად, მარჯვედ იყო შექმნილი ეს ტერმინი, რომ ძალიან სწრაფად დამკვიდრდა მშობლიური ენის სინონიმად.

„დმერთი არის მეუფე გულისა, და მხოლოდ გულისა. ის მხერვალე გრძნობა, რომლითაც ადამიანი მიმართავს უფალსა, გამოიხატება მხოლოდ დედა-ენით, იმიტომ რომ მხოლოდ დედა-ენა არის ენა გულისა, გრძნობისა, მხოლოდ დედა-ენაზე შეიძლება იღოცოს ადამიანამ გულმხერვალედ... მხოლოდ დედა-ენა არის ენა სულისა და გულისა, ყველა უცხო ენანი კი არიან ენანი მეხსიერებისა“ - წერდა იაკობ გოგებაშვილი (1888 წ.).

ქალ-ში დედაენა ცალკე სალექსიკონო ერთეულად არ არის წარმოდგენილი. დედა ენა - ორ სიტყვად დაწერილი, იდიომატურ გამოქმად მიჩნეული სიტყვა დედა-სოან არის შეტანილი. (ორთოგრაფიულ ლექსიკონში ერთ სიტყვადაა დაწერილი - დედაენა).

1. ენა, რომელსაც ბავშვობიდან ითვისებს ადამიანი მშობელთაგან და ახლობელთაგან და ყველაზე უფრო ბუნებრივია მისთვის ლაპარაკება და აზროვნებაში; ენა რომელზეც პირველად ამეტყველდა ბავშვი და რომელიც ურთიერთობის საშუალებაა იმ საზოგადოებისა, რომლის წევრიც თვითონ არის, - მშობლიური ენა, დვიძლი ენა.

2. სახელწოდება პირველდაწყებითი სასწავლო წიგნის, რომელთაც ბავშვები წერა-კითხვას სწავლობენ.

1986 წელს გამოცემული განმარტებითი ლექსიკონის ერთტომეულში დედაენა სალექსიკონი ერთეულადაა შეტანილი.

იაკობს სშირად უკიისინებდნენ: შენი წიგნები მხოლოდ მართლმადიდებელი ქართველებისთვის არის, სხვა სარწმუნოების ქართველთა ინტერესებს არ ითვალისწინებს. ამიტომაც იყო, რომ „გ“ ასოზე სიტყვა „ანგლოზი“ ნამგლით შეცვალა.

რელიგიური თემა - ეს დიდად საფრთხილო საქმე იყო, განსაკუთრებით „ოსმალოს საქართველოს“ შემოერთების შემდეგ.

„წინად ანბანში ერთა ელემენტი მართლმადიდებელის ეკლესიისა, რომელიც ძლიერ უშლიდა გამაჟამადიანებულ ქართველებსა, ქართველ ურიებს და თვით ქართველ კათოლიკთაც, ეხმარათ ეს ანბანი. უკანასკნელ გამოცემაში ეს ელემენტი გამოვრიცხეთ და ამით შესაძლებლად გავხადეთ ანბანის ხმარება ყველა სარწმუნოების ქართველთათვის,“ - წერდა იაკობი.

„შეიძლება თამამად ითქვას, რომ „დედაენის“ შექმნა თავისი მნიშვნელობით უზოლდება ყველაზე დიდ წვლილს, რომელიც რომელიმე ჩვენს წინაპარს შეუტანია ჩვენი ერის სულიერ საგანძურში“ - ასე იტყვის გრ. აბაშიძე „დედაენის“ გამოსვლიდან 100 წლის შემდეგ.

ტერმინი „დედაენა“ გოგებაშვილმა გამოიყენა პირველად საანბანე წიგნის სახელწოდებად, შემდეგ მშობლიური ენის მნიშვნელობაც მიიღო.

ცოტა მოვიანებით იღია ჭავჭავაძე განმარტავდა: „ქართველისათვის „დედა“ მარტო მშობელი არ არია, ქართველი დვიძლის ენას „დედაენას“ ეძახის, უფროსს ქალაქს - „დედაქალაქს“, მკვიდრს და დიდ ბოძს სახლისას - „დედა-ბოძს“, უდიდესსა და უმაგრესს ბურჯს - „დედა-ბურჯს“, სამთავრო აზრს - „დედა-აზრს“, გუთნის გამგებელ მამაკაცსაც კი - „გუთნის დედას“ - იღიამ თითქოს განმარტა, რატომ შემოიღო ეს ტერმინი იაკობმა...

ქართული გაგებით დედაენა მთავარი ენაა. გააზრება ასეთია - არსებობსკილოკაური განსხვავებები ქართველთა შორის, არსებობს მეგრულ-სვანური ენები, მაგრამ საერთო და მთავარი ქართული სალიტერატურო ენაა - დედაენა!

ზუსტი შეფასება მისცა ამ ფაქტს ცნობილმა გერმანელმა ქართველოლოგმა ვინცრიდ ბოედერმა: „იაკობ გოგებაშვილი განიირსი იყო იმ გაგებით, რომ ზუსტ დროს სწორი სიტყვა იპოვა. ქართული ენის დაცვამ იმ დროს სწორი სიტყვა იპოვა. ქართული ენის დაცვამ იმ დროს მოითხოვა ასეთი ემოციური ცნება. ეს არის ქართული ენით მოლაპარაკეთა თვითშეგნების არაიდეოლოგიური და ისტორიული გაგება“.

ეს ის დრო იყო, როდესაც მშობლიური

ენა დევნილი იყო სკოლებში, პატივაყრილი - ოჯახებში, არისტოკრატიას ერცხევინებოდა ქართულად ხმის ამოღება, თავმოსაწონად მიაჩნდა რუსულად ლაპარაკი, თოთხე ჩამოსაოვლელი ინტელიგენცია რუსულად ფიქრობდა, რუსულადვე მეტყველებდა ...ქართული ენის შესასწავლად თრგვერდიანი ქართული ანბანი არსებობდა ...და აი, ასეთს განწირულს დროს გამოდის ი. გოგგბაშვილი თავისი „დედა-ენით“ და ცდილობს იმის საშუალებით შესულიყო სკოლებში ქართული ენა, მოწაფეს მშობლიური ენის შეფასების საფუძვლად „დედა ენა“ ჰქონდა; სამირკველი - მის თვალის ახელას, გაადამიანებას „დედა-ენის“ საშუალებით ჩაჰუროდა... (თედო სახოკია).

„დედაენა“ და „ბუნების კარი“ სახელმძღვანელოები კი არა, უდიდესი პოემებია. მე თანახმა ვიქები, გამოვიდეს ეხლა ეს წიგნები, არა როგორც სახელმძღვანელო, არამედ საკითხავ წიგნად!“ (გალაკტიონი).

გამოვიდა თუ არა „დედაენა“, დიმიტრი ყიფიანმა თქვა: „დედაენა“ იაკობ გოგებაშვილისა ძალიან გამოსადევარი, ძალიან სასარგებლო წიგნი არის და საუცხოვდ არის შედგენილი“. ღვაწლმოსილი მოღვაწის ასეთი შეფასება პირველი საამაყო ჯილდო იყო ახალგაზრდა ავტორისათვის.

ზაქარია ჭიჭინაძე წერდა: „გოგგბაშვილმა თავის „დედა-ენაში“ ადადგინა დაცემული ენა ქართველთა ... და ამ წიგნის მეოხებით მოელი ქართველობა, ყველა თემისა და ხეობის მონათესავენი ერთის ქართული ენით იწყებენ წერა-კითხვის სწავლებას და ლაპარაკს, ყველგან ამ წიგნის მეოხებით ქართული ენა ეფინება.“

„დედაენაშ“ მკაცრად შეუტია უწიგნურობას, კუთხეურობას და ტომთა შორის კარჩაკეტილობას, განავრცო სიტყვა ქართული და ამ-ერ-იმერი ერთიანი სახალხო ენით აამეტყველა, დააკავშირა... (ვალერიან რამიშვილი).

„ამაფეოქებელ ნადმისავით მისრიალებ-

და „დედაენა“ ჩვენს მიუვალ მთა-კლდეებში - თუშეთსა და სვანეთში, - მიდიოდა ბარად, შეუყვებოდა ჰქარასა და მესხეთს და ყველგან სმრავდა ენას საქართველოდ, ყველგან აფეოქებდა გრძნობას ეროვნულსა...“

„და თუ ქართველი კაცი აქამდე მტერსა და დუშმანს „ვეფხისტყაოსნიო“ იგერიებდა, ამიერიდან მას ხელში „დედაენა“ ეჭირა და თავის ნამუსს, კაცურ კაცობას და ქართველობას იმით იცავდა“ (დემა შენგელაია).

„ერთხელ დაბადებული ქართველი კაცი მეორედ მაშინ იბადება, როცა იაკობ გოგებაშვილის „დედაენას“ ხელში პირველად აიღებს, გაშლის და, თითქოს ისევ დაიბადაო, - ამ სამზეოს უცებ სხვაგვარად რომ დაინახავს და დაინახავს, სხვაგვარად გაიაზრებს, პოდა, იმ დღეს რა დაგვაიწყებს, ამ უპირველესი წიგნის ყდაზე ამოქარგული ბულბულის სტკენა როცა ერობაშად გავიგონეთ და შიშიო, აქ არ გაგვიყრინდესო, ხელი მაშინვე დაგაფარეთ, მისი ტკბილი სტკენა - ჭიკჭიკი, დამეში გაკიდებული ნაზი ქვითინი განა მას აქეო არ გვესმის ხოლმე?“ (დემა შენგელაია).

„ჩემი და ილიას დვაწლი რა მოსატანია იმ დიდ ღვაწლთან, რომელიც იაკობ გოგებაშვილს მიუძღვის ქართველი ერის წინაშე. იაკობ გოგებაშვილმა ქართველ ხალხს ქართული ენის სიტკბოება ყურში ჩაწევთა, ქართველ ხალხს ქართული ენა შეაყვარა. განა ეს პატარა საქმეა! იაკობ გოგებაშვილი ლირისია, რომ ქართველმა ხალხმა სიცოცხლეშივე ძეგლი დაუდგას“ (აკაკი).

„დედაენა“ „ვეფხისტყაოსნიობან“ დააწყვილეს. ჭეშმარიტად: მეორე ათასწლეულში საქართველოში ეს თრი დიდი წიგნი შეიქმნა, რომელთაც განსაზღვრეს ახალი ქართული სალიტერატურო ენის სახე. იცის ქართველმა ფასი თავისი უპირატესი წიგნებისა, ამიტომ თრადორ წიგნს გადაუხადა იუბილე - „ვეფხისტყაოსნის“ (1966) და „დედაენას“ (1976).

ბეჭედი თაყნიაშვილი

**03 ანე პავახიშვილის მოსაზრებები
0. გოგებაშვილის ნაშრომი „ბურჯი ეროვნებისა“**



1 903 წელს ი. გოგებაშვილმა გამოსცა მეორე შევსებული და შესწორებული ტექსტი ოხუცლებისა „ბურჯი ეროვნებისა“. ნაშრომში ავტორი მეცნიერული და პედაგოგიური პრინციპებით ახასიათებს მშობლიური ენის მნიშვნელობას მოზარდი თაობის აღზრდისა და განათლების საქმეში. ეხება რა ქართული ენის განვითარების ძირითად ეტაპებს, ავტორი შენიშნავს, რომ ქართულმა ენამ დაამყარა შინაგანი პარმონია ჯერ კიდევ მე-12 საუკუნეში. ქართული ენა ისეთივე მდიდარია და მრავალფეროვანი, როგორც ბურჯი კავკასიონისა, როგორც არის ჩვენი ერის ისტორია, წარსული ცხოვრება, სავსე მრავალგვარი მოქმედებით, თვისებით, აზროვნებითა და გრძნობით. შემდეგ ი. გოგებაშვილი ეხება უცხო ენის სწავლების საკითხებს და შენიშნავს, რომ „ოუ ზოგი მოზარდი კარგად სწავლობს უცხო ენას, ეს ფაქტი სრულებითაც არ ეწინააღმდეგება და დედა ენის ორგანულ შეხორცებას მის ბუნებასთან. ის მხურვალე გრძნობა, რომლითაც ადამიანი მიმართვს უფალს, სავსებით გამოიხატება მხოლოდ დედა ენით, იმიტომ, რომ მხოლოდ დედა ენა არის ენა გულისა, გრძნობისა, მხოლოდ დედა ენაზე შეუძლია ილოცოს ადამიანმა გულმხურვალედ (1,3).

ი. გოგებაშვილის აზრით, დედა ენა ბევრად უფრო მჭიდროდ არის შეკავშირებული ადამიანის შინაგან არსებობასთან, ვიდრე რომელიმე სხვა ენა. მისი ფესვები ყველაზე ღრმად არიან გამდგარნი კაცის ბუნებაში. ეს არის ენა ლოცვისა, პოზიციისა, ზნეობრივი და მოქალაქეობრივი მოვალეობისა. დედა ენა უსსნის ბავშვს ბუნებას ისე, როგორც ვერ აუსსნიდა ვერცერთი ბუნებისმეტყველი. მარტოდენ დედა ენას შეუძლია გულის ბავშვის ბუნებას დალოცვილი გულის სამსახური - დრმად შესძრას იგი. დედა ენის გარეშე აღზრდილი ბავშვი ვერასოდეს ვერ შეიგრძნობს მშობლიურ პანგებს, იმ კეთილშობილურ აღტაცებასა და აღმაფრენას, რომელიც გამოიწვევს ხოლმე მოქმედებას გმორი მამულიშვილისა.

ი. გოგებაშვილი ამ ნაშრომში გონივრულად ავითარებს აზრს იმის შესახებ, რომ ყველა პატარა ერი დიდ სახელმწიფოსთან შეერთებული ცდილობს დაამტკიცოს, რომ იგი დირსია დაცულ იქნებს თავისი ენით, ლიტერატურით. ამ წადილის მისაღწევად მათ მიაჩნიათ გამორკვევა და გამოაშკარავება თავისი წარსულის ცხოვრებისა. ხშირად ამ გამოკვლევას აქვს აღვოკატური, გამოსარჩლებითი ხასიათი. ლირსებანი დიდდებიან, ნაკლოვანებები მცირდებიან. მაგრამ მას სარჩულად უდევს უწმინდესი გრძნობა - მამულის სიყვარული და უზენაესი მიზანი - დაცვა თავისი ერის სიცოცხლისა.


იცავს რა დედა ენას, როგორც ბურჯი ეროვნებისა, ი. გოგებაშვილი აღნიშნავს, რომ დედა ენა გამომდინარეობს ბავშვის ბუნებიდან. ბავშვში ჩასახულია დაბადებიდან დედა ენა, ენის ალდო არის ერთ-ერთი წმინდა წერო ენის გამდიდრებისა, მისი გაფურჩქნისა. შემდეგ ავტორი ეხება 6. მარის ნაშრომს „წერილები ვეფხისტყაოსანზე“ (2). ი. გოგებაშვილი აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ქართული პოეზიის გირგვინია. 6. მარი აღნიშნულ წერილში გამოთქვამს ვარაუდს, რომ მთელი ძველი ქართული ლიტერატურა თარგმნილია უმეტეს წილად სომხური ენიდან. ეხება რა „ვეფხისტყაოსანს“ 6. მარი აღნიშნულ წერილში წერს: „ვინ დაამტკიცა, რომ ეს პოემა სპარსულიდან არ არის გადმოთარგმნილი, ან შინაარსით იგი ქართული ქმნილებაა; მე - წერდა 6. მარი, სრულ ჰეშ-

მარიტებად მიმაჩნია რუსთაველის-ავე სიტყვები, რომ მას სპარსულიდან ნათარგმნი ამბავი უნდა გალეჭსოს, სპარსული დედანი აღმოჩნდება, რის იმედს ჯერ კიდევ არ ვარგავ“. ი. გოგებაშვილი ყოველთვის დირსეულად მოიხსენიებს 6. მარს; პარიზის გამოფენისათვის დაწერილ სპეციალურ წერილში „ქართველთა სწავლა - განათლების ნიჭი“, დაწერილი 1901 წელს, 6. მარის შესახებ იგი წერს: „სომხური სიტყვიერების პროფესორი 6. მარი, ახალგაზრდა მეცნიერი, ფრიად ნიჭიერი, რომელსაც ზოგიერთი რუსი სწავლულები ამომავალ ვარსკვლავებს ეძახიან“ (3,292).

ი. გოგებაშვილი არ ეთანხმება 6. მარის მოსაზრებას, რომელიც წერს: „თვით რუსთაველმა, პირველმა პოეტმა საქართველოსამ, თავისით ვერაცვერი შექმნა და სპარსულიდან ისესხა თავისი „ვეფხისტყაოსანი“, თანაც ისე უხეიროდ და დედაენის გაუგებრად, რომ იგი, პოეტმა, გაუგებარია, და სავსეა „უაზრობით“. ამ აზრის საპირისპიროდ ი. გოგებაშვილი აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ქართველ ერს შვიდი საუკუნის განმავლობაში მიაჩნია დიდებულ და თავისებურ ქმნილებად და „დაბადების“ გვერდით აყენებდა. ქართველი ავტორების გარდა, ი. გოგებაშვილი იმოწმებს იმ უცხოელ ავტორებს, რომლებსაც საყურადღებო მოსაზრებები აქვთ გამოქმული „ვეფხისტყაოსანის“ შესახებ. მათგან პირველ რიგში ასახელებს სუვორინს, კონდაკოვს, გულაკს და გერმანელ ფილოლოგს სუტერს (2, 53). იგივე გულაკის აზრით, „ვეფხისტყაოსანი“ ნამდვილი ქართული ნაწარმოებია, თავისებური ნაციონალური ქმნილებად და მისი მსგავსი არ მოიპოვება მოელს სპარსულ ლიტერატურაში.

უბრუნდება რა 6. მარის მოსაზრებებს „ვეფხისტყაოსანის“ შესახებ, ი. გოგებაშვილი აღნიშნავს, რომ ავტორის უკანასკნელი გამოკვლევები იმის იმედს იძლევა, რომ მათი ავტორი შეიცვლის შეხედულებებს ამ პოემის შესახებ. ი. გოგებაშვილი ასევე უმართებულოდ მიიჩნევს 6. მარის შეხედულებებს ს. ს. ორბელიანის წიგნის „სიბრძნე-სიცრუის“ შესახებ. 6. მარის აზრით, ამ წიგნის დიდი ნაწილი ასევე თარგმნილია სპარსული ენიდან.

6. მარის შეხედულებები გააქარწყლებს შველი ქართული



ლიტერატურის ისტორიის მკვლევარებმა. ისინი კრიტიკულად განიხილავდნენ სხვა ავტორთა შეხედულებებს და ერთხმად მიიჩნევენ პოემას ნამდვილ ქართულ ქმნილებად.

ი. გოგებაშვილის ნაშრომის „ბურჯი ეროვნებისა“ გამოქმნაურა ივანე ჯავახიშვილი. მან გამოაქვეყნა ნაშრომი „მამულიშვილობა და მეცნიერება“. ნაშრომის შესავალ ნაწილში ი. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ „ბურჯი ეროვნებისა“ ისეთი წიგნი გახლავთ, რომ მისი უყურადღებოდ დატოვება არ შეიძლება. ავტორს დიდი სახელი

აქვს მოხვეჭილი და მის აზრებს საზოგადოება ყურადღებით უსმენს, მაგრამ წიგნში გადმოცემული ზოგიერთი მოსაზრება „ჩვენი წარმატებისათვის ფრიად მავნებლად უნდა ჩაითვალოს“. ამ ცდარ აზრებს, რომლებიც ამ წიგნშია გადმოცემული, იმეორებს ზოგი ჩვენი საზოგადოების წარმომადგენელი. ი. ჯავახიშვილი იზიარებს ი. გოგებაშვილის აზრს იმის შესახებ, რომ დედა ენას ერის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ დედა ენა ჩვენი წარსულისა და აწმყოს სარკეა. აღნიშნულ ნაშრომში ი. გოგებაშვილი ეხება მეცნიერის მამულიშვილურ მოვალეობას. ი. ჯავახიშვილს არ მოსწონს ი. გოგებაშვილის გამონათქვამი იმის შესახებ, რომ „ხშირად მეცნიერულ გამოკვლევას აქვს ადვოკატური, გამოსარჩლებითი ხასიათი“. ი. ჯავახიშვილი არ იზიარებს ასევე ი. გოგებაშვილის აზრს იმის შესახებ, რომ „მხოლოდ იმ ერს უნდა პქონდეს კანონიერი უფლება შეინარჩუნოს თავისი დედა ენა და კულტურა, რომელთაც თავი მოაქვთ ბრწყინვალე წარსულით“. ასეთი მიდგომით, - წერს ი. ჯავახიშვილი - საზოგადოებაში ვრცელდება ცრუ აზრები, რომ საჭიროა ჩვენმა მეცნიერებმა რუსეთის მთავრობას და ხალხს დაუმტკიცონ, რომ ქართველები ნიჭიერები არიან, ოდესაც პქონდათ საუცხოო კულტურა, რათა მთავრობამ გვითხრას, მოგვინიჭებია უკვლეული უფლება და იმყოფება პასიურ მდგომარეობაში. ამის გამო გავრცელდა „მოიდოთ მოწყალების“ პოლიტიკა (4,28). ჯავახიშვილის აზრით, საჭიროა ისე ავადორძინოთ ჩვენი ცხოვრება, რომ ქართული ენის ცოდნა აუცილებლად საჭირო იყოს ყველასთვის. ი.



გოგებაშვილის მოწონებული „ადვოკატური მეცნიერება“, ანუ როცა დირსებანი დიდდებიან და ნაკლოვანებები მცირდებიან „უნაყოფო და უმნიშვნელოა ქართული პოლიტიკისათვის. ჩვენი მეცნიერნი - განაგრძობს ი. ჯავახიშვილი, - რომლებიც ბატონ გოგებაშვილის გემოვნებაზე სამეცნიერო ადვოკატურ გამოკვლევებს შეთხხავენ, მთავრობის ნაციონალურ პოლიტიკას ვერასგზით ვერ შეცვლიან“. ასეთი გამოკვლევებით, ი. ჯავახიშვილის აზრით, ჩვენვე მოვიტყუებოთ თავს. გოგებაშვილისეული ისტორია უფრო ნაციონალური ხუმრობაა, ვიდრე მეცნიერება. ი. ჯავახიშვილის აზრით, ი. გოგებაშვილი მოუწოდებს მკვლევარებს, ჩვენი ისტორია აქციონ ნაციონალურ ხოტბა-შესხმად, მამულის დალაცს სწამებს ყველას, ვინც ჩვენი წარსულის დირსებას არ აზვიადებს და ნაკლოვანებებს არ ამცირებს. ეს ჩვენი წარმოჩენის სამწუხარო ნიშანია. ისტორიკოსი მოვალეა, - განაგრძობს ი. ჯავახიშვილი, მხოლოდ მეცნიერულად შეისწავლოს და გამოიკვლიოს ამა თუ იმ ერის წარსული; გამოიკვლიოს, რა ზეობრივ და გონიერი წარმატებას აღწევს იგი.

ყოველი განათლებული ეროვნებისათვის, რომელსაც თვითშეგნება მოეპოვება, აუცილებლად საჭიროა იცოდეს თავისი საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორია, იცოდეს ჭეშმარიტი ისტორია და არა გაზვიადებული, ყალბი. ე. წ. „ადვოკატური“. ისტორიის დაწერა შეუძლია იმ მეცნიერს, ვინც არავითარ ზენებრივ მოვალეობას არ გრძნობს მეცნიერების წინაშე. გამოსარჩდებითი, გაზვიადებული ისტორიის წერა არ უნდა ახასიათებდეს მამულისადმი მხერვალე სიყვარულით აღსავსე მეცნიერს; საქართველოს ისტორიის ცოდნა მისაბადა კი არ არის საჭირო, არამედ ჩვენთვის შესასწავლადაა აუცილებელი. ბრწყინვალე წარსული ვერას გვიშველის, - წერს ი. ჯავახიშვილი, - თუ წარსულში რაიმე ნაკლი გაქონდა, მისი დამალვა კი არა, გამოაშკარავებაა საჭირო.

ი. ჯავახიშვილის შეხედულებები და მოსაზრებები ი. გოგებაშვილის ნაშრომზე „ბურჯი ეროვნებისა“ ნათელი დადასტურებაა ორი დიდი ქართველი მამულიშვილის მეცნიერულ თვალსაზრისხე ქართული ენისა და საქართველოს ისტორიის შესწავლის შესახებ. ივანე ჯავახიშვილს არა ერთ და ორ სამეცნიერო ნაშრომში აქვს გამოთქმული საკუთარი მოსაზრებები „ვეფხისტებისნის“ შესახებ. ტექსტის დადასტურება არ გვაძლევს, რომ მედიების იგი ერთხელ, თდესმე ბრძენთა-ბრძენი შეიქმნეს, მეცნიერო-მეცნიერიც გამოდგეს, მაგრამ ჯერ არც დრო და არც მისი ნაშრომები უფლებას არ გვაძლევს, რომ მედიდურად მოძვრავდეს ი. გოგებაშვილს“. ეხება რა ი. გოგებაშვილის ნაშრომს „ბურჯი ეროვნებისა“, აკაკი აღნიშნავს, რომ ამ ნაშრომის წაკითხით ყოველი ქართველი მადლობის გრძნობით უნდა აღივსოს.

მოსაზრებაზე, რომ „პოემა „ვეფხისტებისნი“ დიდებულ თამარ მეფის ხანას ეკუთვნის, მხოლოდ ამ დროს იყო შესაძლებელი, რომ წარმოშობილიყო ხელოვნების უმწვერვალები პოეტური ქმნილება“ (ქართველი ერის ისტორია, თბ., (5, 666).

ი. ჯავახიშვილი თავის ნაშრომში, რა თქმა უნდა, არინციპულად არ ეთანხმება ი. გოგებაშვილს მისი მოსაზრებების გამო ნ. მარის შესახებ. კერძოდ, ი. გოგებაშვილი წერს ნ. მარის მეცნიერული კვლევის იმ მიმართულებებზე, სადაც ლაპარაკია ძველ ქართულ მწერლობაზე, როგორც აღნიშნეთ, რომელის დიდი ნაწილი თითქოს ნათარგმნია სომხური ენიდან.

ი. ჯავახიშვილის ნაშრომს „მამულიშვილობა და მეცნიერება“ მოგვიანებით გამოეხმაურა ი. გოგებაშვილი. თავის წერილში „მკითხველისადმი: ი. ჯავახიშვილის წერილის გამო“ (6,2-3). თავის წერილში იაკობი აღნიშნავდა, რომ ჩვენი პროფესორი უარყოფს ჩვენი წარსულის თავისებურებებს, შემოქმედებით ძალას. პირადი შეხვედრის დროს იაკობმა უსაყვედურა ი. ჯავახიშვილს იმის თაობაზე, რომ იგი სიტყვას არ სძრავს, როცა ჩვენი ერის წარსულს ცილსა სწამებენ. იაკობს მხედველობაში ჰქონდა ნ. მარის შეხედულებები „ვეფხისტებისნიზე“ და ძველი ქართული მწერლობის შესახებ. ი. გოგებაშვილი პირდაპირ საყვედურობს ი. ჯავახიშვილს, რომ იგი მხერვალე ადვოკატი და დაუდალავი მოსარჩევე ჩვენი მეზობელი ხალხისა.

ი. გოგებაშვილისა და ი. ჯავახიშვილის მეცნიერულ კამათს იმავე 1904 წელს გამოეხმაურა აკაკი წერეთელი. თავის წერილში „ქართველთა მოძულები“ (7,2) აკაკი ეხება ნ. მარის მოსაზრებებს „ვეფხისტებისნის“ შესახებ. პოეტი გადაჭრით იცავს დიდი ქართველი პედაგოგის ი. გოგებაშვილის მოსაზრებებს „ვეფხისტებისნის“ შესახებ. „ი. გოგებაშვილის ნაწერებს - წერს აკაკი, არა მარტო პედაგოგიურს, პუბლიცისტურსაც დიდადი ყურისმგდებელი პყავს; იგი თავის გზაზე მიდის, სწორად, შეუპოვრად“. ი. ჯავახიშვილის შესახებ აკაკი აღნიშნავს, რომ შეიძლება იგი ერთხელ, თდესმე ბრძენთა-ბრძენი შეიქმნეს, მეცნიერო-მეცნიერიც გამოდგეს, მაგრამ ჯერ არც დრო და არც მისი ნაშრომები უფლებას არ გვაძლევს, რომ მედიდურად მოძვრავდეს ი. გოგებაშვილს“. ეხება რა ი. გოგებაშვილის ნაშრომს „ბურჯი ეროვნებისა“, აკაკი აღნიშნავს, რომ ამ ნაშრომის წაკითხით ყოველი ქართველი მადლობის გრძნობით უნდა აღივსოს.

ი. ჯავახიშვილი დადებითად აფასებს ი.

გოგებაშვილის ზემოადნიშნულ ნაშრომს. მან თავისი მოსახრებები გამოიკვა ავტორის ოქნისებზე იმის შესახებ, რომ საქართველოს ისტორიის კვლევის პროცესში არ უნდა დაფუროთ ჩვენი ნაკლოვანებები და მეცნიერულ კვლევას არ უნდა მივცეთ „გამოსარჩლებითი, ადგომკატური“ ხასიათი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გოგებაშვილი, ი. ბურჯი ეროვნებისა.-თბ., 1903.-64 გვ;
2. მარი, ნ. წერილები ვეფხისტეოსანზე// ჟურნ. თეატრი .-1890.-№12;

3. გოგებაშვილი, ი. თხზულებანი: ტ.2.-თბ., 1990.- 526 გვ;
4. ჯავახიშვილი, ი. მამულიშვილობა და მეცნიერება .-თბ., 1904.-52 გვ;
5. ჯავახიშვილი, ი. ქართველი ერის ისტორია .-თბ., 1913.- 708 გვ;
6. გოგებაშვილი, ი. მკიოხველისადმი: ი. ჯავახიშვილის წერილის გამო//ცნობის ცურცელი .- 1904 . №2481;
7. წერილები, აკაკი . ქართველთა მოძღვანები//ივერია .- 1904.- №128-129.

ნივნის ისტორია

ნინო ხვარიშვილი

პარიზის სამეფო სტამბა



ლუი მედი მედი სამეფო სტამბა.

სტამბა, რომელზედაც ჩვენ ვისაუბრებთ, 1640 წელს დაარსდა პარიზის სამეფო სასახლეში - ლუვრში. იგი თავდაპირველად სამეფო სტამბად მოიხსენიებოდა, ნაბოლეონ ბონაპარტის მმართველობის პერიოდში კი საიმპერატორო სტამბის სახელი მოირგო. საფრანგეთის სახელმწიფოს რესპუბლიკად ჩამოყალიბების შემდეგ მან ისევ შეიცვალა სახელწოდება და ნაციონალურ სტამბად იწოდება. ეს მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი და ამჟამად მოქმედი პოლიგრაფიული საწარმო დაარსეს მეფე ლუდოვიკ მეცამეტემ და მისმა პირველმა მინისტრმა არმან უან დიუ პლეს რიშელიე. იგი სახელგანთქმული წიგნის მოყვარული და ბიბლიოფილი გახდათ. კარდინალმა

რიშელიემ საქუთარი მდიდარი კოლექცია, რომელმაც შემდგომში საფუძველი ჩაუყარა პარიზის უნივერსიტეტის, სორბონის ბიბლიოთეკის წიგნად ფონდს, პარიზელ მესტამბეთა საზოგადოებას გადასცა. კარდინალსა და საზოგადოებას შორის დაიდო პირობა, რომ ეგზემპლართა გარკვეულ რაოდენობას, მთავრობის განკარგულებით, მისიონერული დანიშნულებით გამოიყენებდნენ. საზოგადოების საქმიანობა მხოლოდ საკუთარ ინტერესებს ეყრდნობოდა და არ ეთანხმებოდა კარდინალის გადაწყვეტილებებს. ამის შესაბამისად, რიშელიემ დაარსა სამთავრობო დაწესებულება - სამეფო სტამბა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა სებასტიან კრამპუზი (1585-1669). მისი რჩევით მეცემ პოლანდიის ელჩს უბრანა გაერკვია შავი სასტამბო სადებავის საიდუმლოება, რომელიც ამონაბეჭდზე იძლეოდა დრმა და სქელ ტონებს. პოლანდიიდანვე მიიწვიეს ოთხი ამწყობი და ოთხი მბეჭდავი. ახლადდაარსებულ სტამბაში შრიფტების ძირითად მარაგს ფრანცისკ I-ის შრიფტების კოლექცია წარმოადგენდა. დაარსების პირველივე წლებში სტამბის ტექნიკური აღჭურვისათვის დაუნანებლად გაიღეს თანხები, შეიძინეს შვიდი საბეჭდი დაზგა და მოიპოვეს ლათინური, ძერძნული და აზიური შრიფტების საუკეთესო კომპლექტები. კარდინალის ჩანაფიქრისა და მეცვის მოთხოვნის შესაბამისად ადნიშნულ სტამბაში დაბეჭდილ ნებისმიერ წიგნს თავისი მაღალი პოლიგრაფიული ხარისხით უნდა დაეზრდილა სხვა გამოცემები.



CANTICVM CANTICORVM SALOMONIS.

Quod Hebraice dicitur SIR HASIRIM.

CAPVT PRIMVM.

 SCVLETVR me osculo oris
sui: quia meliora sunt vbe-
ra tua vino, fragrantia vn-
guëtis optimis. Oleum ef-
fusum nomen tuum: ideo adolescentu-
læ dilexerunt te. Trahe me: post te cur-
remus in odorem vnguentorum tuorum.
Introduxit me rex in cellaria sua: exul-
tabimus & lætabimur in te, memores
Nnn

წმინდა ბიბლიია. 1642. პარიზი. სამეცნი სტამბა.

ბი. ამ ფაქტმა განსაზღვრა სამეცნი სტამბაში დაბეჭდილ წიგნთა არაჩვეულებრივი გარებნები სახე: დიდი ფორმატი, ულამაზესი და მრავალფიგურიანი გრავიურები, მკაფიო და ნატიფი შრიფტი, სამეცნი შროშანებით შემკული სუპერექსლიბრისიანი ტარსიკონის წიოქლი ყდები.

სამეცნი სტამბის საშრიფტო მარაგი ად-
მოსავლური შრიფტებით შეავსო კონსტან-
ტინეპოლიში წარგზავნილმა სავარი დე
ბრევესმა, რომელიც დაინტერესებული იყო
ადმოსავლური ლიტერატურით. მან შეაგრო-
ვა ხელნაწერებისა და შრიფტების არაჩვეუ-
ლებრივი კოლექცია. მოლიანობაში ბრევეს-
მა მოიპოვა 1600 არაბული, საარსული და
სირიული პუნქსონი. კონსტანტინეპოლიდან
დაბრუნების შემდეგ მან რომესა და პარიზ-
ში დაბეჭდა არაერთი წიგნი, მათზე ადნიშნუ-
ლი წარწერით „Ex typographia Savarina“. სავარის
გარდაცვალების შემდეგ (1627), მრავალმა
სცადა მისი შრიფტების ხელში ჩაგდება. 1632
წელს მეცნის საიდუმლო დაგალებით მესტამ-
ბე ანტონიო ვიტრემ მოახერხა ბრევესის
შრიფტების შეძენა თიოქმის უმნიშვნელო
თანხად - 4 300 ლიკრად. მრავალწლიანი
გაუგებრობის შემდეგ ადნიშნული კოლექ-

ცია ვიტრეს გარდაცვალების შემდეგ (1691)
სამეცნი სტამბის საკუთრებაში გადავიდა.

სამეცნი სტამბის პირველი გამოცემა გახლ-
დათ საღვთისმეტყველო კრებული „ქრისტეს
მიმსგავსების შესახებ“. წიგნი დაიბეჭდა
„ინ-ფოლიოს“ ფორმატზე. ტექსტს წაუმდგა-
რეს სპილენძზე გრავირებული ფრონტისპისი
ლუდოვიკო მეცამეტეს გამოსახულებით. პირ-
ველივე წიგნში იგრძნობოდა განსაკუთრებუ-
ლი ზრუნვა მხატვრული გაფორმების მიმართ,
რომელიც შემდგომში ამ პოლიგრაფიული
საწარმოს დამახასიათებელ ნიშნად გადაი-
ქცა.

კარდინალ რიშელიეს უპირველესი საზ-
რუნავი საღვთისმეტყველო ლიტერატურის
გამოცემა და მოსახლეობაში მისი უფასო
დარიგება გახლდათ. 1640 წელსვე პარიზის
სამეცნი სტამბაში ოთხი წიგნი გამოიცა, მათ
შორის „ახალი აღთქმის“ ორტომეტული და
წმინდა ბერნარდის „თხზულებათა კრებულის“
ექსტრომეული. სტამბის საქმიანობა სწრაფად
განვითარდა და პირველ ათწლეულში გამოი-
ცა მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე დაბეჭდი-
ლი ასამდე დასახლების წიგნი გაფორმებუ-
ლი, არაბერებულებრივი ილუსტრაციებით და
ვინიებებით. მათ ქმნიდნენ საუკეთესო მხატ-
ვრები და გრავიურები, რომელთა შორის იყო
ნიკოლა პუსენი (1594-1665).

მომდევნო წელს გამოცემების რეპერტური
გაფართოვდა. სასულიერო ლიტერატურის
გარდა, სტამბამ ანტიკურ ავტორთა ნაწარ-
მოებების გამოცემა დაიწყო: პირველი - რო-
მაელი პოეტის პუბლიუს ვერგილიუს მართ-
ნის თხზულებათა კრებული იყო, რომელიც
დაიბეჭდა ორ გამოცემად - დიდ და მცირე
ფორმატზე. წიგნი იწყებოდა ფრონტისპის-
ით, რომელიც ნიკოლა პუსენის უერწერული
ნამუშევრის მიხედვით შეასრულა გრავიორ-
მა კლოდ მელანმა (1598-1688). ეს იყო კლა-
სიციზმისათვის დამახასიათებელი ტიპური
„საგმირო“ კომპოზიცია კარგად ჩაფიქრე-
ბული სიუჟეტითა და მკაფიო რეალისტუ-
რი გამოსახულებით. ამავე ოსტატებმა იზ-
რუნეს რომაელი პოეტის კვინტუს პორაციუს
ფლაკუსის (ძვ. წ. 65-ძვ. წ. 8) თხზულებების
შექმნაზეც, რომელიც 1642 წელს გამოიცა. ანტიკურ ავტორთა გამოცემების კოლექცია
შეიცვალა პუბლიუს ტერენციუსის (ძვ. წ. 195-ძვ. წ. 159) „კომედიებით“.

წიგნის მხატვრული გაფორმების ნამდ-
ვილ შედევრს წარმოადგენს ამავე წელს გა-
მოცემული რვატომეტული „წმინდა ბიბლიია“. სამეცნი სტამბის გამოცემათა უმრავლესობის
მსგავსად, ისიც დიდ ფორმატზე დაბეჭდეს.
ანაწყობ სატიტულე ფურცელს წინ უძღვდა

გრავიურა, რომელიც ფრონტისპისსაც წარმოადგენდა. იგი შეასრულეს იმავე მხატვრებმა - მელანდა და პუსენმა. არაჩვეულებრივი თავსართებით, სიუჟეტური ინიციალებითა და გრავიურებითაა შემკული „ბიბლიის“ ცალკეული ტრემბის დასაწყისი ფურცლები. თავსართები შესრულებულია ბაროკოს ტრადიციებით და დატვირთულია სიმბოლოებით, რომელიც სამეფო ხელისუფლების ძალასა და სიდიადეს განასახიერებს. საწყის გვერდებზე დაბეჭდილი ჩაღრმავებული გრავიურა სასტამბო ანაწყობში ნაბეჭდი ტექსტის მოსახლეობიდა განთავსებული. ტექსტი დაბეჭდილია ხელის საბეჭდ დაზგაზე, ორნამენტები კი ღრმა ბეჭდვის დაზგაზე. ტექსტი აკრეფილია რომაული ანტიკვით, რომელიც თავისი მოხაზულებით ცნობილი შრიუბრჩამომსხმელის ქან ქანონის (1580–1658) მიერ შექმნილი შრიფტის მსგავსია. უნდა აღინიშნოს, რომ გამოცემის მხატვრული გაფორმება განხორციელდა სტამბის პირველი დორექტორის სებასტიან კრამუაზის დაუდალავი მეთვალყურეობით. მან ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ წიგნი პოლიგრაფიულად უზადოდ შეესრულებინათ. საფრანგეთის სამეფო სტამბაში შემონახულმა ამ შრიფტის პუანსონებმა საფუძველი ჩაუყარა ფრანგი შრიფტის მხატვრის კლოდ გარამონის (1499–1561) გარნიტურებს. ერთ-ერთი, „ბერძნული სამეფო შრიფტი“ გამოყენებული იყო 1642 წელს ბერძნულ ენაზე გამოცემული „ახალი აღთქმის“ დასაბეჭდად.

სამეფო სტამბის პირველი გამოცემები დიდ ე. წ. საზეიმო ფორმატზე - „ინ-ფოლიოზე“ იბეჭდებოდა. ეს ტრადიცია მხოლოდ 1644 წელს დაარღვიეს, როდესაც გამოიცა რომაელი ისტორიკოსისა და მწერლის გაიუს ტრანკვილიუს სვეტონიუსის ნაშრომი „ორომები ცეზარის ცხოვრების შესახებ“. წიგნი ფურცლის მე-12 ნაწილზე დაბეჭდეს და სპილენზე გრავირების მეთოდით შესრულებული არაჩვეულებრივი ილუსტრაციებით შეამკეს.

სტამბის გახსნიდან მაღვევე, 1643 წელს საფრანგეთის სამეფო ტახტზე ავიდა ლუდოვიკო XIV. იგი თავის პირველ მინისტრ ჯულიო მაზარინისთან ერთად პოლიგრაფიული საქმის დიდი გულშემატკივარი გახდათ. მაზარინის 45 000 ტრმის მომცველი ბიბლიოთეკა ცნობილმა ბიბლიოგრაფმა გაბრიელ ნოდემ მოაწესრიგა და აღწერა.

სწორედ ლუდოვიკო XIV-სა და ჯულიო მაზარინის ინიციატივით 1650 წელს ფურცლის 24-ე ნაწილზე დაიბეჭდა პარაწინა წიგნი „სამეფო სტამბა“. იგი ამავე სტამბის 1640-1650

წლების გამოცემათა კატალოგს წარმოადგენდა. წიგნს საფრანგეთის მეფისა და მის მიერ სტამბის დაარსების გადაწყვეტილების სადიდებელი ლექსები ახდავს. შეიძლება ითქვას, რომ ამ გამოცემით საფუძველი ჩაეყარა ჩვენს დრომდე შემონახულ ტრადიციას - მინიატურული წიგნებით საიუბილეო თარიღების აღნიშვნას.

სებასტიან კრამუაზის გარდაცვალების შემდეგ სტამბას საოავეში ჩაუდგა მისი შვილიშვილი სებასტიან მაბრე-კრამუაზი (1642-1687). მან ახალგაზრდობაშივე გამოავლინა წიგნისადმი დიდი სიყვარული და მისი გარებული ფორმების სილამაზის აღქმის უნარი. უმცროსმა სებასტიანმა შესანიშნავი სკოლა



სტამბის სახელოსნო. XVI ს. მინიატურა ანგლიურ კერარი.

გაიარა ბაბუასთან სტამბაში.

მაბრე-კრამუაზის ერთ-ერთი პირველი ნამუშევარი იყო „მეფის კაბინეტის“ სერია, რომელიც მოწოდებული იყო საფრანგეთის მეფეთა რეზიდენციის - ვერსალის სასახლის მშვენიერების წარმოსაჩენად. ამ სერიის პირველი წიგნი - „ვერსალის გასართობები“ 1674 წელს გამოიცა. იგი შემცირდი იყო ლეპორტასა და ფრანსუა შოვოს ექვსი სპილენბის ფირფიტაზე შესრულებული გრავიურით. 1677 წელს გამოიცა „ვერსალის ლაბირინ-

თები“. წიგნისათვის ტექსტი დაწერა შარლ პიერომ, რამაც შემდგომში მას დიდი პოპულარობა მოუტანა. წიგნში დე ბანსერადეს იგავებიც იყო განთავსებული. „ვერსალის ლაბირინთები“ დამშვენებული იყო სებასტიან ლე კლერკის ორმოცი გრავიურით. წიგნი იმდენად დიდი პოპულარობით სარგებლობდა, რომ 1679 წელს საჭირო გახდა მისი ხელმეორედ გამოცემა. „მეფის კაბინეტის“ სერიის სხვა წიგნებს პირიქით, დიდ ფორმატზე ბეჭდავდნენ. თავისი არსით ისინი გრავიურის ალბომები იყო, თანხმდები მინიმალური ტექსტით. ალბომებში გრავიურების სხვადასხვა რაოდენობაა: „ვერსალის შადრევნები“ - 20 გრავიურა, „ვერსალის აუზები“ - 7 გრავიურა და „ანტიკური და თანამედროვე ქანდაკებები“ - 18 გრავიურა.

უმცროსი სებასტიანის ერთ-ერთი შედევრი გახდა რომაელი პოეტის ჰუბლიუს თვიდიუს ნაზონის პოემა „მეტამორფოზები“, რომელიც 1676 წელს გამოიცა. იგი ფრანგულ ენაზე თარგმნა პოეტმა ისააკ დე ბენსერადიმ (1612-1691). წიგნი ფურცლის მეოთხედ ნაწილზე დაბეჭდილი და შემკულია ხეზე და სპილენძზე ნაბეჭდი გრავიურებითა და ვინიეტებით. გამოცემა იმდენად არაჩვეულებრივად გაფორმებული გამოვდა, რომ თავისი სილამაზით გადააჭარბა XVIII საუკუნეში დაბეჭდილ ყველა ფრანგულ წიგნის. ეს პოლიგრაფიული მარგალიტი შეამკავე ჟ. ლე პოტრომ, ფრანსუა შოვომ და სებასტიან დე კლერკმა (1637-1714).

სებასტიანს საიუველირო ხელოვნების საფუძვლები შეასწავლა მამამ - ლორენ დე კლერკმა. იგი იუველირი და ვაჭარი გახლდათ. სასახლის მხატვრის - შარლ ლებრენის რევით სებასტიანი ჩაირიცხა აკადემიაში და შესანიშნავად დაუუფლა გრავირების ტექნიკას, რასაც მოელი თავისი ცხოვრება მიუძღვნა. მას ლუდოვიკო XIV-ემ სამეფო კარის გრავირის წოდება უზოდა.

სამეფო სტამბაში მაბრე-კრამუაზმა დაიწყო სამეცნიერო კრებულების გამოცემა. პირველი მათ შორის იყო საბუნებისმეტყველო ნაშრომი „ჩანაწერები მცენარეთა ისტორიის შესახებ“. 1676 წელს დაბეჭდილი ტომი 38 გრავიურით იყო ილუსტრირებული. მისი ავტორი საფრანგეთის აკადემიის წევრი - დენი დოდე გახდათ. ეს კრებულიც პოპულარობით სარგებლობდა

და 1679 წელს ხელმეორედ გამოსცეს ოდნავ შეცვლილი სახით, ფურცლის მე-12 ნაწილზე. წიგნი 281 ილუსტრაციით დაამშვენეს და სამ ტომად დაბეჭდეს. განმეორებითი გამოცემები გამოვიდა 1701, 1768 და 1780 წლებში.

სამეფო სტამბამ დაიწყო საფრანგეთის აკადემიის შრომების რეგულარული გამოცემა. ეს წიგნები ილუსტრირებული იყო სპილენძის ფირფიტაზე შესრულებული გრავიურებით: 1681 წელს გამოიცა დანიელი ასტრონომის ტიხო ბრაგეს „ასტრონომიული ობსერვატორიის საგანძურო“. მისი ტირაჟი 500 ეგზემპლარი გახლდათ. ფრანგი აკადემიკოსების სტატიების კრებულში, რომელიც 1690 წელს გამოიცა, 151 გრავიურა განთავსდა. სამეფო სტამბისა და საფრანგეთის სამეცნიერო წრეების თანამშრომლობის გვირგვინს წარმოადგენდა „სამეფო აკადემიის ისტორიის“ 80 ტომი. იგი 1714-1791 წლებში დაიბეჭდა და თითოეული ტომი ეძღვნებოდა ადამიანის შემეცნების ერთ-ერთ კონკრეტულ დარგს. სამეცნიერო გამოცემებში გამოკრისტალდა და ჩამოყალიბდა სამეცნიერო-ტექნიკური ილუსტრაციების ჟანრი. მისმა წარმოშობამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა წიგნის ხელოვნების მრავალსაუკუნოვან ისტორიაში.

პოლიგრაფიული საქმიანობით დაინტერესებაში ლუდოვიკ XIV არ ჩამოუვარდებოდა თავის წინამორბედს. 1692 წელს, მისი ინიციატივით დაიწყო ყოვლისმომცველი და მრავალტომიანი ნაშრომის „ხელოვნებისა და ხელობის სრულყოფა და აღწერა“ - „Description et perfection des arts et des metiers“. გამოცემის პირველი ტომი, რომელიც შრიფტის ჩამოსხმას, წიგნის დასტამბვასა და დაყდავებას ეძღვნებოდა, მნიშვნელოვანი წყარო უნდა ყოფილიყო პოლიგრაფიული ტექნიკის ისტორიაში. თუმცა, მან იმედები ვერ გაამართლა, რის გამოც, მომდევნო ტომების გამოცემა შეჩერდა. ერთი წლით ადრე გამოიცა ამავე სტამბის შრიფტებისა და ლითონის ხელსაწყოების ალბორი. ამ ტომის ტირაჟი მხოლოდ ორი ეგზემპლარი გახლდათ. ერთ-ერთი მათგანი საფრანგეთის ნაციონალურ ბიბლიოთეკაშია დაცული.

სამეფო სტამბა ფლობდა მდიდარ საშრიფტო მეურნეობას. 1692 წელს იგი შეადგენდა ლათინურ 546 პუნქტონსა და 3257 მატრი-



პარიზის სამეფო სტამბა სუპერექსლიბრიის.

ცას; ბერძნულ 529 პუანსონსა და 2479 მატრიცას, ასევე, მრავალრიცხოვან აღმოსავლურ შრიფტს. მიუხედავად ამისა, ლუდოვიკო XIV-ემ გასცა მნიშვნელოვანი განკარგულება კონკრეტულად სამეცო სტამბისათვის ჩამოუსხაო ახალი ფრანგული შრიფტი. ამ განკარგულების შესასრულებლად, 1692 წელს, შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელსაც დაევალა სამეცო სტამბისათვის შეექმნათ შრიფტ „ანტიკვას“ მაღალსრულფოფილი ვარიანტი. პროექტის პრაქტიკაში განხორციელება დაევალა ფილიპ გრანჯონს (1666-1714). ამ საქმით საფუძველი ჩაეყარა სამეცნიერო კვლევას შრიფტების შესახებ. ნიკოლა ჟანსონმა შეიმუშავა ლიტერების კონსტრუქცია, რომლის საფუძველს წარმოადგენდა 2304 ნაწილად დაყოფილი კვადრატი. არაჩვეულებრივი შრიფტის გარნიტური პირველად 1702 წელს გამოიყენეს გამოცემისათვის - „edalles sur des principaux evenements du regne de Louis le Grand“.


კრამუაზების შემდეგ სტამბას ლიონელი მესტამბე ჟან ანისონი უძღვებოდა, რომელმაც 1709 წელს მმართველობა ოავის სიძესა და კომპანიონს ქლოდ რიგოს გადაბარა. მოგვიანებით, იგი ისევ ანისონმა შეცვალა. უკელას ჩამოთვლა რა თქმა უნდა, შეუძლებელია, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ წიგნის ბეჭდვის საქმე საფრანგეთში დიდი პატივით სარგებლობდა. კარდინალ რიშელიეს მიერ დაარსებული ფრანგული აკადემიის სხდომები ხშირად იმართებოდა მისი მესტამბის, ჟან კამიუზის სახლში. ეს უკანასკნელი რამდენჯერმე იყო დანიშნული აკადემიის ოფიციალურ წარმომადგენლად.

ლუდოვიკო XIV ვერ მოესწრო წიგნის ბეჭდვის საქმეში ოავისი განკარგულებების განხორციელებას, თუმცა საგამომცემლო წარმოება წარმატებულად მიმდინარეობდა. ლუდოვიკო XV-ს მმართველობის დროს სტამბაში იყენებდნენ როგორც ახალჩამოსხმულ, ასევე რესტავრირებულ შრიფტებს.

წიგნის ბეჭდვის საქმეს საფრანგეთში ხელისუფლების მხარდაჭერა არ აკლდა და პოლიგრაფიული მრეწველობაც თანდათან ვითარდებოდა. მე-17-18 საუკუნეების მიჯნა ფრანგული წიგნის ბეჭდვის ხელოვნების თქმოს ხანდაძა მიჩნეული. საფრანგეთის სამეცო სტამბის, როგორც დასაწყის, ისე შემდგომ პერიოდებში შექმნილი, მრავალი გამოცემა მსოფლიო პოლიგრაფიული ხე-

ლოგნების შედევრადაა მიჩნეული.

საფრანგეთის სამეცო სტამბაში გამოიცა ფრანგი ორიენტალისტისა და ქართველოლოგის მარი ბროსეს (1802-1880) ნაშრომები, რომლებზედაც მოგვიანებით ვისაუბრებოთ.



ქრისტეს მიმსავებების შესახებ. 140. პარიზი. სამეცო სტამბა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Немировский, Е. Л. Шедевры мирового полиграфического искусства. - Ч. 2. - М.: 1990. - 80 ст.
2. Книговедение : Энцикл. словарь / Редкол. Сикорский Н. М. (гл.ред.) и др.. - М. : Сов. энцикл., 1982 (Тип. N1). - 617 ст.
3. Булгаков, Ф.И. Иллюстрированная история книгопечатания и типографского искусства: Т. 1- / Ф.И. Булгаков. - Санкт-Петербург: А.С. Суворин, 1889.- 142 ст.
4. Щелкунов М.И., История, техника, искусство книгопечатания. - М/Л. - Гос. Издательство. -1926. - 125 ст.

პროესპონდენცია

ინგა ფილური-ცოხია

ერთი დღე გორის საპარო ბიბლიოთეკაში

29 ნოემბერს გორის საჯარო ბიბლიოთეკას საქმიანი ვიზიტით ერთი ჯგუფი ესტუმრა, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ: აშშ პარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი სტივენ ჯონსი,



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ბშა-ს განყოფილების უფროსი ნანა ხედელიანი, ობილისის მთავარი ბიბლიოთეკის მე-60 ფილიალის უფროსი და ლელა კვინიკაძე და ილიას უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი, საპატიო ბიბლიოთეკარი ინგა ფილაური-ლორია.

ბიბლიოთეკაში მისვლისთანავე ვიგრძენით ის დიდი შემაერთება შრომისა და თავდადების ნაყოფი, რაც აქ სუფევდა. მიუხედავად იმ სინელებისა რაც ამ ბიბლიოთეკას გადახდა თავს, მისი დირექტორის ნანა აბრამიძის დიდი ძალის მექანიზმით და თანამშრომელთა მხარდაჭერით ბიბლიოთეკა დასრულდებოდა წარმატებით ფუნქციონირებს. როგორც ცნობილია 7-8 წლის წინ, წინა ხელისუფლების მიერ გორში ყველა საბიბლიოთეკო ფილიალი და საბავშვო ბიბლიოთეკაც გაუქმდა. გაუქმდული ბიბლიოთეკის ფონდები დორექტორის თავგამოდებითა და ინიციატივით ხელუხლებლად იქნა დაცული.

ბიბლიოთეკა თრ სართულზეა განლაგებული. პირველ სართულზე საცავი და სამკითხველო დარბაზია. დარბაზი ისეა გაწყობილი, ქუჩის მხარეს გამვლელი თვალს ვერ მოარიდებს, ამიტომ დღის ნებისმიერ დროს

აქ მკითხველთა სიმრავლეა, ჭარბობს ასაკოვანი ადამიანები. პერიოდული პრესა-ურნალ-გაზებები, იქვეა ხელმისაწვდომად, მეორე სართულზე დიდ ნაოელ დარბაზში ამერიკული კუთხეა, ამერიკული ლიტერატურით, თანამედროვე ტექნოლოგიებით და ავეჯით მოწყობილი. ეს ყველაფერი ამერიკის საელჩოს საჩუქარია. სწორედ აქ იმართება სხვადასხვა დონისძიებები, ლიტერატურული სადამოები, შეხვედრები, ბიბლიოგრაფიული მიმოხილვები. ბიბლიოთეკის დირექტორი ნანა აბრამიძე და ბიბლიოგრაფიული განყოფილების უფროსი ნანა კარპაძე თავიანთ ძალისხმევას არ იშურებენ, რომ საზოგადოების მოთხოვნილებებს აუბან მხარი. ბიბლიოთეკის მოსამსახურე პერსონალი გამოირჩევა თავისი პროფესიონალური მიზანით. ბიბლიოთეკაში მოქმედებს ელექტრონული კატალოგი რეგენბიბლიო.

ეს დღე სწორედ მათი ინიციატივით გაიმართა. ბიბლიოთეკის საზოგადოებას წარვედგინეთ აშშ პარვარდიდ უნივერსიტეტის პროფესორის სტივენ ჯონსის წიგნი: საქართველო: დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ. იყო შეკითხვები, დებატები,



დისკუსია, აზრთა გაცვლა-გამოცვლა, პროფესორს გულთბილი სიტყვებით მიესალმნენ ბიბლიოთეკის დირექტორი ნანა აბრამიძე და ბიბლიოგრაფიის განყოფილების უფროსი ნანა კარგაძე, ბიბლიოთეკარებმა დიდი ინტერესი გამოიჩინეს და აგვორს უამრავი შეკითხვა დაუსვეს. სტივენ ჯონსი მადლიერების გრძნობას ვერ მაღლავდა.

წიგნის პრეზენტაციის შემდეგ სტუმრებმა და მასპინძლებმა დავათვალიერეთ გორის ძველი უბნები, ავედით გორის ციხეზე. ეს საოცარი ადგილია, არახვეულებრივი ხედებით. მასპინძლების გულთბილმა და სიყვარულით აღსავსე მიღებას საოცრად კარგი ამინდიც დაემოთხვა. გზა განვაგრძეო სტალინის მუზეუმისკენ. ჩვენმა ამერიკელმა სტუმარმა დიდი

ინტერესი გამოიჩინა მუზეუმისადმი. მუზეუმის გიდი, მანანა ჩუბაკერაშვილი ერთ წუთს არ გვტოვებდა უყურადღებოდ და დიდი სიამოვნებით გაგვაცნო სტალინის ცხოვრება და შემოქმედება. მუზეუმის დირექტორმა ლია თქრობირიძემ ყველას პატარ-პატარა საჩუქარი გადმოგვცა: სოსელოს ლექსები, პატარა სამეცნივანი კრებული და მუზეუმის ბუკლეტი. ჩვენ ამერიკელ სტუმარს კი მიართვეს დოქი სტალინის სურათით მოხატული, რამაც სტივენი ძლიერ გაახარა.

მოედი დღე სითბო, სიყვარული, პატივისცემა და საჩუქრები არ მოგვაპლეს ჩვენმა კოლეგებმა, მადლობა მათ ასეთი ლამაზი დღისოთვის.

III თვალშეინიშვნები

გაფხული ქალაქის ბიბლიოთეკაში

1 ალაქ ამბროლაურის წიგნიერებისა და სულიერების დონის ამაღლებაში თავისი წვლილი შეაქვს ქალაქის ბიბლიოთეკას. მას ყველა ლონისძიება გათვლილი აქებს მკითხველთა ინტერესებისა და მოთხოვნების მიხედვით. სწორედ ერთ-ერთი ასეთი ლონისძიებაა „ზაფხულის სადამო“, რომელსაც ქალაქის ბიბლიოთეკა ყოველი აგვისტოს ბოლოს მასპინძლობს. ტრადიცია არც ამჯერად დარღვეულა. ბიბლიოთეკის მიმდებარე სკერტში გამართულ სადამოს ორგანიზატორიდა ბიბლიოთეკის აქტიური მკითხველი, უკეთ სტუდენტი ქეთევან აბუთიძე, რომელმაც შესძლო ყველა თაობის შემოქმედი ადამიანების ერთად შეკრება და ამგვარად ნაბიჯით მშობლიური ქალაქისათვის ლამაზი სადამოს ჩუქება.

ლონისძიების მსვლელობისას, პროგრამით გათვალისწინებულ მონაწილეთა გარდა, აქტიურობდნენ რაჭაში სხვადასხვა ქალაქებიდან ჩამოსული ახალგაზრდა სტუმრებიც, რომლებიც ამბროლაურელ თანატოლების წიგნების უკანასკნენი რაჭაში შემოქმედი ადამიანების შეკრება და ამგვარად ნაბიჯით მშობლიური ქალაქისათვის ლამაზი სადამოს ჩუქება.

მონაწილე ზურა ნატმელაძე დასახელდა.

ლექსი კი, ყველაზე მხატვრულად ლუკა ბიჭაშვილმა წაიკითხა, ხოლო ცეკვის ნომინაციაში, ახალგაზრდებმა ოვაციებით მათი თანატოლი მარიამ დონაძე დასახელდა.

ლონისძიებას „ზაფხულის სადამო“ სასიამოვნო დატვირთვა აქვს - ახალგაზრდების დაახლოება, მისნებისა და მისწრავებების გაზიარება, სამომავლოდ კუთხის კეთილდღეობაზე ერთიანი ხედვის ჩამოყალიბება და მის რეალიზაციაში აქტიური ჩართვა. 26 აგვისტოს დონისძიებით დამტკიცდა, რომ ახალგაზრდები ამისათვის მზად არიან და ისინი ქვექნის აღმშენებლობაში თავის სიტყვას უთუოდ იტყვიან.

14 სექტემბერს საქართველოს კულტურისა და ძეგლობ დაცვის სამინისტროს „ცოცხალი წიგნები-ს“ პროექტის ფარგლებში ქეთილდღებამე ჯგუფის წევრებსა და თანამდებოვე ქართველ მწერლებთან ერთად ამბროლაურს ესტუმრა.

გელა ჩქანავა, გიორგი კაკაბაძე, ცირა ყურაშვილი, ნინია სადლობელაშვილი, შოთა იათაშვილი, ეკა კვიციანი, ირმა ბერიძე, პატარა შამუგია, ბესო ხვედელიძე- ეს იმ მწერალთა ჩამონათვალია, რომლებიც მკითხველის წინაშე ქალაქის ბიბლიოთეკაში წარსდგნენ.. მკითხველი საზოგადოების წარმომადგენლებს საშუალება მიეცათ, უშუალოდ გასაუბრებოდნენ მწერლებს და მოესმინათ მათ მიერ წაკითხული ლექსები თუ ამონარიდები

საკუთარი შემოქმედებიდან...

მათი სტუმრობა დაემთხვა ნოდარ დუმბაძის გარდაცვალების თარიღს და, ბუნებრივია, იქ მყოფი საზოგადოება გვერდს ვერ აუვლიდა მის შემოქმედებაზე საუბარს. მწერლის ქალიშვილმა, ქოთი დუმბაძემ, ბევრი საინტერესო ეპიზოდი გაიხსენა მამის ცხოვრებიდან, იმ ტრაგედიებზე, რომელსაც მწერალი ცრემლნარები იუმორით გადმოსცემდა.

დონისძიებას ესწრებოდნენ ქალაქის ინტელიგენციის წარმომადგენლები, საკუთარი პოეზია დამსწრე საზოგადოებას წარუდგინეს პოეტებმა: დავით კიკაძემ და გურამ გორდეზიანმა.

შეხვედრის დასასრულს გაიმართა დოსკუსია ლიტერატურულ საკითხებზე, თანამედროვე მწერლობაზე, დისკუსიაში ჩართული იყო დარბაზიც... სტუმრებს კი საბიბლიოთე-

კო სამსახურის უფროსმა, გულნარა სადინაძემ, მადლობა გადაუხადა მობრძანებისათვის და საუკეთესო ღონისძიებისათვის, იმ წიგნებისათვის, რომლებიც ქოთი დუმბაძემ, კულტურის სამინისტროს სახელით, ბიბლიოთეკას გადასცა...

ყოველი წლის სექტემბერში, თანამედროვე ქართველ მწერალთა ჯგუფი საქართველოს სხვადასხვა მხარეს სტუმრობს და მოგზაურობის ემოციებს, შოაბეჭდილებებს თავიანთ მოგონებებში ასახავენ, რაც პროექტითაა გათვალისწინებული. მომავალი წლის სექტემბერში, ქალაქ ამბროლაურს უკვე მწერალთა ახალი ჯგუფი ესტუმრება, ლიტერატურულ პრემიათა ახალი გამარჯვებულები, რომელთა უბის წიგნაკებები ქალაქი ამბროლაური და ზოგადად რაჭაც, ერთ-ერთ საუკეთესო მოგზაურობის ეპიზოდად ჩაიწერება.

მექი ბიოჩიბიძე

ხახაგაურის მე-3 საჯარო სკოლის პედაგოგი

ისრაელში ნამდვილი საქართველო ვნახე...



სრაელში ნამდვილი საქართველო ვნახე...

ყველასათვის ცნობილია, რომ ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული ოეატრი ჭეშმარიტად იქცა ებრაელთა და ქართველთა მეგობრობის დირსეულ მემკვიდრედ. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გამართული სპექტაკლის - „ამ მეგობრობით შევცვლით სამყაროს“ - ექომ საოცარი გრძნობა ჩაასახლა წმინდა მიწაზე მცხოვრებ ქართველ ებრაელთა გულებში...

ოცნებობდნენ, ახლოს ენახათ მათოვის უკვე ლეგენდადქცეული ქალბატონი იზა ვეფხვაძე. უშეალოდ განეცადათ ამ უმშევნიერესი სპექტაკლით გამოწვეული ნებარება...

და ასრულდა მათი ოცნება. ქართულ მიწაზე აღზრდილმა ებრაელი ერის დირსეულმა შვილმა, ბატონმა პაატა იოსეგბაშვილმა მათი ოცნება რეალობად აქცია...

მაშ ასე, ძვირფასო მკითხველო, ჩემი რესპონდენტია ისრაელიდან სულ ახლახან დაბრუნებული ხარაგაულის სახალხო ლიტერატურული ოეატრის მესაჭე, ქალბატონი იზა ვეფხვაძე.

როგორც ცნობილია, თქვენი ორენოვანი წიგნის პრეზენტაცია და სპექტაკლის ჩვენება „ამ მეგობრობით შევცვლით სამყაროს“

გაიმართა ისრაელში. გთხოვთ, მკითხველს მოუთხროთ თქვენი ისრაელში ვიზიტისა და შედეგების შესახებ.

- დაახლოებით ერთი თვის წინ გამოვეცი ორენოვანი წიგნი (ქართულ და ივრიოულ ენებზე) „ამ მეგობრობით შევცვლით სამყაროს“... წიგნი ასახავს ქართულ-ებრაული ურთიერთობის 26 საუკუნოვან ისტორიას. 2014 წელს ამ სახელწოდების სპექტაკლი დავდგით ლიტერატურულ თეატრში, პრემიერა შედგა თბილისის ებრაულ სახლში და კლუბ „26 საუკუნეში“, შემდეგ კი, კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით, სპექტაკლები გავმართოთ ყველა იმ ქალაქში, დაბასა და სოფელში, სადაც ებრაელები საუკუნეოა განმავლობაში სახლობდნენ: მცხოვრა, ქუთაისი, სურამი, კულაში, ლაილიაში, ახალციხე, ბანძა. შემდეგ სპექტაკლის სრული ვერსია გამოვეცი წიგნად, მაგრამ საჭირო იყო, რომ ივრიოულ ენაზეც თარგმნილიყო. ჩემი იდეა გავანდე ქართველ ებრაელს, არქიტექტორს, მეცენატს, ისრაელში მცხოვრებ პაატა იოსეგბაშვილს. მან საკუთარ თავზე აიღო წიგნის თარგმნა-გამოცემის საკითხი. გადავწყვიტეთ, რომ წიგნის პრეზენტაცია პირველად გაგვემართა ისრაელში ქართველი ებრაელებისთვის. ასეც მოხდა. მისივე მიწვევით 14-24 ოქტომბერს ვიმყოფებოდი ისრაელში. ქალაქ ხაიფას მახლობლად, კირიათათაში, გაიმართა წიგნის

პრეზენტაცია და ლიტერატურული სკემატიკული „ამ შეგობრობით შევცვლით სამყაროს...“

სპექტაკლს და წიგნის პრეზენტაციას ეს-წრებოდნენ ისრაელის სხვადასხვა ქალაქში მცხოვრები ქართველი ებრაელები, ასევე ისრაელში საქართველოს საელჩის წარმომადგენლობა. ეს იყო ენით აუწერელი ზეიმი და სიხარული. ცრემლი, ღიმილი, ემოცია, განცდა - ყველაფერი ერთად აირია, ვერ მოვძებნი სიტყვებს იქ მომხდარის გადმოსაცემად. სადამოს 8 საათზე დაწყებული სპექტაკლი წიგნის პრეზენტაცია და ვახშამი დილის 6 საათამდე გაგრძელდა. იქ იყვნენ ისრაელში ცნობილი მომღერლები და ქართული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი. ბავშვებმა საოცარი ემოციითა და გრძნობით შეასრულეს ქართული ცეკვები. 10 დღის განმავლობაში არ ჟღვვებილა ქართველი ებრაელების სტუმრობა ჩემი მასპინძლის ოჯახში, მიწვევა მათ ოჯახებში. ჩემს მასპინძელთან ერთად მიწვეული ვიყავი ისრაელის ქართულ რადიოში, რომელიც მდებარეობს ქალაქ იერუსალიმში. როგორც რადიოს გენერალურმა



დირექტორმა აღნიშნა, ამდენი მსმენელი და
ნახვა იშვიათად პქონია ორმელიმე გადაცე-
მას, ეს იყო ნახევარსაათიანი ინტერვიუ ქარ-
თულ-ებრაულ მეცნიერებაზე.

არ შემიძლია არ აღვნიშნო ჩემი
მასპინძლების, ბატონ პაატასა და ქალბა-
ტონ ლოლას განსაკუთრებული მასპინძლო-
ბა, სტუმარომოყვარეობა. ეს ოჯახი ხაიფაში
ერთ-ერთ ცნობილ და გამორჩეულ ოჯახად
ითვლება. ბატონი პაატა ქალაქ ხაიფას მთა-
ვარი არქიტექტორი გახლდათ წლების გან-
მავლობაში. მათ მომატარეს ისრაელის ქრის-
ტიანული წმინდა ადგილები: იერუსალიმი,
გოლგოთა, გედსამანიის ბაღი, ნაზარეთი,
გოდების კედელი, ბეთანია, კაპერნაუმი, მაცხ-
ოვრისა და ლვითისმარტინის ტაძრები, იერუ-
სალიმის ჯვრის მონასტერი, მდინარე იორ-
დანეში ნათელი ვიცხეთ... არ ვიცი, რომელი
ერთი აღვნიშნო. იმ განცდებს, რაც იქ ეუ-

ფლება მართლმადიდებელ ქრისტიანს, ვერა-
ნაირი სიტყვები ვერ გადმოსცემს, ეს უნდა
განიცადო, ამიტომ სიტყვებით ვერ გავაუფერ-
ულებ ჩემს განცდებსა და გრძნობებს.

მე ისრაელში ნამდვილი საქართველო ვნახე, ქართული პურმარილით, სტუმარობობის გარეობით, დახვეწილი ქართულით, ქართული ცეკვით, სიმღერით, თამადით, ქართული ტრადიციებით, ვნახე, როგორ უმდერიან ჩვილებს იავნანას, ეს ცრემლის გარეშე ვერ მოვისმინე და, თუ შეიძლება, სიხარულის ცრემლი დაედინოს ადამიანს, ეს იყო ათდღიანი ცრემლიანი სიხარული, რადგან დაუთკებელი ემოცია მხოლოდ ცრემლის გზით პოულობდა შვებას. ეს იმხელა ემოცია იყო, რომ 10 დღე თითქმის თვალი არ მომისუჯავს, დილამდე გრძელდებოდა ზღაპრული მასპინძლობა, სტუმრობა, მიწვევა-მოწვევა, სიწმინდეების მოლოცვა-მონახულება, მაგრამ ამ 10-მა დღემ იმხელა საგზალი მომცა, რომ მთელი ცხოვრება მეყოფა. მეშინია კიდევ, როგორ ვაგარო ამხელა სიყვარული და მადლი, რაც იმ მიწამ და ადამიანებმა სამუდამოდ მისაგზლეს ცხოვრების გზაზე. იქ ისეთი სულიერი მეგობრები გავიჩინე, რომ უსაზღვროდ ბედნიერი ვარ. წამოსვლის დღეს წნევა მქონდა, დღემდე მწერენ, მირეკავენ, მიხედე თავს, თორემ ჩამოვალო, აქ ჩამოგიყვანთ და ძალით მოგხედავთო. ყოველ დილით ჩემს ჯანმრთელობის მდგომარეობას ამოწმებენ და უკვე რამდენიმე დღეა ყოველ დილით ისრაელში რამდენიმე მეგობაროან და მასპინძლობან მიწევს მიწერა: „ძალიან კარგად ვარ, არანაირი წნევა აღარ მაწუხებს...“ თრი დღის წინ მაცნობეს, რომ მკვდარი ზღვის კურორტზე დაჯაგშნეს ადგილი, რომ დავისვნო. მოკლედ, ასეთი მზრუნველობა, სიყვარული, მოფერება იციან. ძალიან მადლიერი არიან იმ წიგნისა და სპექტაკლის გამო, რომელმაც მართლაც ძალზე ემოციურად და სრულად დაიტია ქართულ-ებრაული 26 საუკუნოვანი მეგობრობის ემოციური და უნიკალური ფურცლები. ისრაელის ერთ-ერთი სინაგოგის რაბინმა გადაწვიტა, რომ ჩემი წიგნი ინგლისურად თარგმნოს. როგორც აღნიშნა, მოედმა მსოფლიომ უნდა გაიგოს ამ უნიკალური მეგობრობის შესახებ. უკვე შეუდგა კიდევ თარგმნას.

აქვე მინდა დაგამატო, რომ სპეციალურად
ისრაელში გასამართო სპექტაკლისთვის სა-
მოსი შექმნა მოელ მსოფლიოში სახელმოხ-
ვეჭილმა დიზაინერმა, ბატონბა აბრამ ბაზელ-
მა, ხოლო, როცა საქართველოში დავბრუნდი,
მან დამახვედრა ახალი სამოსი თბილისში
გასამართო სპექტაკლისთვის, რომელიც ქარ-
თულ-ებრაულ ოემატიკაზე არის შექმნილი.

საქართველოშიც გაგრძელდა ზეიმის დღეები, როცა თბილისსა და ქუთაისში გაიმართა წიგნის პრეზენტაცია... -მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და დიდი მაღლიერება გამოვხატო თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის ლიტერატურულ სალონს, „საგულისონის“ ენერგიული ხელმძღვანელის, ქალბატონ ცისანა ქოჩხაშვილის მიმართ, რომელმაც შესატყვისი საზეიმო დახვედრა მოგიწყო ისრაელიდან დაბრუნებისას თქვენ და თქვენს გულისხმიერ მასპინძელს ბატონ პაატა იოსებაშვილს...

-დიახ, საქართველოში დავბრუნდი 24 ოქტომბერს ჩემს მასპინძელთან ერთად. 25 ოქტომბერს, თბილისის მთავარმა ბიბლიოთეკისა და ქალბატონ ცისანა ქოჩხაშვილის მიწვევით სპექტაკლის ჩვენება და წიგნის პრეზენტაცია გაიმართა თბილისში, მოსწავლეახალგაზრდობის სასახლის „პიონერფილმის“ დარბაზში. დარბაზი მაყურებელს ვეღარ იტევდა, აქ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსული რამდენიმე ებრაელი ესწრებოდა... იყო საოცარი ემოცია და განცდა სიყვარულისა, პატივისცემა და ხსოვნა განცლილი წლებისა. ქალბატონმა ცისანამ ჩვეული გულისხმიერებით, სიყვარულით და შემართებით წარმართა ეს შესანიშნავი სადამო. სპექტაკლის დაწყების წინ უდიდესი პატივი მერგო წილად, ებრაელი ერის სახელით, ბატონმა ჯამლეთ ხუხაშვილმა გადმომცა ჯილდო - საქართველოს და ისრაელის ვარსკვლავი, სახელწოდებით „ორი ვარსკვლავი“ ...ეს გახდათ პირველი შემთხვევა, როცა ებრაულმა საზოგადოებამ საქართველოს წარმომადგენელს გადასცა ჯილდო, როგორც სიმბოლო თრი ერის გასაკუთრებული სიყვარულისა და გაწეული დგაწლისა.

29 ოქტომბერს წიგნის პრეზენტაცია გაიმართა ქუთაისში, რომელსაც ქუთაისში მცხოვრები ებრაელები და მათი შეზობელ-მეგობრები ესწრებოდნენ. სადამო 6 საათი გაგრძელდა და არავის არ უნდოდა წასვლა, იყო უთვალავი ცრემლიანი სიხარული და ქუთაისური იუმორით გაჯერებული მოგონებები.

პირველ ეტაპზე გამოიცა 700 წიგნი, მაგრამ ეს სრულიად არსაკმარისი აღმოჩნდა. უახლოეს პერიოდში ვაპირებ წიგნის მეორედ გამოცემას, მაგრამ იმდენი მსურველია საქართველო-ისრაელში, რომ არ ვიცი, როგორ შევძლებო მათ დაკმაყოფილებას.

P.S. ინტერნეტ-სივრცეში არ წყდება შთაბეჭდილებათა გაზიარება. წიგნის პრეზენტაციასა და სპექტაკლს ეხმაურებიან: დავით ჭელიძე, თამარ თაოარაშვილი, დალი შენგე-

ლია, ნელი ჯანაშვილი, ანა კოლ შიმშილაშვილი, ნანა დავარი.

ანა კრისელი ისრაელიდან: „მოლოდინს გადაჭარბა გუშინ გამართულ მონო სპექტაკლის ავტორის იზა ვეფხვაძის უჩვეულო ნიჭმა და შეუდარებელმა მესიერებამ. დიდხანს ისაუბრებენ ამ დაუჯერებელი სადამოს შესახებ და მის სულისხამდგმელ ქალბატონ იზას ნიჭზე, მშვენიერებაზე და, რა თქმა უნდა, ბატონ პაატასა და ქალბატონ ლოდაზე, პირველებზე, რომელთაც გვაჩუქეს იზას ნიჭიერება, ფრთვები შეასხეს იზას ოცნებას, რათა ჩვენამდე მოეტანა ეს სიობო და უსაზღვრო სიყვარული. იზამ სიყვარულის ცეცხლი დაანოთ და ახალი ერა დაიწყო ქართულ-ებრაულ ურთიერთობებში.“

ლილი გუგულაშვილი ისრაელიდან: „იზა ვეფხვაძე ორი ერის კაშკაშა ვარსკვლავია. სად არ მიმოგზაურია, რა არ მინახავს, რა არ წამიკითხავს, მსგავსი საგალობელი, რაც იზამ ამ ორ ერს უძღვნა, ჯერ არ მინახავს, არ მსმენია, არ გამიგია. დაილოცოს ქართული მიწა მისი აღზრდისათვის!“

.....

როგორც ერთ-ერთ მაყურებელს, არ ძალიმის ქართველთა და ებრაელთა ურთიერთობის კიდევ ერთი გამორჩეული 25 ოქტომბრის ნამდვილი დღესასწაულის სიტყვებით გადმოცემა.

ისრაელის წმინდა მიწაზე ქალბატონი იზას გულმცურვალე მეგზურის, ბატონ პაატა იოსებაშვილისადმი მიძღვნილმა ქართველი



პოეტის სტრიქონებმა ყველა ჩვენგანის სა-
მადლობელი დაიტია:
ქართულ-ებრაულ მუხის ხარ ძირი,
სავსე გონების ალით,
შენი სულის და სისხლის ნაწილი
ივრითის მიწა არის!

ჩვენს მეგობრობას შეცვლის ვერავინ,
დაულოციათ დმერთებს...
გადაეც სვეტიცხოვლის სალამი
ჯვრის მონასტერს და ბეოლექმს!...

სიცი ჯიჯისაძე

ქართველი სახაჲო ბიბლიოთეკის მუნიციპალიტეტი

ეუთაისის საპარო ბიბლიოთეკის პონფერენცია მასშტაბებს სცდება

1 უთაისის ილია ჭავჭავაძის სახე-
ლობის საჯარო ბიბლიოთეკაში მე-8
საერთაშორისო სამეცნიერო კონ-
ფერენციას უმასპინძლდა. კონფერენცია, რო-
მელიც სხვა სახელმწიფოებში მცხოვრებ
ქართველებს მიეძღვნა, ძალიან პრესტიჟული
და რეზონანსულია როგორც ქართველ, ასევე
საზღვარგარეთელ მეცნიერთა წრეებში. კონ-
ფერენცია გახსნა სახელმწიფო მინისტრმა
და ასპარეზის საქოთხებში გელა დუმბაძემ:

„ის, რომ ქუთაისის ბიბლიოთეკაში მიმდინ-
არე კონფერენციის ოქმა უცხოეთში მცხოვრები
ქართველებია, ეს ძალიან მნიშვნელოვანი
ფაქტორია. მნიშვნელოვანია, რომ ამ ოქმას
განიხილავენ აკადემიურ წრეებში. ამით
შევძლებთ გვერდით დაგუდგეთ ჩვენს თა-
ნამემამულებს ენობრივი და კულტურული
თვითმყოფადობის შენარჩუნებაში და ჩავრ-
ოთ ისინი ქვეყნის აღმშენებლობის საქმე-
ში“.

კონფერენციაზე მოწვეულმა სტუმრებმა
კონფერენცია დადგებითად შეაფახეს და მად-
ლობა გადაუხადეს კონფერენციის ორგანიზა-
ზატორებს.

„ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრები იყო
ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯა-
რო ბიბლიოთეკაში. მოხარია, რომ ამჯერადაც
დაგუჭირეთ მხარი საერთაშორისო სამეცნიე-
რო კონფერენციას, რომელიც უპავ მერვედ
იმართება. საქართველოს ამჟამინდელ საზ-
ღვრებს მიღმა მცხოვრები ქართველების ენის,
დიალექტის, ლიტერატურის, კულტურის,
ეთნოგრაფიისა და ხელოროვნების მცხოვრებ
ჩვენს ქართველობას - აბორიგენებსაც და
ემიგრანტებსაც; ყველას, ვისოვისაც ესოდენ
მნიშვნელოვანია დედა საქართველოსთან
სულიერი სიახლოეს, მამაპაპურ ფესვებთან
წვდომა, ტრადიცია და ფასეულობათა შენარ-
ჩუნება და გაცროხილება.“

სის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო
ბიბლიოთეკის დირექტორი ნარგიზ ჩოგოვაძე:
„VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერ-
ენცია, რომელიც ორი დღის განმავლობაში
მიმდინარეობდა ქუთაისის ილია ჭავჭავაძის
სახელობის საჯარო ბიბლიოთეკაში, მოლი-
ანად მიეძღვნა სხვა სახელმწიფოებში მცხ-
ოვრებ ქართველებს.“

ეს არჩევანი შემთხვევითი არ არის. სწორედ
ამ ფორმით გვინდოვდა ერთ საერთო სივრცეში
მოგვექცია ის საყურადღებო მასალა, რო-
მელიც ისტორიის, ეთნოგრაფიის, ლინგვის-
ტრიკის, ფოლკლორის, კულტურისა თუ სხვა
მიმართულებითაა შესწავლილი და საზღ-
ვარგარეთ მცხოვრები ჩვენებურების შესახებ
მრავალფეროვან სურათს გვაძლევს.

გვინდა, ამ თემატიკური არჩევანით ჩვენი
დიდი სიყვარული და პატივისცემა დაგუდას-
ტუროთ სხვა სახელმწიფოებში მცხოვრებ
ჩვენს ქართველობას - აბორიგენებსაც და
ემიგრანტებსაც; ყველას, ვისოვისაც ესოდენ
მნიშვნელოვანია დედა საქართველოსთან
სულიერი სიახლოეს, მამაპაპურ ფესვებთან
წვდომა, ტრადიცია და ფასეულობათა შენარ-
ჩუნება და გაცროხილება.“

მინდა, გულწრფელი მადლობა გადაუხა-





დო ყველა სტუმარს, კონფერენციის ორგანიზატორებს; განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი ბატონ გელა დუმბაძეს, სახელმწიფო მინისტრს დიასპორის საკითხებში; ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიას იმ დიდი მხარდაჭერისა და თანადგომისათვის, რომელსაც ყოველთვის გამოხატავს ბიბლიოთეკაში ჩატარებული აქტივობების დროს“;

ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე რიგა წაქაძე, კონფერენციის ერთ-ერთი დამფუძნებელი: „მოხარული ვარ, რომ კონფერენცია, რომელმაც ჩემს თვალშინ აიდგა უკეთ, დღეისათვის ასეთი პრესტიჟული და რეზონანსულია.

კონფერენციის იდეა ეგუთვის ბატონ ტარიელ უუბრაძეს. იდეა, რა თქმა უნდა, მისადგები იყო. ამიტომ იმუშავინდელმა დირექტორმა მერაბ გვაზაგამ და მე დავუჭირეთ მხარი ამ პროგრამას, ყველაფერი ვიღონეთ მისი რეალიზაციისათვის. ასე დაფუძნდა კონფერენცია. დასაწყისი, თავისოვან, როგორი იყო. ჩვენი ბიბლიოთეკის განვლილი 140 წლიანი ისტორია არ იყო საკმარისი ამ დონის სამეცნიერო კონფერენციების ჩასატარებლად. ბუნებრივია, ამას სჭირდებოდა გარკვეული ავტორიტეტი,

რომლის მეშვეობითაც დაგვიკავშირდებოდა საზღვარგარეთის სამეცნიერო საზოგადოება. ამ თვალსაზრისით, დიდი დახმარება გაგვიწია ბატონმა ტარიელ უუბრაძემ, რომელმაც ქართველი და საზღვარგარეთელი მეცნიერები დაგავშირა ჩვენს ბიბლიოთეკას. პარალელურად, შევეხმიანეთ როგორც საქართველოს, ისე საზღვარგარეთის ბიბლიოთეკებს.

დღეს უავე ჩვენდა სამაყოდ უნდა ითქვას, რომ მოწვევები ადარ გვჭირდება. ყველა თვოთონ გვიკავშირდება როგორც საქართველოს, ისე საზღვარგარეთის სამეცნიერო საზოგადოება.

აღსანიშნავია ისიც, რომ ყოველ წელს კონფერენციის მასალები თავს იყრის ჩვენი ბიბლიოთეკის მიერ დაარსებულ სამეცნიერო კრებულში „წელიწდეული“. ამით საშუალება ეძლევა დაინტერესებულ პირებს, კონფერენციის სხდომებზე ნაშრომებს გაეცნონ როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული სახით“;

მირიან ხოსიტაშვილი, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე: „მოხარულები ვართ, რომ ქუთაისის ბიბლიოთეკაში ტარდება ასეთი მაღალი დონის სამეცნიერო კონფერენციები. ძალიან მნიშვნელოვანია როგორც ჩვენოვის, ისე ყველა იმ ადამიანისთვის, ვინც მონაწილეობას იღებს ამ კონფერენციებში. აღსანიშნავია, რომ კონფერენცია იყო მაღალ დონეზე თრგანიზებული. დიდი მადლობა თრგანიზატორებს და ყველა მომხსენებელს, რომლებმაც წარმოდგენილ ნაშრომებში საინტერესოდ და პროფესიულად ასახეს ჩვენი დიასპორის ცხოვრება საზღვარგარეთ. ვფიქრობ, საბოლოოდ კრებულის სახით გამოქვენებული ეს მასალები, უდავოდ დიდი საჩუქრი იქნება ჩვენი საზოგადოებისთვის“.



შეხვედრა იუბილარ პომაოზიტორებთან

2016 წლის 24 ოქტომბერი დიდხანს გემახსევრებათ როგორც მირზა გელოვანის სახელობის ახალგაზრდობის ბიბლიოთეკის თანამშრომლებს, ასევე მოწვევლ სტუმრებსაც - ბიბლიოთეკა ამ დღეს სტუმრობდა ყველა თაობისათვის საყვარელ კომპოზიტორებს, ქალბატონ რუსულან (მაცაცო) სებისკვერაძეს და ბატონ ვაჟა აზარაშვილს.



საიუბილეო სადამოს უძღვებოდა მ. გელოვანის სახელობის ახალგაზრდობის ბიბლიოთეკის უფროსი ქეთევან ნიკურაძე, იუბილარ სტუმრებს მიესალმნენ თბილის მერიის მთავარი ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის მოადგილე ეკა მამასახლისი, პოეტი იზა ჭიკაიძე და მთავარი ბიბლიოთეკის №32 ფილიალის უფროსი ლია უხურგუნაშვილი. ქალბატონ რუსულან სებისკვერაძისა და ბატონ ვაჟა აზარაშვილის შემოქმედებაზე ვრცლად ისაუბრა ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზის თანამშრომელმა ცისანა ბადაშვილმა.

იუბილარი კომპოზიტორების რუსულან სებისკვერაძისადმი და ვაჟა აზარაშვილისადმი მიძღვნილი შოთა ხოდაშნელის ლექსები წაიკითხა ბიბლიოთეკის მეგობარმა ლია ლომთაოიძემ, ასევე პოეტმა იზა ჭიკაიძემ



წაიკითხა საქუთარი ლექსი მიძღვნილი ქ-ნ მაცაცოსადმი.

საიუბილეო სადამოზე აქდერდა ვაჟა აზარაშვილის ნაწარმოებები: „მწყემსური“ და „მხიარული ატრაქციონი“, რომლებიც შეასრულეს ევგენი მიქელაძის სახელობის მუსიკალური სასწავლებლის აღსაზრდელებმა (პედაგოგი ქეთევან ქოიავა).

ახალგაზრდობის ბიბლიოთეკის უფროსმა



ქეთევან ნიკურაძემ საიუბილეო სადამოზე დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა პოეტ ხოდაშნელის ახლად გამოცემული კრებული „სიმღერები შოთა ხოდაშნელის ლექსებზე“, რომელშიც შეტანილა რუსულან სებისკვერაძისა და ვაჟა აზარაშვილის სიმღერები. სიმღერები შეასრულეს გოგი დოლიძის სახელობის მუსიკალური სკოლის აღსაზრდელებმა (პედაგოგი ნატო ოქროპირიძე).

ღონისძიების დასასრულს რუსულან სებისკვერაძემ და ვაჟა აზარაშვილმა ისაუბრეს თავიანთ სამომავლო გეგმებზე.

სადამომ ძალზე თბილ ვითარებაში ჩაიარა. დიდხანს ენაცვლებოდა ერთმანეთს მისასალმებელი გულთბილი სიტყვები, ლექსები, სიმღერები, გადაიღეს სამახსოვრო ფოტოები.

თამაზ ნანიშვილი

მეტი გულისხმიერებით მოვაკიდოთ ბიბლიოთეკართა შრომას

XI საუკუნის განვითარების ზოგადი ლოგიკა იმას გვთავაზობს, რომ საბიბლიოოთეკო საქმე განვითარების სწორ გზას დაადგეს. საჭიროა აქტიურად ამაღლდეს როგორც საბიბლიოოთეკო საქმე, ისე დამკიდებულება საზოგადოებისა ბიბლიოოთეკაში მომუშავე მუშაკების მიმართ.

„ჩვენი ქვეყნის საბიბლიოოთეკო საქმიანობა ნაბიჯ-ნაბიჯ რეფორმირდება, ფეხს უწყობს თანამედროვეობას.“

წიგნის, ბიბლიოოთეკარისა და მკითხველის ურთიერთობით ბევრი სასიკეთო რამ ხდება მთელი სახელმწიფოსთვის და ქვეყნისთვის. ვინც ფიქრობს, რომ ბიბლიოოთეკარისა და ბიბლიოოთეკის მუშაობა არაპოდუქტიულია, სამწუხაროდ, მას არაფერი გაეგება კულტურისა და განათლების ამ ზოგადსაკაცობრიო სფეროში. თუ პირველი იყო სიტყვა, მას მოჰყვა დამწერლობა და წიგნი, მაშ რაზეა საუბარი?! საქართველოში სამწუხაროდ, დღესდღეობით ბიბლიოოთეკისა და ბიბლიოოთეკარის როლი ისე არ არის შეფასებული, როგორც მას ეკუთვნის“ (გულნარა სტურუა).

მილიონ-ნახევრიან თბილისში მცირე რაოდენობით შემორჩა ბიბლიოოთეკები. მაგალითისათვის - კრწანისის რ-ში რომელიც საგამოყოფილ დიდ ტერიტორიას მოიცავს, მხოლოდ ერთადერთი - №21 ბიბლიოოთეკა ფუნქციონირებს, რომლის გამგეა დიდად გამოცდილი, გულისხმიერი, პროფესიონალი ქ-ნი ზეინაბ ზაქარიაშვილი. მისი ხელმძღვანელობით შეიქმნა პატარა, მაგრამ კარგად ორგანიზებული კოლექტივი, რომლის ყველა წევრი არა მხოლოდ განსწავლული, არამედ ნამდვილი მამულიშვილი არის. მე, როგორც ამ რ-ნის მაცხოვრებელს, ამ ბიბლიოოთეკის აქტიურ მკითხველს, ხშირად მიხდება მათთან ურთიერთობა. მინდა ავღნიშონ, რომ მათ შეგიძლია ენდოთ, თავისუფლად ესაუბროთ, გაუზიაროთ აზრები და შეხედულებები. მიიღოთ ინფორმაცია თქვენოვის საინტერესო სფეროში. ეს ხალხი ეტრფის სამშობლოს, შრომას, გმირობას, სილამაზეს, ბუნებას, ერთგულებას, სიყვარულს. ბიბლიოოთეკარები გონებრივ სამუშაოსთან ერთად, ფიზიკურადაც დატვირთულნი არიან. ამის ნათელ მაგალითად ჩემი თვალით ნანახი, მათ მიერ გაწეული შრომა მსურს გაგაცნოთ.

ამ რამდენიმე თვის წინ თბილისის ბიბ-

ლიოოთეკებში მათთან არსებული წიგნების აღწერა, დასუფთავება და კომპიუტერში მონაცემების შეტანა დაიწყო. №21 ბიბლიოოთეკის თანამშრომლები დიდი რუდუნებით ასრულებდნენ ამ საქმეს. იგრძნობოდა მთელი კოლექტივის მობილიზებული მუშაობა. მუშაობის პროცესში, ჩვენ მკითხველებსაც გვერგო ჩვენი წილი წიგნების მტვერი. ბიბლიოოთეკის თანამშრომლებმა კი ჩვენზე 100-ჯერ მეტად უფრო მეტი მტვერი ჩაყლაპეს.

ბიბლიოოთეკარების ეს მუჟაითი ყოველდღიური შრომა თითქმის 3-თვე მიმდინარეობდა, რითაც, ჩემი აზრით, მართლაც კარგი საქმე გაკეთდა. ბიბლიოოთეკარებს მე მათი ხელფასის შესახებ ვკითხე. მათ ჯერ გაუკვირდათ, შემდეგ კი დაღონებულებმა მიჰასუხეს..?!

შეგნებით არ ვასახელებ იმ თანხას, რასაც მათ უხდიან.

მინდა შევახსენო მათვისაც ბიბლიოოთეკარების ხელფასის მოგვარება შეგიძლიათ, რომ თუნდაც ხელფასის მინიმალური ოდენობით გაზრდა, ნებისმიერი ადამიანისათვის დამატებითი სტიმულია, რომ საკუთარ საქმეს მეტი პასუხისმგებლობითა და სიყვარულით მოეკიდოს.

ჩემო დარწყმას ბიბლიოოთეკის თანამშრომლებო, ჩემი მადლიერების გამოსახატად მინდა საკუთარი ლექსი მოგიძლვნათ:



ბიბლიოოთეკის მუშაკნო,
შრომობთ ალალი გულითა,
უფალი ზეციდან გლოცავთ
თავის უკვდავი სულითა.
თქვენ შრომას ზოგი ვერ ხედავს
ხელფასსაც ცოტას გიხდიან,

უფალი დმერთის წყალობით
ოქენე მეტსაც გადაგიხდიან.
დაუნახავი შრომა, იცოდეთ,
განა უველასოფის უხილავია?
ჩვენი უფალი უველაფერს ხედავს -

სამართლიანი გამკითხავია.
უფალო დმერთო, გთხოვ მომისმინო!
მსურს, რომ ამ ქვეყნად არვინ დარდობდეს,
მინდა სამართლს პური ეჭამოს,
ნაცოფიერი შრომა ფასობდეს.

მაის სიმღერები

საქათველოს პარლამენტის ექიმური ბიბლიოთეკის მთავარი სპეციალისტი

„ფრონტის წერილებში“ ნაკონცი წინაპართა სიცოცხლე

Sრჩევნების დღეა. მობილურზე ზარი გაისმა:
- გამარჯობა, მაია ბრძანდებით?
- დიას.
- მე ახალციხიდან დღეს ჩამოვედი, დე-
დასთან ერთად, ბაბუის წერილები ჩამო-
ვიტანეთ...

ბიბლიოთეკის ეზოში დედა-შვილს, გუგუ-
ლი და გულიკო ელიზბარაშვილებს ვხვდე-
ბი. მათ საარჩევნო უბანში მოქალაქეობრივი
ვალი მოიხადეს და მაშინვე თბილისის-
კენ გამოემართნენ. ქალბატონი გუგული
აღელვებულია, ჩანთიდან ფაილებს იღებს
და მეუბნება: იქნება, მამაჩემი სად არის, ჩემს
სიკვდილამდე ვიპოვოთ, ალექსანდრე ერქვა.

ფაილები სავსეა ფრონტიდან გამოგზავნი-
ლი წერილებით, ხელნაწერი ასლებით, წერ-
ილების მიხედვით, გულდასმით შედგენილი

მამის საბრძოლო გზის ქრონოლოგიითა და
ფოტოებით. ვსაუბრობთ. ის მიუვება, მამას
როგორ უვარდა დედა, მამა შვილის გაჩე-
ნას რომ ვერ მოესწრო, დედის მოგონებებსაც
იხსენებს. ბოლოს იმ იმედით მემშვიდრებება,
რომ წერილებს არაფერი მოუვა, ყველაფერი
უკან დაბრუნდება. დატოვებულ წერილებს
ვკითხულობ და ვატყობ, რომ ყოველი ასეთი
წერილი ახლიდან მაღლებებს. ეს ერთი ახ-
ლი ოჯახის ამბავია.

უკვე ორი თვეა, ეროვნულ ბიბლიოთეკაში
ასეთი შეხვედრები ყოველდღე გვაქვს. მო-
ქალაქები მოდიან, აღელვებულებს მოაქვთ
ომში დაღუპული წინაპრების წერილები, გვი-
ყებიან იმ ადამიანების ისტორიებს, იხსენე-
ბენ მათ და მადლობით გვტოვებენ.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული
ბიბლიოთეკის ახალი პროექტი „წერილები
ფრონტიდან“ შემთხვევით დაიწყო. მოგზაუ-
რობიდან დაბრუნებული დეიდას, ლიტერა-
ტურამცოდნება და უურნალისტები, ციური
ხეთერებს ვესტურებ; მამის - კარლოს წერ-
ილები გამომიტანა. ბუნებრივია, საკუთარი
ბაბუის წერილები მანამდეც წამიკითხავს, მა-
გრამ ამჯერად კი ჩემთვის მნიშვნელოვანი
სხვა რამ იყო. იმ თვეში თბილისში, ოჯახ-
ურმა ძალადობამ კიდევ რამდენიმე ქალი
იმსხვერპლა და, მაინტერესებდა, რამდენად
მომაგონებდა ეს წერილები მსგავსი შემთხ-
ვევების ყადაღებულ, „მიზეზებს“. ნამდვილად
გავიცდი, როდესაც ბაბუის წერილებში გაც-
ილებით მეტი თანასწორობა და თავისუ-
ფლება იგრძნობოდა, ვიდრე დღეს -სკაიპსა
თუ ჩატებში გამართულ „ტრადიციულ“ დია-
ლოგებიდან.

„ქოთ, შენ გენაცვალე, მოეცერე შვილებს
და უფრო გაგიგონებენ. ხომ გაქვს გამოც-
დილება შვიდი-რვა წლის? ათი წლით არის
ხალხი გადასახლებული და ოჯახი იტანს
გაჭირვებას. შენც, ჩემო ოქრო გოგო, იყავი
შვილების ერთგული, ნუ გაუჯავრდები, გულს
ნუ გაიხეთქავ და უფრო გაგიცროთხილდები-



ლევან ჩიქოვანის კოლექციიდან



ან. დმერომა თუ არ გაგვწირა, ყველაფერი
კარგად იქნება... მე ახლა ფრონტზე ვარ -
უკრაინაში, ხარჯოვთან. იქნებ, მოახერხო პა-
ტარა სამსახური რაიმე და ნე დამირდვევა
ოჯახს! ვინ იცის, ჩემო ჭაბუინო ცოლო, იქნებ
არ გამწიროს ბუნებამ, დავიჭრე და წამოვიდე.
თუ ცოცხალი ჩამოვედი, შენ არ დაგხაგრავ,
გენაცვალე, ჩემო ბავშვობიდან ამხანაგო, თუ
შენოვის არ ვივარგებ, ჩემს შვილებს მაინც
გამოვადგები. იქნებ! მე შენს სიყვარული
ტყვიის მოხვედრის შემდეგაც თან ჩავიტან
სამარეში. სამარე მაინც თუ მეღირსა!, ფოლა-
დად გადაიქცი, ქვასავით გამაგრდი." - წერს
კარლო სამ შვილთან დატოვებულ თანატოლ
ცოლს. ასეთ სასიყვარულო წერილებოთან ერ-
თად, ბაბუა ომის წარმოებას, ძრბოლებს, ჯა-
რისკაცოა კვებას და სხვა საკითხებს ცალ-
კე იწერებოდა. იმით გახარებულმა, რომ
ბაბუაჩემისოფის მიუღებელი იყო და სამ ქალიშ-
ვილს თავისუფლებაში ზრდიდა, რამდენიმე
წერილი სოციალურ ქსელში გამოვაქვეწე. ამ
წერილებს დიდი გამოხმაურება მოყვა,
მეორე დღეს კი, საქართველოს პარლამენ-
ტის ეროვნული ბიბლიოთეკის მეცნიერების,
კულტურისა და სამოქალაქო განათლების
დეპარტამენტის დირექტორის, ემზარ ჯგუფ-
ნაიას ხელშეწყვილით ახალი პროექტი დაიწყო
- "წერილები ფრონტიდან".

აქვე უნდა აღვნიშო, რომ ფრონტის წერილების და ჯარისკაცთა მასალების შესწავლა სიახლე არ არის. მსგავსი პროექტები ძალიან პოპულარულია ამერიკის შეერთებულ შტატებში, დიდი ბრიტანეთში, საფრანგეთში

და მოელ მსოფლიოში. განსხვავება ის იყო, რომ გასაგები მიზეზებით, საბჭოთა წერილები ცენტურაგამოვლილი და საქმაოდ მშრალი შინაარსის გვეგონა. ოუმცა, უკვე მოპოვებული მასალები, სხვების წერილებიც მოულოდნელ და არც ისე საბჭოთა ცხოვრებისეულ სურათებს გვიხატავს. როგორც აღმოჩნდა, სიკვდილის წინ მდგომ ჯარისკაცებს გაცილებით ნაკლებად აშინებდათ საბჭოთა ცენტურა, რადგან მათ წარმოდგენაში, ახლობლებისთვის მიწერილი ყოველი წერილი უკანასკნელი შეიძლებოდა ყოფილიყო.

ბაბუა ამ წერილის გამოგზავნიდან მაღლ დაიღუპა, ხარკოვის მისადგომებოან. ის მეოთხე ვაჟი იყო, უფროსი ძმები სტალინურმა რეპრესიებმა შეიწირა. თუმცა ადამიანების მსხვერპლშეწირვამ არც ბებიის მხარე დაინდო. მასთან ერთად, მისი ორი დაც იმავე წელს დაქვრივდა. იმ თვეში, ერთობლივი სურათიც კი გადაიღეს - სამი და ქმრების დაკარგვის შემდეგ. ეს მხოლოდ ერთი ოჯახის მაგალითია. ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრულ ბაზა ”ივერიელში“ უკვე 700-ზე მეტი ასეთი მაგალითი დაგროვდა და ყოველდღე ახალი ემატება. ჩვენს თვალზენ, ყოველდღე ჩნდება: ჩვენი ბაბუებისა და ბებიების ცხოვრების სცენები, მაშინდელი საზოგადოება, ურთიერთობები, ჯარისკაცების შიშები, ყოველდღიურობა და მოლოდინები.

პროექტის მასშტაბი საკმაოდ მაღლე გასცდა მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის ოქმაზე ატიკის ფარგლებს. მაგალითად, ქუთაისის დამსახურებულმა ბიბლიოთეკარმა, ქალატონნა ნუცა ახვლედიანმა არა მხოლოდ მამის, არამედ 1937 წელს გადასახლებული ბაბუის, ბიქტორ ახვლედიანის გულაგიდან გამოგზავნილი წერილები გამოგვიგზავნა და მისი შეიღების მოგონებებიც დაურთო.

ერთხელ, ჩვენი სოფლის პურის საცხობიდან
რიგში ავიდე პური. როდესაც რიგიდან გამო-
ვდიოდი, კომისარმა მტაცა ხელი, გამომგლი-
ჯა პური და გადასცა ოვის ძმას სიტყვებით:
ეს შენ არ გეგუთვნისო. - იხსენებს ნუცას
მამა, როსტომი.

პროექტის ფარგლებში, ტევობაში ყოფნის „ბრალდებით“ გადასახლებულოა ახლობლებიც გამოგეხმაურნენ. ჩვენმა კოლეგამ, ლილი საყვარელიძემ მშობლების წერილები მოგვიტანა. კოტე საყვარელიძე ომში ტევედ ჩავარდა და სამშობლოში დაბრუნებული, ახალდაბადებული ვაჟის მამა ულან-უდე-ში გადასახლეს. მოგეხსენებათ, პროფესიის მქონენი გადასახლებაში, აუნაზღაურებდად, სიცოცხლის ფასად მუშაობდნენ. კოტე ციმბირში მშენებლობას ხელმძღვანელობდა. მას

მეუღლე, გულნარა გამრეკელი ფეხმძიმობისა-საც აკითხავდა და სწორედ ერთ-ერთი ასეთი მგზავრობის წინ გაჩნდა ქალიშვილი, ლილი.

ახლობლებისთვის განსაკუთრებით მწვავე აღმოჩნდა დაკარგული მებრძოლების ოქმა. ისტორიკოსების ცნობით, საქართველოში არ არსებობს ოჯახი, ვისაც მეორე მსოფლიო ომში ახლობლები არ დაეკარგოს. უნდა ადგინიშნოთ, რომ 500-ზე მეტი წერილის ავტორთა უმრავლესობა დაკარგულად ითვლება. დაკარგულები იმდენად ბევრია, რომ მათი წერილების წაკითხვისას დაუჯერებელიც კი ჩანს ამდენი დაკარგული ადამიანის არსებობა. სწორედ ამიტომ დავინტერესდით გაბეჭდო, სხვაგან სადმე თუ არსებოდა დაკარგულთა აღმოჩენის შესახებ მონაცემები. მიგვაჩნია, რომ ეს საგსებით შესაძლებელი იყო. ჩვენი ვარაუდი გამართდა და სწორედ ასე აღმოჩნდა 5000 დაკარგულად ცნობილი, მაგრამ საჯარიმო ბატალიონებში გამწევებული ჯარისკაცების უახლესი სია. ამ სიას უჩვეულო ისტორია აქვს და მასზე საბჭოთა



კავშირიდან გაქცეულმა ემიგრანტმა, მაკარ ტონინმა იზრუნა.

ბატონი მაკარი ჯერ კიდევ საფრანგეთში დასახლებამდე ემებდა მამას, რომელიც დაკარგულად ითვლებოდა. დიდხანს ძებნის შემდეგ აღმოჩინა, რომ დაკარგულად გამოცხადებული მამა საჯარიმო ბატალიონში დაიღუპა, კონკრეტულ დროსა და კონკრეტულ ადგილას, 1944 წლის 27 ივნისს. 1984 წელს, უკვე ემიგრაციაში მყოფმა მაკარ ტონინმა, მამის სხვნის პატივსაცემად და ქართველებისადმი მადლობის ნიშნად, საქართველოდან წასული, დაკარგული ჯარისკაცების მოძიება და ცალკე სიის შედგენა დაიწყო. როგორც თავად ამბობს, დაკარგულად ცნობილთა და უკვე ნაპოვნოა ახალი სიები იმდენად ზუსტია, რამდენადაც ევროპიდან მისი რეკომენდაციებით იქმნება და სწორდება ეს სიები მთელი ყოფილი კავშირის მასშტაბით. მოხარულები ვართ, გაცნობოთ, რომ მან ამ საქმეში ქართველების

დახმარებაც შემოგვთავაზა. საბოლოო სიაში, რომელიც მზადდება, მითითებულია არა მხოლოდ საქართველოდან ომში წასული ჯარისკაცების გვარი, დაღუპვის ადგილი, დრო და დაკრძალვის ადგილი, არამედ ჯარისკაცების მშობლების, მეუღლის და ახლობლების ვინაობაც. დღეისთვის სიაში 5292 ჯარისკაცის გვარი არის, 7000 ადამიანის მონაცემები კიდევ მზადდება. სიების ქართულ მონაცემებითაც შედარებასა და დაზუსტებაზე ბატონი ირაკლი მირიანაშვილიც მუშაობს. სწორდ მან მოგვაწოდა ეს სია და გაგვაცნო, თუ როგორ ხდება მონაცემების რამდენიმე წეროსთან ერთდროულად შედარება. ამ სიის ნახვა, ისევე როგორც წერილების, ჩვენი ვებგვერდის საშუალებით შეგიძლიათ.

დაკარგული ჯარისკაცების ახლობლები ჩვენი კოლეგებიც აღმოჩნდენ, მაგალითად, რუსულან სტურუა, რომლის ბიძამ, სოლიკო მეიშვილმა ბოლო წერილი 1945 წლის 4 მაისს გამოგზავნა.

დაკარგული ჯარისკაცების მოძიების საკითხი მხოლოდ საბჭოთა თემაზიას არ უკავშირდება. ამერიკელი და ევროპელი მეცნიერები დღემდე ეძებენ და ადგენენ დაკარგულ მებრძოლთა ისტორიებს. საბოლოო სიების მოპოვების შემდეგ, ეროვნული ბიბლიოთეკა დაკარგული ჯარისკაცების, მუდმივად განახლებადი მონაცემთა ბაზის შექმნას გეგმავს. ვფიქრობთ, ეს ძალიან დაეხმარება მათ ახლობლებსა და მეცნიერებს წინაპრების მოძიებასა და სამომავლო კვლევებში.

საფრანგეთში მცხოვრები ემიგრანტი ყოველთვის იხსენებს, როგორ აჩუქეს ქართველებმა თავისუფლება. 1989 წელს, მაკარ ტონინის დახმარებით გამოიცა ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებული 6 ტომად, გიორგი ციციშვილის რედაქტორობით (შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი). გამოცემა პარიზში დაიბეჭდა, ვერუს ქადალდზე, ცხვრის ტყავის გარეკანზე 22 კარატიანი ოქროთი, როიგინალის გარანტიას ანდრე მაიოტის ხელმოწერა წარმოადგენს. ეს გამოცემა უკვე იშვიათობადაც ითვლება. ვიმედოვნებოთ, რომ ბატონი მაკარი საქართველოსაც ეწვევა და მკითხველებს ძალიან ბევრ საინტერესო ისტორიას გააცნობს.

ამდენი ტრაგიკული ისტორიის ფონზე, ყოველთვის გვიხარია, როდესაც რომელიმე ჯარისკაცის ცოცხლად დაბრუნების ამბავს ვიგვათ. ჩვენს ამბავსაც ერთი ასეთი ისტორიით დავამთავრებოთ, რომელიც ამ წერილის დაწერისას შევიტყვეთ. ლევან ჩიქვანმა

საინტერესო ისტორია გვიამბო ბებიისა და
ბაბუის შესახებ, რომლებიც უკრაინის გათა-
ვისუფლებაში მონაწილეობდნენ.

ლუნა თოდება ომში 18 წლის გაიწვიეს, უკრაინის შემდგომ, იბრძოდა მოლდოვეთში, რუმინეთსა და ბულგარეთში. გოგონა კავშირგაბმულობის სპეციალისტი იყო. მამამ ვერ გაძლო, ქალიშვილის ბედი რომ არ გაეგო და ომში მის საძებრად წავიდა. მამა ომში დაიღუპა, შვილი კი ბრძოლებს გადაურჩა და სამშობლოში დაბრუნდა. ომის შემდეგ, საქართველოში გაიცნო ბორის ჩიქოვანი, რომელიც ომში ტანკისტად იბრძოდა. იგი, როგორც კორსუნ-შევჩენკოვსკის ბრძოლების მონაწილე, მოხსენიებულია მარშალ ჟუკოვის წიგნში “მოგონებანი და ფიქრები” (ქართულად გამოიკა 1970 წელს, გვ. 620).

ბორის ჩიქვაგანი კორსუნ-შეგზენკოვსკის
ბრძოლის დაწყებისას მძიმედ დაიჭრა და
დამწერობა მიიღო ტანკის აფეთქებისას, 1944
წლის 19 იანვარს მდ. როსის ნაპირობა ახ-
ლოს. ბრძოლის ველიდან იმავე სატანკო
პოლკის ტანკისტმა, სოხუმელმა მებრძოლმა
- ნიკოლოზ ხოთოს ძე ელიავაშ გამოიყვანა
(აფხაზეთში მომხდარი მოვლენების შემდეგ,
ისინი ერთმანეთს არ შეხვედრიან). ბორის
ჩიქვაგანი ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ
სამშობლოს დაუბრუნდა და 2002 წელს გარ-
დაიკვეთა.

ა სეითი ისტორიები ძალიან ბევრია, შეიძლება ითქვას, რომ ყოველი მოქალაქე თითო ასეთ ისტორიას ატარებს და საფლაკი იმში



ბიქტორ ახვლედიანი, რომლის გულაგიდან
გამოგზავნილი წერილები ჩვენს კოლექციაშია

დაგარგულ წინაპარს ფიქრებში ემდეს. სამ-წესარიდ, ჩვენი ფორმატი საშუალებას არ გვაძლევს, ყველა საინტერესო ისტორია სათო-თაოდ გაგაცნოთ. ოუმცა, ჩვენთვის თითოეუ-ლი ჯარისკაცის ამბავი ერთადერთია.

პროექტმა „წერილები ფრონტიდან“ საშუალება მოგვცა, კიდევ ერთი ახალი პროექტი დაგვეწყო: ვისაც სახლში ჯერ კიდევ მოგებოვებათ ხელნაწერი წერილები, ამჯერად მშვიდობის პერიოდში დაწერილი, დაფიქრობთ, რომ მათ ისტორიული მნიშვნელობა აქვს ან კალევებისთვის საინტერესო იქნება, გთხოვთ, მოგვაწოდოთ. ასევე, გთხოვთ, ნუ იყიქრებთ, რომ მათი შინაარსი მხოლოდ პირადია - ის არა მხოლოდ მათ ავტორთა პირად ცხოვრებას, არამედ ჩვენი საზოგადოების განვითარების პროცესსაც ასახავს.

პროექტის ავტორები დიდ მადლობას უხდიან ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომელს თამრიკო გუშარაშვილს მასალების დამუშავებისთვის.


პროექტი ”წერილები ფრონტიდან“ გრძელდება და ჯარისკაცების სამკუთხა ბარათებს ელის. ეროვნული ბიბლიოთეკა მიმართავს ყველას, ვის საოჯახო არქივშიც შემონახულია მეორე მსოფლიო ომის პერიოდის, აგრეთვე, პირველი მსოფლიო ომისა და რეპრესიების დროს გადასახლებების მიმოწერა (პირადი წერილები, მისალოცები და ა.შ.) მოგვმართეთ.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით პროექტის ავტორებს:

- ემზარ ჯგურებანია 599192320 მეცნიერების, კულტურისა და სამოქალაქო განათლების დეპარტამენტის დირექტორი;
 - მაია სიმონიშვილი 2971618, msimonishvili@nplg.gov.ge გუდიაშვილის 7, ეროვნული ბიბლიოთეკის მესამე კორპუსი, საზოგადოებრივი სამსახურის მინისტრის აღმაფნეობის განყოფილება.

იუბილე

საბიბლიოთეკო განათლების დიდოსტატი (თარი თხადე - 90)



მთარ თხადე ქართველი საბიბლიოთეკო ინტელიგენციის იმ თაობას ეპუთენის, რომლებმაც გასული საუკუნის 40-50-იან წლებში თავიანთი ნაოელი კვალი დატოვეს ქვეყნის საბიბლიოთეკო ცხოვრებაში. იმ ხანად, როდესაც ბატონი თოარი შეუდგა თავის საბიბლიოთეკო-ბიბლიოგრაფიულ მოღვაწეობას, საქართველოში გარკვეული პრინციპებითა და მეთოდებით ყალიბდებოდა საბიბლიოთეკო სისტემა. ამავე პერიოდში სათავე დაედო პროფესიულ საბიბლიოთეკო განათლებას. თ. თხადეს პრაქტიკული გამოცდილება საშუალებას აძლევდა საშუალო-სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებლებში სასწავლო პროცესი წარემართა პრაქტიკასთან ორგანულ კავშირში. თავისი ხანგრძლივი, შვიდი ათეული წლის პრაქტიკული და პედაგოგიური მოღვაწეობის პერიოდში მან ბიბლიოთეკართა მრავალი თაობა აღზარდა, რომელთა დიდი ნაწილი ახლაც წარმატებით

იღვწის საბიბლიოთეკო დარგში.

ბატონ თოარის მხურვალე წადილი იმთავიდანვე იყო წიგნისა და ადამიანებისადმი სიყვარულის გრძნობის აღზრდა. იგი თვითონ გახლავთ ასეთი სულიერი წყობის პიროვნება - სახეგაშუქებული, გულმხიარული, კეთილმოუბარი და დღებედნიერი. ბიბლიოთეკაომცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის კათედრაზე მისი შემოქმედებითი მოღვაწეობა წარმატებული იყო კათედრის დახურვამდე. პედაგოგიური მოღვაწეობის პარალელურად, იგი წარმატებით ეწეოდა სამეცნიერო-კვლევით მუშაობას კატალოგიზაციის სფეროში. მისმა ნაშრომებმა აკადემიურ დონეზე მოაწესრიგა ბიბლიოთეკების საცნობარო აპარატი.

ბატონი თოარი მრავალმხრივი და უცილობლად სახელქებული ქართველი ინტელიგენტი გახლავთ. თავისი ხანგრძლივი პედაგოგიური და პრაქტიკული მოღვაწეობის პერიოდში მან შექმნა ბრძნული გამონაოჭვამების მდიდარი კარტოთეკა, რომელიც თბილისის 42-ე საქალაქო ბიბლიოთეკას გადასცა. ეს ნაშრომი, როგორც დიდად დირებული საცნობარო აპარატი, დიდი პოპულარობით სარგებლობს მკითხველთა სხვადასხვა წრეებში. ამ კარტოთეკით სისტემატიურად სარგებლობენ ბიბლიოთეკის მკითხველები, ჟურნალისტები, მეცნიერ-მუშაკები. კატალოგრაფიაში შედგენილი მისი სახელმძღვანელობები დღესაც არ კარგავს პრაქტიკულ დირებულებას.

ვინც კი ესწრებოდა მის ლექცია-სემინარებს, ვისაც ერთხელ მაინც მოუსმენია მისი ცოცხალი საუბრისოვის, უთუაოდ გულში ჩარჩებოდა კაცი ტკბილმოუბარი, ქართულის კარგი მცოდნე და სულიერად ზეადმატებული პიროვნება. ასეთი თვისებებით შემოსილი შეხვდა იგი 90-ე წელს. შეხვდა კვლავ გულნაწრობი და სულიერად მტკიცე ნებით, იმ პათოსით, რომ უფალი კვლავ შეაძლებინებს სასიკეთო საქმეების კეთებას.

ჟურნალის რედაქცია მხურვალედ ულოცავს ბატონ თოარს 90 წლის შესრულებას და უსურვებს ხანგრძლივ სიცოცხლეს.

გენერაციული


ამაღლებული გონიერის შემოქმედი

(გეონას სტუდია -80)



დარწმუნდება, რომ ჩვენს შორისაა მამულის სიყვარულით გულანოებული, პირმართალი ქართველი მანდილოსანი, რომელიც ქვემის ცხოვრებით ცხოვრობს, იძრძვის, ამხელს, მოუწოდებს, მიუთითებს. მისი შემოქმედებითი ძარღვი ფერქავს ქართველი კაცის დღევანებული ყოფისათვის ნიშანდობლივი იმპულსით, იმის შეგნებით, რომ მხოლოდ ოვანენტირვით ოუ შეიძლება წინაპართაგან დანატოვებ სულიერ ღირებულებათა მოვლა-პატრონობა. გულნარა სტურუამ სრულიად ახალგაზრდამ, ოვალებმერცხალა გოგონამ შეაღო წიგნის სამყაროს კარი, შეაღო და მოედო არსებით შეუდგა თვითგანათლებას. შემდგომში, როგორც პროფესიონალმა ბიძლიოთეკარმა, არა ერთი და ორი აზიარა წიგნის სიბრძნეს. იგი წიგნის სამყაროში აღიზარდა, დაბრძენდა და აქვდან გავიდა დიდ შემოქმედებით გზაზე, ცოდნით აღჭურვილი და შემართული ხასიათით. იმთავიდანვე მან ღრმად შეისისხორცა ერთი ჭეშმარიტებათაგანი იმის თაობაზე, თუ რათენ დიდი ტვირთის ზიდვა მოუწევს კალმოსანს მართალი სიტყვის საოქმედად. ასეთი რწმენით შეუდგა შემოქმედის გზას და იმქამიდან მოყოლებული, დღესაც საკუთარი სტილითა და ხედვით ცდილობს მკითხველამდე მიიგანოს მშობლიური ჭვენის სულიერი და ყოფითი საკითხები, რომელთა არსებითი გარემოება ნიშანდობლივია ქვემის ბედით დაინტერესებული თითოეული ქართველისათვის.

კარიტად დღებული, წმენდილი ეგბაფხიზე- მედი გახ- ბილი ბიბ- თმცოდნე, ბი და ქალბატო- ასტურუა. მრავალმხ- ოქმედებას ადგენებს, მამულის რმართალი ლიც ქვეშ- ის, ამხელს, კერძებულების სამუშავის „საბედისწერო ლაბირინთები“ (თბ., 2012) გამოქვეყნებულ ერთ ლექსში „ჩემო მამულო“, ავტორი სინანულით აღნიშნავს: „ის, რაც ახლა გვჭირს ყველაზე მეტად, შორსბა- ჭვრეტელობა, სიფხიზლე და დაგრომა ერ- თად“. თითოეულ მის წერილში, ესეებსა თუ ნარკვევებში ნათლად გამოსჭივივის გულისტ- კივილი სამშობლოს დღვეანდელი მდგრადუ- რობით გამოწვეული. ამასთან, ეს გულისტ- კივილი არ არის პესიმიზმის ბურუსით მოცული, ბოლოდროინდელ გამოქვეყნებულ მის წიგნებში: „პუბლიცისტიკა, მოთხოვებუ- ბი, ესები, ნარკვევები, პოლემიკა“ (თბ., 2010); „საბედისწერო ლაბირინთებში“, „ვინ არის ადამიანი“ (თბ., 2016) ავტორი გულმართალი და ჰეშმარიტად შემართული პოზიციებიდან წერს დღვევანდელი ქართული პოლიტიკის, საზოგადოების ერთი ნაწილის სულიერი სიღარიბის, სოციალური მდგრადერობის, ახალი ტექნოლო- გიებისა და სხვა საჭიროროტო საკითხებზე, რომლებიც ერთობ დამახასიათებელია დღვეანდელი ქართული ყოფიერებისათვის. ლე- ქსების კრებულში „ჩემი ბილიკი“ (თბ., 2007) პოეტი გულისტკივილ- ით წერს ილია მართლის, ქართუ- ლი ეკლესიების, ქართველი კაცის უნევიბრივი სახის შესახებ. ლე- ქსში „სვეტიცხოველი“ ავტორი გამოოქამს, მუხლი მოუყაროს იოთეკარმა, სიბრძნეს. და თავი დაიმდაბლოს წინაპართაგან ნაშენი ამ დიდებული ტაძრის წინაშე: ..შენს წინაშე მუხლი უნდა მოვიყაროთ, სხეული დაგიმ- დაბლოთ, სული ავიმადლოთ, გული გავიწმინ- დოთ, სისხლი დაგიოკოთ, სიმებად ავესხათ და სხივებად დავი- ფანტო.



ბა. ავტორის აზრით, დღევანდელი ადამიანის სულში „დაისადგურა გულგრილობამ“, ესეს“. მისი დრმა რწმენით, სწორედ ქართულმა გაუტანლობამ, მოყვასისაგან გაუცხოებამ და წიგნის შემოგვინახა ენა ქართული, მრწამსი ერთად დგომის უგულებელყოფის მომენტება, რაც საბოლოო ჯამში საფუძველს აცლის ერის სული-ერ საწყისებსა და რწმენისადმი ერთგულებას. წერილებში: „ვინ და რამ უნდა გამოაყხინელოს ხალხი“ (2012), „ვინ არის ადამიანი“ (2015), „გულგრილობაა ჩვენი მტერი“, „წესრიგი, მხოლოდ წესრიგი გადაგვარჩენს“ (2010) ავტორი იმ დასკვნამდე მიდის, რომ ხალხის შემობრუნება ეროვნული სულისკვეთებისაკენ უნდა შეძლოს ზექვეთილმა, მებრძოლმა, ნამდვილად სულმადალმა პიროვნებებამ, რომელნიც, ჩვენდა საბედნიეროდ, არც თუ ცოტანი არიან ჩვენს გვერდით.

სტატიაში „როგორი ქვებანაა დღევანდელი საქართველო“ ავტორი გულისტკივილით წერს: „დემოკრატიული წყობილების მოსახლეობან საწყლად იცქირება საქართველოს შეშინებული მოსახლეობა“. ამავე ნაშრომში ავტორი ეხება წიგნისა და ბიბლიოთეკის დანიშნულებას თანამედროვე ეპოქაში. როგორც ბიბლიოთეკათმცოდნებს, ნათლად აქვს შენებული კომპიუტერული ტექნოლოგიების როლი და დანიშნულება მოსახლეობის სწავლა-განათლებისა და სულიერი სრულყოფის საქმეში. „წიგნი მაინც სულ სხვა რამეა“, წერს ავტორი. თანამედროვე ტექნოლოგიები მას შეგნებულად აქვს გააზრებული მხოლოდ წიგნთან ერთად. ვინაიდან „წიგნი ხელს უწყობს ადამიანის ურთიერთობების კეთილგანწყობას, აზრის გაცვლა-გამოცვლის სურვილს, აღვივებს სიყვარულს და ნები-



სმიერი კეთილშობილური საქმისადმი ინტერი ის „დაისადგურა გულგრილობამ“, ესეს“. მისი დრმა რწმენით, სწორედ ქართულმა გაუტანლობამ, მოყვასისაგან გაუცხოებამ და წიგნის შემოგვინახა ენა ქართული, მრწამსი ერთად დგომის უგულებელყოფის მომენტება, მამულისადმი ერთგულებისა და უკვდავი

შარავანდებით მოსილი სახეები ჩვენი გმირი წინაპრებისა.

გულნარა სტურუა, როგორც მოქალაქე და როგორც შემოქმედი, მყარად დგას ქართულ მიწაზე, იქ, სადაც წინაპროა სისხლიანი ნაკვალევია. ლექსში „წერაქველ გლეხს“ იგი წერს: „ჩემს მამულს სანუკვარს ვყიცავარ, მე თავად წერაქვის მიწა ვარ“. კრებულში „ვინ არის ადამიანი“ გ. სტურუა ადამიანში ეძებს მორალურ, პატრიოტული სულისკვეთებით აღვხილ სახეს, ეძებს ისეთ თვისებებს, რომლებიც მისაბაძი იქნება სხვებისათვის: „ადამიანი სხვათა თვალში ამაღლებას ის-წრაფვის, ანგარიშს უწევს სხვათა აზრებსა და შეხედულებებს, და აი, ეს სხვათა აზრი არის ადამიანის წარმატებებისა და მიღწევების შედეგი“. ასეთი ადამიანის ძიებაში იგი ჩვენს სინამდვილეში, ქართულ საზოგადოებაში, ინტელექტუალურ ძალებში, როცა ასეთ ადამიანს მიაგნებს, მას შეიძლება ხმამაღლა ამოხედეს მოწოდებისა და კმაყოფილების სიტყვები: „აი, ნამდვილი ქართველი“. თვითონაც ხომ ასეთი შემოქმედია: გულახდილი, სწორქართულმეტყველი, თვალგამჭრიახი და გონებანათელი.

საჟურნალე წერილში ძნელია, თუნდაც მიმოხილვით სტილში წარუდგინო მკითხველს ქალბატონ გულნარას შემოქმედება, ეს არ იყო ჩვენი სურვილი და თანაც დაგძენო, რომ არც ჩვენი ცოდნაა საკმარისი მისი მწერლობითი თუ შურნალისტური ნადვაწის წარმოსახენად.

რევიუ

ეავით ბიბინეიშვილი

შოთარონის საკონცერტო დარბაზებში



Sონდონში სამეცნიერო მუზეუმი ჩასულმა, ფართო კულტურული პროგრამა დაგეხმე წინასწარ. პირველი წარმოდგენა, რომელსაც 13 სექტემბერს დავესწარი, იყო წმინდა იოანეს სმითის სკვერზე (St.John's Smith Square; www.sjss.org.uk) დარბაზში ბამპტონის კლასიკური ოპერის მიერ დადგმული „უზენაესი კომედიები“. ეს დარბაზი წარმოადგენს XVIII საუკუნეში ინგლისური ბაროკოს სტილის მანერაში აგებულ ეკლესიას, რომელიც II მსოფლიო ომის დროს მნიშვნელოვნად დაზიანდა გერმანელთა ავიაციის მიერ, დაბომბვის შედეგად. ეკლესია მდებარეობს ვესტმინსტერის სასახლისა და სააბატოს სიახლოეს – ვიქტორიას კოშკის ბადის წინ, იქვე, მდინარე თემზის ახლოს. ამჟამად იგი თავისი გამოჩეული აკუსტიკური თვისებების გამოკლასიკური მუსიკის დარბაზს წარმოადგენს, სადაც ეკრობისა და მსოფლიო საუკეთესო ანსამბლები და შემსრულებლები გამოდიან. ადგილობრივი მოსახლეობის ინიციატივით (ტრადიციული ეკროპისათვის) ეს ნაბეჭთი დანგრეული ეკლესის შენობითურთ სახელმწიფოსაგან შეისყიდეს, ეკლესია აღადგინეს და 1969 წლიდან მას საკონცერტო დარბაზის როლი დაეკისრა.

ბამპტონის კლასიკური ოპერა (Bampton Classical Opera, <http://www.bamptonopera.org/>) ახალგაზრდა დასია, რომელიც 1993 წლიდან ასრულებს მსმენელისათვის უცნობ კლასი-

კურ ოპერებს ინგლისურ ენაზე. უჩვეულო ის არის, რომ დადგმები ტარდება დია ცის ქვეშ, წმინდა მარიამის ეკლესიასთან მიმდებარე ულამაზეს პარკში საგულდაგულოდ აღმართულ სცენაზე, პატარა ქალაქ ბამპტონში (ოქსფორდშირი), შესვენების დროს, იქვე პარკში, მსმენელისათვის დაშვებულია ვახშმობა. სპექტაკლებს ასევე დგამენ შთამბეჭდავ ვესტმინსტერის სკოლის ორანჟერეაში – გლორიესტერშირში. ანსამბლი ლონდონში რეგულარულად ატარებს გასტროლებს, რომელსაც მე დავისწარი.

ამჯგრად ლონდონის მსმენელისათვის დასი წარმოადგენდა ორ ერთაქტიან ოპერას – გლუკის „ფილემონი და ბავკიდა“ (1769) და არნის „პარისის განსჯა“ (1742). ამ ოპერებს აერთიანებს არა მხოლოდ ერთი მუსიკალური სტილი, არამედ ის, რომ მათში გამოყენებულია მითოლოგიური სიუჟეტი. დადგმის რეჟისორმა – ჯერემი გრეიმ, დატოვა მხოლოდ სიუჟეტი და მოქმედება თანამედროვე ეპოქაში გადაიტანა. მეტიც, ყველაფერი თვითმყრინავში ხდება, სადაც მირითადი მონაწილეები არიან თვითმყრინავის პილოტი, ბორტ-გამცილებლები და მგზავრი. გლუკის ოპერის („Philemon & Baucis“) გმირები – კეთილი, ერთგული და გულგაშლილი წყვილი – ფილემონი და ბავკიდაა, ისინი შეიფარებენ უცნობ მოგზაურს. ეს დმერთი იუპიტერია, რომელიც განრისხებულია იმ კუთხის მცხოვრებთა არასტუმარომოყვარეობით. გამონაკლისი გულკეთილობით ის მხოლოდ ამ წყვილისათვის ირჯება – აუგებს ტაძარს და დალოცავს მათ. წარმოადგენაში მთავარი გმირები ბორტ-გამცილებლის როლში და იუპიტერი კი – მგზავრის სახით მოგვევლინა, რომლის რისკვას გამცილებლები ცეცხლჩამქრობით აცხრობენ. კომიკურ ვითარებას ოსტატურ ფონს უქმნიან სხვა მგზავრები და უბაჟო საჩუქრების გამყიდველი სტიუარდესა. ეს არის გვიანი ბაროკოს მუსიკის ნიმუში, სადაც საზღასასმელია ბავკიდის არია თავისი უძნელესი რულდადებითა და მაღალი პასაჟებით, რაც განსაკუთრებულად მოქნილ და ტექნიკურ სოპრანოს ხმას მოითხოვს. ამ როლში კანადელი წარმოშობის ახალგაზრ-



ST JOHN'S SMITH SQUARE

და მომდერალი – ბარბარა კოლუ უოლტონი (Barbara Cole Walton) გამოდიოდა, რომელმაც ცოცხალი ხასიათი და დახვეწილი კოლორატურა აჩვენა. მისი ხმა ზედა რეგისტრში უახლოვდებოდა სალამურის ჟღერადობას, როგორც ტემპრალურად, ისე სიძლიერით – ასეთი ფენომენალური შეფერილობის ხმა ცოცხლად არასოდეს მომისმენია, ამიტომაც მსმენელი სრულად მოიხიძლა ამ გრძელი არით, სამწუხაროდ, არის მესამე განმეორებით ნაწილში კოლორატურა შემცირდა და მომდერალი მაღალ მი-ბემოლზე არ წავიდა. დანარჩენი ქალი შემსრულებლები აღეკვატურები იყვნენ თავიანთ როლებში, რასაც ვერ ვიტყვით მამაკაცებზე. იუპიტერის შემსრულებელს (ქრისტოფერ ტერნერი) აკლდა შესატყვისი ტექნიკა და ხმის სილამაზე. დირიჟორი პოლ ვინგფილდი (Paul Wingfield) ამ წარმოდგენაზე ლონდონში არა ბამპტონის თეატრის ორკესტრს, არამედ ანსამბლ Chroma-ს ხელმძღვანელობდა. ვფიქრობ, ამან გავლენა მოახდინა შესრულების ხარისხზე – ორკესტრი ჩანდა უსახო, აკლდა ბაროკო მუსიკისათვის სასურველი პერი და შემართულობა. ამას კიდევ ის ემატებოდა, რომ დარბაზი სავსებითაც არ იყო გათვლილი თპერის დადგმისათვის, რისთვისაც ორკესტრი დირიჟორიანად სცენის უკან განთვავსდა მოქმედიდან შირმით გადამალული.

უფრო საინტერესო გამოდგა მეორე თპერა – ინგლისელი კომპოზიტორის თომას არნის „პარისის განსჯა/The Judgment of“. რომელშიც დამდგელმა ძალზე იუმორისტულად წარმართა სიუჟეტი: პარისმა მერკურის დავალებით უნდა გადაწყვიტოს – სამ მშვენიერ ქალდემერთისაგან რომელი არის საუკეთესო და დააჯილდოვოს იგი თქროს ვაშლით. ისევ თვითმფრინავში გათამაშებული მოქმედება გვაჩვენებს სამ მშვენიერ სტიუარდესას (ვენერა, იუნონა და მინერვა), რომლებიც ცდოლობენ გული მოუგონ მგზავრს (პარისს) და სთავაზობენ თავბრულამხვევ დაპირებებს. თპერა მერკურისა და პარისის სცენების შემდეგ პირდაპირ გადადის ქალდემერთების პაექტობაში: ვენერას არიას მოსდევს ტრიო, რომელიც დიდი კომიზმითა და არტისტიზმით იყო შესრულებული. ამ ტრიოში კარგად გამ-

ოვლინდა კომპოზიტორის ნიჭი – მუსიკალური ხერხებით გადმოგვცა ქალური მეტოქეობის სული და იმავდროულად შეინარჩუნა სიმსუბუქე და ირონია. პრეტენდენტების შეჯიბრში იმარჯვებს ვენერა, რომლისთვისაც კომპოზიტორმა კიდევ 2 არია დაწერა. სტიუარდესების კეკლუციობასა და თინებს მოსდევს ვენერას მიერ პარისის შეტყუბება ტუალეტში, რაც პატრობის დასრულებაც აღმოჩნდა – დაპყრობილი პარისი ზუსტად ვენერას გადაცემს ჯილდოს, – ამ წყვილის ამურული ურთიერთობა არც პრესას გამოეპარება, ამიტომაც ფინალში ვენერა ამაყად აფრიალებს ბულვარულ ჟურნალს, რომლის გარეკანზე იგი პარისთან ერთადაა გადაღებული.

კლასიკურ ბაროკოს მანერაში დაწერილ ოპერაში არნე თხტატურად და ტრადიციულად (გავიხსენოთ ჰენდელი) იყენებს სასულე ინსტრუმენტებს, რათა უკეთ წარმოაჩინოს დღესასწაულის ელფერი. ამ ოპერაში ვენერას პარტიას ასრულებდა სოპრანო აოიფე ო'სალივენი (Aoife O'Sullivan), მინერვას – მეცო-სოპრანო ქეთრინ ბეკჰუზე (Catherine Backhouse) და იუნონას - ხენებული ბარბარა კოულ უოლტონი. მინდა აღვნიშნო, რომ მომდერლები თპერას კლასიკური ოპერის შესაფერ სტილში ასრულებდნენ, – სრული ხმითა და ფორსირებით, რაც გარკვეულ დისონანს უქმნიდა გამოცდილ მსმენელს, თუმცა ეს დადგმის საერთო ფონის (თანამედროვე ბულვარული ისტორია) შესატყვისი იყო. თომას არნი, ინგლისური მუსიკის თვალსაჩინო კომპოზიტორი, არა მხოლოდ სცენაზე, არამედ დისკოგრაფიებშიც კი ძალზე მოკრძალებულად არის წარმოდგენილი, ამიტომაც მის ლამაზ და ცოცხალ მუსიკასთან შეხება ყველა მსმენელს დიდ სიამოვნებას მიანიჭებდა. სცენური დინამიზმით, ინტრიგითა და მუსიკალური ხანგრძლივობით არნეს ნაწარმოები უფრო შთამბეჭდავად გამოჩნდა.

ლონდონის ცნობილ საკონცერტო დარბაზში – ვიგმორ ჰოლში (wigmore-hall.org.uk) უკვე 14 სექტემბერს მეტად საინტერესო საღამო იმართებოდა. დარბაზი აშენდა 1904 წელს ფორტეპიანოს გერმანელი მწარმოებლის ბექ-შტეინის მიერ, რომელიც 12 წლის შემდეგ გადავიდა ბრიტანელი მეპატრონის მფლობელობაში. ადრეულ წლებიდან დარბაზში მუსიკის დიდი ვარსკვლავები გამოდიოდნენ – როგორც ვოკალისტები (კარუზო, მელბა და სხვ.) ასევე პიანისტები (შნაბელი, რუბინ-შტეინი და სხვ.) და დირიჟორები. დარბაზი ვიგმორის ქუჩაზე საცხოვრებელი შენობებს შორის არის განლაგებული და მხოლოდ



წინწამოწეული რეინის ფარდულიანი შესასვლელით გამოიყოფა მეზობელ შენობებიდან. როგორც წინა დარბაზში (ჯონ სმიტ სკერის) ვიგმორ პოლშიც იგივე ტრადიცია დამხვდა – ნულვან სართულზე დიდი რესტორანი იყო განთავსებული, როგორც ჩანს გასტრონომიული და მუსიკალური დაწესებულებების სიმბიოზი ფისკალური ინტერესებით არის განპირობებული. აღნიშნულ სადამოს სახელგანოქმული ორკესტრი „The English Concert“ ასრულებდა სერვანტესის „დონ კიხოტი“ შთაგონებულ მუსიკას, დაწერილს ბაროკოს ეპოქაში. პირველ ნაწილში გაისმა პენრი პიორსელის მუსიკა თეატრალური პიესისათვის – სუიტისა და ვოკალური ნაწილის სახით. აქ ორი მომღერალი – ანა დევინი (Anna Devin) და მეთიუ ბრუკი (Matthew Brook) წარდგნენ არიებითა და დუეტით, რომელიც სერვანტესის რომანის ზოგიერთ სცენას ასახავდა. ზომიერად სევდიანი მუსიკა დროდადრო სადღესასწაულო ელფერს იძენდა, არიების ნაწილი სრულდებოდა ტრადიციულად, მცირე აკომპანიმენტით (კლავესინი, ჩელო და ლუთა). შესრულება ორკესტრის მხრიდან იყო ზედმიწევნით მკაფიო და პროფესიონალური, დიდი აქცენტით სიმებიანებზე. ამ ორკესტრის შესრულების სარისხი აღემატებოდა წინა დღის მოსმენიდ შესრულებას. ბანი, ბახისა და პენრელის ვოკალური მუსიკის მრავალი ჩანაწერის თანამონაწილე, – ამ სადამოს ბაროკოს მუსიკის გამოცდილ ვოკალისტად წარმოგვიდგა, მისი მჭიდრო ხმა კარგად უმკლავდებოდა პასაჟებს, თუმცა ზედა რეგისტრში ხმა კარგავდა ფორმუსს და ეპარებოდა სირბილე. ახალგაზრდა სოპრანო ანა დევინი

არ ერიდებოდა სრული ხმით შესრულებას (განსაკუთრებით ზედა ნოტების), რითაც წინა დღის ქალი ვოკალისტები გამახსენა. მაგრამ ამ სადამოს ნამდვილი მარგალიტი გეორგ ფილიპ ტელემანის სუიტა „დონ კიხოტი/Le Burlesque de Quichotte, TWV55:G10“ იქცა. ტელემანის კამერული მუსიკის ეს ბრწყინვალე ნიმუში, დაწერილი მხოლოდ სიმებიანებისათვის, ძველებური ინსტრუმენტების პრაქტიკულად ყველა თანამედროვე გერმანულ ანსამბლს აქვს ჩაწერილი, რომელთა უმრავლესობა მოსმენილი ქვენდა. ინგლისურმა ანსამბლმა ჰარი ბიკეტის (Harry Bicket) ხელმძღვანელობით შემოგვთავაზა ძალზე ცოცხალი, უფრო ფორტისიმენზე აწყობილი შესრულება ვიოლინოების დომინანტით. შესრულებას ერთი თავისებური სისხლე ახლდა – შვიდ ნაწილიანი სუიტის შუალედებში გამოდიოდა თეატრის მსახიობი, დანა მაკალერი მოხრობების სახით, რომელიც სერვანტესის რომანიდან ზოგიერთ ეპიზოდს კითხულობდა, რაც შეესატყვისებოდა სუიტის ნაწილებს: სიტყვამ გაამდიდრა მუსიკა და პირიქითაც. ექსპერიმენტმა გაამართლა – ტელემანის მუსიკა, სავსე ბურლესკით და ცეკვით, რასაც რაღაც მავრიტანულიც დაკრავდა, მაღალი პროფესიონალიზმით შესრულდა. იგალიური ვიოტუოზებისათვის დამახასიათებელი ინსტრუმენტული აქცენტები არ იგრძნობოდა, შესრულების მანერა სუფთა ბრიტანული (კონსერვატული) იყო. მაგრამ დარბაზის კარგმა აკუსტიკამ და ორკესტრის იდეალურმა სინქრონულობამ დაუგიწყარი ეფექტი შექმნა.

წარმატების რეცეპტები

ინტერნეტი ყველა სოფლის ბიბლიოთეკას

ლანჩხუთის რაიონის, სოფელ აცანის ბიბლიოთეკარის რეცეპტი


ინგრედიენტები:

- პარტნიორების მხარდაჭერა
- კომპიუტერული ტექნიკის არსებობა ბიბლიოთეკაში
- ინტერნეტი
- ბიბლიოთეკის FB გვერდი
- ბროშურების გავრცელება
- მოსახლეობის ჩართულობა
- მოსახლეობისთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდება
- კომპიუტერული კურსები

რა იყო „ინტერნეტი ყველა სოფლის ბიბლიოთეკის“ წარმატების რეცეპტი აცანის ბიბლიოთეკაში?

პროექტი განკუთვნილია სოფლის მოსახლეობისთვის. ჩვენ, ბიბლიოთეკარებმა უნდა მივაწოდოთ ხალხს მათთვის საჭირო ინფორმაცია. თითოეულ მომხმარებელს სხვადასხვა ტიპის მოთხოვნილებები აქვთ და ბიბლიოთეკარმა უნდა შესძლოს თანაბრად დაეხმაროს მათ. ბიბლიოთეკა უნდა გახდეს ერთგვარი სერვის-ცენტრი ტექნოლოგიების სფეროში, რომელიც შეცვლის ბევრი ადამიანის ცხოვრებას.

მას შემდეგ, რაც ჩვენს ბიბლიოთეკას საჩუქრად გადმოიყავა კომპიუტერული ტექნიკა სრულია აღჭურვილობით პროექტ „ინტერნეტი ყველა სოფლის ბიბლიოთეკას“ ფარგლებში, პირველ რიგში მოსახლეობაში გავავრცელე ეს ინფორმაცია ბროშურების სახით და ინტერნეტში სოციალური ქსელის მეშვეობით. შევქმნი ჩვენი ბიბლიოთეკის ფეისბუქ გვერდი. შემდეგ ჩემი სოფლის მოსახლეობა მოვიწვიე ბიბლიოთეკაში



მოზადების დრო:	2 კვირა
სირთულე:	
ყველაზე მეტად უხდება:	ახალგაზრდებში სიახლეების ათვისების მიმართ სურვილის გაჩენა და გაფართოება.

„შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მომხმარებელთა ინტერესი დღითიდლე მატულობს. გაიზარდა მკითხველთა რაოდენობა. მომხმარებლები მშვენიერად უთავსებენ ერთმანეთს ნიგნია და კომპიუტერს. ჩემო კოლეგებო! დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი მუშაობით, მოტივაციით, ენთუზიაზმით, ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებით, ჩვენი სოფლის ბიბლიოთეკები გახდება თანამედროვე სტანდარტების შესაფერისი, მრავალფუნქციური, ყველა კატეგორიის მომხმარებლისთვის მისაღები.“ შვარეული მარიამ ჩხაიძე, ლანჩხუთის რაიონის, სოფელ აცანის ბიბლიოთეკარი

ბიბლიოთეკის ახალ სერვისს ყველა ასაკის მკითხველი აღიზრობით შეხვდა. მე მათ ვასწავლი კომპიუტერულ პროგრამებს. ისინი დიდი ინტერესით ეუფლებან კომპიუტერის კურსებს. მყავს სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის მომხმარებლები:



პედაგოგები, მოსწავლეები, ექიმი, სოფლის რემნებული. საკმაოდ წარმატებით მიდის სწავლების პროცესი. ავრეთვე დახმარებას ვუწევ ჩვენს მოხმარებლებს ინტერნეტში სხვადასხვა საჭირო ინფორმაციის მოძიებაში. ნებისმიერ მსურველს, განურჩევლად ასაკისა, სქესისა და შესაძლებლობებისა, შეუზღუდავად შეუძლიათ ისარგებლონ უფასო, მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით, უფასო ქსეროქსით, პრინტერით და სკანერით.

**რა უნდა
გააკეთოთ თქვენ:**



- ღონისძიების საჭირო ინგრედიენტების მოსაძიებლად გაეცანით აცანის ბიბლიოთეკის მენიუს
- მომხმარებელთა რიცხვის გასაზრდელად ხელი შეუწყვეთ პროექტის საინფორმაციო კამპანიას
- ეცადეთ წიგნი და კომპიუტერი ერთმანეთს თანაბრად შეუთავსოთ
- გაიღრმავეთ კომპიუტერული უნარ-ჩვევები
- მიაწოდეთ ხალხს მათთვის საჭირო ინფორმაცია

შეფუძნობელის რჩევები:



თქვენი მიზანი ბიბლიოთეკის არა მხოლოდ კარგ სამკითხველოდ, არამედ - საზოგადოებისთვის საყერელ თავშეყრის ადგილად გადაქცევა უნდა იყოს.

ინტერნეტი ყველა სოფლის ბიბლიოთეკას

ზესტაფონის რაიონის, სოფელ ქვედა საქარას

ბიბლიოთეკარის რეცეპტი

ინგრედიენტები:

- კომპიუტერული ტექნიკის არსებობა
ბიბლიოთეკაში
- კომპიუტერული უნარჩვევების ცოდნის
გაღრმავება
- მაღალსიჩქარიანი ინტერნეტი, Wi-Fi
- საინფორმაციო ფლაერების დამზადება
და გავრცელება
- ადგილობრივი გამგეობის მხარდაჭერა
- სკოლის მხარდაჭერა
- ცენტრალური ბიბლიოთეკის
ჩართულობა
- ბიბლიოთეკის FB გვერდი

რა იყო „ინტერნეტი ყველა სოფლის ბიბლიოთეკის“ წარმატების რეცეპტი ქვედა საქარას ბიბლიოთეკაში?

ძალიან დიდი სურვილი მქონდა, რომ ჩემი ბიბლიოთეკა ყოფილიყო მრავალფეროვანი, მრავალფუნქციური, ყველა კატეგორიის მომხმარებლისათვის მისაღები, თანამედროვე. რაც უფრო მეტ ადამიანს ვესაუბრებოდი ვხვდებოდი, რომ 21-ე საუკუნეში, ბიბლიოთეკაში მხოლოდ წიგნის საკითხავად მოდის საზოგადოების ძალიან მცირე მასა, თითქმის ერთი ასაკისა და კატეგორიის მომხმარებელი. საზოგადოების დიდ ნაწილს სურდა ახალი, თანამედროვე სერვისები, მომხმარებელზე და არა ბიბლიოთეკარზე მორგებული ბიბლიოთეკა.


პროექტში ჩართვისთანავე გადაწყვიტე სიტყვიერად მიმეწოდებინა ინფორმაცია მომხმარებლებისათვის, რომ მალე ისინი შეძლებდნენ საინტერესო სერვისებით სარგებლობას. პროექტში გამარჯვების შემდეგ დავიწყე უფრო აქტიური მუშაობა ადგილობრივ გამგეობასთან (ჩემი ბიბლიოთეკა გამგეობის შენობაშია) და სპეციალისტებთან. ცენტრალურმა



მომზადების დრო:	1 თვე
სირთულე:	
ყველაზე მეტად უხდება:	ხელმისაწვდომობა ნებისმიერი კატეგორიის მომხმარებლისთვის, განურჩევლად ასაკისა, სტატუსისა და შესაძლებლობისა.

„აღმოვაჩინე და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს ინტერიერს, ფასადს, განწყობას ქმნიან ადამიანები. გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია ბიბლიოთეკარის დამოკიდებულება მომხმარებლისადმი. სიმართლე გითხრათ, თავდაპირველად ვფიქრობდი კომპიუტერი ხომ არ დაჩრდილავდა წიგნს, მაგრამ პირიქით, კომპიუტერის დახმარებით გაიზარდა მომხმარებელთა და შესაბამისად მკითხველთა რიცხვი. ინტერნეტმომსახურების მისაღებად შემოსული მომხმარებელი, რომელსაც შეიძლებოდა სულ არ სცოდნოდა ბიბლიოთეკის ფონდში დამატებული ახალი წიგნების, პრესის არსებობის შესახებ, სიამოვნებით ეცნობა მათ“. მზარეული თეონა კაპანაძე, ზესტაფონის რაიონის, სოფელ ქვედა საქარას ბიბლიოთეკარი

ბიბლიოთეკამ გადმოგვცა კომპიუტერის მაგიდა, რის შემდეგაც მოვაწყვე ბიბლიოთეკის სივრცე



ტექნიკის განსათავსებლად. კომპიუტერული ტექნიკის მიღებისთანავე დავიწყე ბიბლიოთეკის ახალი სერვისების აქტიური რეკლამირება. სოფელის სხვადასხვა ადგილებში: გაჩერებებზე, მარკეტებში, გამგეობის შენობაში, ამბულატორიაში გამოვაკარი ინფორმაცია ბიბლიოთეკაში არსებული სიახლის შესახებ, დავამზადე საინფორმაციო ფლარები და დავარიგე მოსახლეობაში. პარალელურად Facebook-ის დახმარებით სოციალურ ქსელშიც ვეწეოდი აქტიურ პიარ კამპანიას.

ადგილობრივი გამგეობის დახმარებით დაყენდა Wi-Fi. მომხმარებელს კომპიუტერის უფასოდ შესწავლა შევთავაზე, რამაც დიდი დაინტერესება გამოიწვია არა თუ უმცროსა, არამედ უფროსი ასაკის მომხმარებლებშიც. ამბულატორიის ექიმებასაც შევთავაზე ჩვენი მომსახურება და დღეს ისინი ბიბლიოთეკის ახალი სერვისების ყოველდღიური მომხმარებლები არიან.

შეფ-მზარეულის რჩევები:



კოლეგებო!
მირითადი როლი ამ რთულ,
მაგრამ სასიამოვნო საქმეში
ჩვენ გვაკისრია. უნდა
გავხადოთ ბიბლიოთეკები
მრავალფუნქციური,
თანამედროვე და ერთ-ერთი
ყველაზე საჭირო
დაწესებულება სოფლად.



რა უნდა გააკეთოთ თქვენ:



- ღონისძიების საჭირო ინგრედიენტების მოსაძიებლად გაეცანით ქვედა საქარას ბიბლიოთეკის მენიუს
- იმუშავეთ საკუთარ თავზე, გაიღრმავეთ კომპიუტერული უნარზევები
- მუდმივად იყავით სიახლის ძიებაში
- მიაწოდეთ მომხმარებელს საჭირო ინფორმაცია სწრაფად და ხარისხიანად
- ბიბლიოთეკის სერვისების შესახებ აწარმოეთ მოსახლეობაში საინფორმაციო პიარ კამპანია

ნალენდარი

2017 წლის დირსშესანიშნავი და საიუბილეო თარიღების კალენდარი

იანვარი

- 1 -- 90 წლის წინათ (1927) დაიბადა ელგუჯა მადრაძე – მწერალი, ლიტერატურაომცოდნე და მთარგმნელი. გარდაიცვ. 1999 წ.
- 2 -- 30 წლის წინათ (1887) დაიბადა დიმიტრი უზნაზე - ფსიქოლოგი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი (1941), ქართული ფსიქოლოგის სკოლის ფუძემდებელი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე. გარდაიცვ. 1950 წ.
- 7 -- შობა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი
- 10 -- 145 წლის წინათ (1872) დაიბადა არჩილ ჯორჯაძე - ქართველი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი. გარდაიცვ. 1913 წ.
- 13 -- 145 წლის წინათ (1872) დაიბადა ნინო ნაკაშიძე (ქალიშვილობაში ანთაძე) - მწერალი, საზოგადო მოღვაწე. გარდაიც. 1963 წ.
- 155 წლის წინათ (1862) დაიბადა ალექსანდრე ყიფშიძე (ფრონელი) - ქართველი ისტორიკოსი, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, პუბლიცისტი. გარდაიცვ. 1916 წ.
- 14 -- 100 წლის წინათ (1917) დაიბადა ლადო ასათიანი - პოეტი. გარდაიცვ. 1943 წ.
- 15 -- 395 წლის წინათ (1622) დაიბადა მოლიერი (ნამდვილი სახელი და გვარი ჟან ბატისტ პოკლენი) - ფრანგი დრამატურგი, მსახიობი, თეატრალური მოღვაწე, „მაღალი კომედიის“ ჟანრის ფუძემდებელი. გარდაიცვ. 1673 წ.
- 19 -- 90 წლის წინათ (1927) დაიბადა მაგალი თოდეუა - აღმოსავლეთმცოდნე, მწერალი, მთარგმნელი.
- 20 -- 100 წლის წინათ (1917) დაიბადა ქეთრინ ვიგიანი - ინგლისელი მწერალი, მთარგმნელი, ქართველოლოგი. თარგმნა „ვეფხისტეაოსანი“, სულხან-საბა თრბელიანის „წიგნი სიბრძნე სიცრუისა“, გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნიერო გამოკვლევა ქართული ლიტერატურის საკითხებზე.
- თებერვალი**
- 5 -- 215 წლის წინათ (1802) დაიბადა მარი ფელისიტე ბროსე - ფრანგი ქართველოლოგი, მკვლევარი. გარდაიცვ. 1880 წ.
- 13 -- 165 წლის წინათ (1852) დაიბადა ნიკო ლომოური - მწერალი და საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი. გარდაიცვ. 1915 წ.
- 15 -- 90 წლის წინათ (1927) დაიბადა არჩილ სულაკაური - პოეტი და პროზაიკოსი. შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1971). გარდაიცვ. 1997 წ.
- 21 -- 160 წლის წინათ (1857) დაიბადა ავესტენტი ცაგარელი - დრამატურგი და მსახიობი. გარდაიცვ. 1902 წ.
- 26 -- 130 წლის წინათ (1887) დაიბადა აკაკი შანიძე - ენათმეცნიერი. ყოფილი სხრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1939), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1941), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1943), შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1987), 1979 წ. მიენიჭა თბილის საპატიო მოქალაქის წოდება. გარდაიცვ. 1987 წ.
- 215 წლის წინათ (1802 წ.) დაიბადა ვიქტორ პიუგო - ფრანგი მწერალი. გარდაიცვ. 1885 წ.

მარტი

- 2 -- 100 წლის წინათ (1917) დაიბადა მირზა (ნამდვილი სახელი რევაზი) გელოვანი - პოეტი. საქართველოს ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატი (მიენიჭა სიკვდილის შემდეგ 1973 წელს) შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (მიენიჭა სიკვდილის შემდეგ, 1975 წ.). დაიღუპა მეორე მსოფლიო ომში, 1944 წ.
- 5 -- 85 წლის წინათ (1932) დაიბადა ნოდარ წელეისკირი - მწერალი. გარდაიცვ. 2015 წ.
- 16 -- 110 წლის წინათ (1907) დაიბადა კარლო კალაძე - პოეტი, დრამატურგი. 1982 წ. მიენიჭა თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება. გარდაიცვ. 1988 წ.

აპრილი

- 2 -- 100 წლის წინათ (1917) დაიბადა გორგა ნაფეტვარიძე - პოეტი. 1944 წელს

- დაიღუპა დიდ სამამულო ომში.
- 10 -- 100 წლის წინათ (1917) დაიბადა ვახტანგ ჭელიძე - მწერალი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.
- 13 -- 130 წლის წინათ დაიბადა გიორგი ახვლედიანი - ენათმეცნიერი, თსუს პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს მეცნ. დამსახ. მოღვაწე. გარდაიცვ. 1973 წ.
- 16 -- ბრწყინვალე აღდგომა უფლისა ჩვენი სა იესო ქრისტესი
-- 370 წლის წინათ (1647) დაიბადა მეფე-პოეტი არჩილი. გარდაიცვ. 1713 წ.

მაისი

- 4 -- 235 წლის წინათ (1782) დაიბადა ოეიმურაზ ბატონიშვილი (ბაგრატიონი) - მწერალი, პოეტი, მეცნიერი. გარდაიცვ. 1846 წ.
- 7 -- 160 წლის წინათ (1857) დაიბადა ვასილ ბარნოვი (ბარნაველი) - მწერალი. გარდაიცვ. 1934 წ.
- 12 -- 100 წლის წინათ (1917) დაიბადა ბაგრატ შინქუბა - აფხაზი მწერალი, პოეტი და პროზაიკოსი, აფხაზეთის ასერ დიმიტრი გულიას სახელობის სახელმწიფო პრემიისა და შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1985).

ივნისი

- 9 -- 145 წლის წინათ (1872) დაიბადა კონსტანტინე (კოტე) მარჯანიშვილი - რეჯისორი, საქართველოს სახალხო არტისტი. გარდაიცვ. 1933 წ.
- 29 -- 125 წლის წინათ (1892) საჩხერის რაიონის სოფელ არგვეთში დაიბადა პაოლო იაშვილი - პოეტი. გარდაიცვ. 1937 წ.

ივლისი

- 7 -- 165 წლის წინათ (1852) დაიბადა არტურ ლაისტი - გერმანელი ქართველოლოგი.
- 11 -- 85 წლის წინათ (1932) ბათუმში დაიბადა ტარიელ ჭანტურია - პოეტი, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის წევრი, გალაქტიონ ტაბიძის პრემიის ლაურეატი (1978), შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1992).
- 23 -- 215 წლის წინათ (1802) დაიბადა ალექსანდრე დიუმა (მამა) - ფრანგი მწერალი. გარდაიცვ. 1870 წ.
- 28 -- 85 წლის წინათ (1932) დაიბადა ვახტანგ ჯავახაძე - პოეტი და მწერალი. გალაქტიონ ტაბიძის სახელობის პრემიის ლაურეატი.

აგვისტო

- 2 -- 90 წლის წინათ (1927) დაიბადა რევაზ თაბუაშვილი - მწერალი, პოეტი, დრამატურგი, კინოსცენარისტი და კინორეჟისორი; ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი. გარდაიცვ. 1990 წ.

სექტემბერი

- 4 -- 200 წლის წინათ (1817) დაიბადა ალექსეი კონსტანტინე ძე ტოლსტიო - რუსი მწერალი, დრამატურგი, იმპედებოდა კოზმა პრუტკოვის ფსევდონიმით. მისი პიესები იდგმებოდა საქართველოში. გარდაიცვ. 1875 წელს.
- 10 -- 155 წლის წინათ (1862) დაიბადა დავით კლდიაშვილი - მწერალი. გარდაიცვ. 1931 წ.
- 24 -- 120 წლის წინათ (1897) დაიბადა უილიამ ფოლკნერი - ამერიკელი მწერალი. გარდაიცვ. 1962 წ.

ოქტომბერი

- 9 -- 170 წლის წინათ (1847) დაიბადა რაფიელ ერისთავი - მწერალი, დრამატურგი, საზოგადო მოღვაწე. გარდაიცვ. 1890 წ.
-- 470 წლის წინათ (1547) დაიბადა საავადრა მიგელ დე სერვანტესი - ესპანელი მწერალი. გარდაიცვ. 1616 წ.
- 20 -- 90 წლის წინათ (1927) დაიბადა ნაზი კილასონია - პოეტი. გარდაიცვ. 1988 წ.
- 27 -- 70 წლის წინათ (1947) სიღნაღის რაიონის სოფელ ნუკრიანში დაიბადა ნაირა გელაშვილი - მწერალი, გერმანისტი, მთარგმნელი.

ნოემბერი

- 5 -- 70 წლის წინათ (1947) დაიბადა ვანო ჩხილაძე - მწერალი საბას პრემიის ლაურეატი.
- 8 -- 180 წლის წინათ (1837) დაიბადა ილია ჭავჭავაძე - მწერალი, საზოგადო მოღვაწე. ერის სულიერი მამა, წმინდა ილია მართალი. გარდაიცვ. 1907 წ.
- 13 -- 150 წლის წინათ (1867) დაიბადა დუტუ მეგრელი (დიმიტრი ხოშტარია) - პოეტი. გარდაიცვ. 1938 წ.
- 14 -- 95 წლის წინათ (1922) დაიბადა მურმან ლებანიძე - პოეტი. შრომის წითელი დროშის, „საპატიო ნიშნის“, ხალხთა მეცნიერების, ლირსების ორდენის კავალერი, თბილისის საპატიო მოქალაქე (1995), გალაკტიონ ტაბიძის სახელობის პრემიის ლაურეატი, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმ-

- წიფო პრემიის ლაურეატი, (1973). გარდა-
იცვ. 2002 წ.
- 17 -- 170 წლის წინათ (1847) დაიბადა გიორ-
გი შარვაშიძე - მწერალი, საზოგადო მოღ-
ვაწე. გარდაიცვ. 1918 წ.
- 21 -- 165 წლის წინათ (1852) დაიბადა ბე-
სარიონ ნიქარაძე. თავისუფალი სვანი -
პუბლიცისტი, ეთნოლოგი, ფოლკლორისტი,
საზოგადო მოღვაწე. გარდაიცვ. 1919 წ.
- 190 წლის წინათ (1827) დაიბადა მიხ-
აი ზიჩი - უნგრელი მხატვარი, „ვეფხ-
ისტურისანის“ დამსურათებელი. გარდა-
იცვ. 1906 წ.
- 25 -- 120 წლის წინათ (1897) დაიბადა ტერ-
ენტი გრანელი (ნამდვილი გვარია კვირკვე-
ლია) - პოეტი. გარდაიცვ. 1934 წ.
- 90 წლის წინათ (1927) თბილისში დაი-
ბადა თამაზ ჩხერიძელი - პოეტი, მთარგმნე-
ლი, ლიტერატურათმცოდნე. 2002 წ. მიენიჭა
თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება.
- დეკემბერი**
- 4 -- 200 წლის წინათ (1817) დაიბადა ნი-
კოლოზ (ტატო) ბარათაშვილი - პოეტი.
- გარდაიცვ. 1845 წ.
- 150 წლის წინათ (1867) დაიბადა შიო
არაგვისპირელი (დედაბრიშვილი) - მწერა-
ლი. გარდაიცვ. 1926 წ.
- 13 -- 220 წლის წინათ (1797) დაიბადა ჰაინ-
რიხ ჰაინრიხი - გერმანელი პოეტი, პუბლიცის-
ტი და კრიტიკოსი. გარდაიცვ. 1856 წ.
- 14 -- 120 წლის წინათ (1897) დაიბადა ნი-
კოლოზ (ნიკო) კეცხოველი - მეცნიერი,
მწერალი, საზოგადო მოღვაწე, ბიოლოგი-
ურ მეცნიერებათა დოქტორი (1937), საქა-
რთველოს მეცნიერებათა აკადემიის აკ-
ადემიურისი (1941), სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ყოფილი რექტორი, ლენინის სამი ორდენის,
სხვა ორდენებისა და მედლების კავალერი,
საქმაყილო ლიტერატურის დარგში შოთა
რუსთაველის სახელობის სახელმწიფო
პრემიის ლაურეატი (1975). გარდაიცვ. 1982
წ.
- 155 წლის წინათ (1862) სოფელ მირ-
ზაანში დაიბადა ნიკოლოზ ფიროსმანიშ-
ვილი (ნიკო ფიროსმანი) - თვითნასწავლი
მხატვარი. გარდაიცვ. 1918 წ.

ქრონიკა

საქართველოს საბიბლიოთეკო ცენტრების ქრონიკა: მოვლენები, ფაქტები

□ 28 ოქტომბერს ეროვნული ბიბლიოთეკის
მკითხველთათვის სატესტო რეზიმში ფუნ-
ქციონირება დაიწყო ახალმა ელექტრონულმა
კატალოგმა ინტეგრირებული საბიბლიოთე-
კო სისტემა სიერრა-ს სამოქმედობლო ინ-
ტერფენისმა catalog.nplg.gov.ge. ჯერჯერობით
ელექტრონულ კატალოგში ავტორიზაცია,
სისტემაში შესვლა, პირადი გვერდის მართვა
მკითხველებისათვის ხელმისაწვდომი არ
არის; მოგვიანებით ამ ფუნქციების გააქტი-
ურებით მკითხველი შეძლებს სასურველი
გამოცემის სახლიდან დაჯავშნა/გამოწერას,
ძიების დამახსოვრებას, ვადის გაგრძელებას
და ა. შ.

□ 10 ნოემბერს საქართველოს პარლამენ-
ტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში პარლამენ-
ტის თავმჯდომარებ დავით უსუფაშვილმა,
იგალიის რესპუბლიკის ელჩმა საქართვე-
ლოში ანტონიო ბარტოლიმ და ეროვნული
ბიბლიოთეკის გენერალურმა დირექტორმა

გიორგი კეკელიძემ იტალიური ბიბლიოთეკ-
ების გასახვების იტალიის ელჩმა ბიბლიოთეკას
გადასცა ხუთი ათასამდე წიგნი. ბიბლიოთეკ-
ების მესამე კორპუსში „ლიბერთი ლარბაზში“
განთავსდა.



» 11 ნოემბერს ეროვნული ბიბლიოთეკის
პროექტით „ეპკოლიბრიუმის“ ფარგლებში

წალების მუნიციპალიტეტის სოფელ ბარეთის ბიბლიოთეკას 400 წიგნი გადაეცა.



□ 15 ნოემბერს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა



„დედაენის“ პირველი გამოცემიდან 140-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონ-



ფერენცია. კონფერენცია ჩატარდა ეროვნული ბიბლიოთეკისა და საქართველოს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირის ინიციატივით. კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო ოთხმეტი მოსსენტა. კონფერენცი-




ის მუშაობაში მონაწილეობდნენ ქ. რუსთავის საჯარო სკოლების პედაგოგები, ქ. გორისა და ახალციხის სახელმწიფო უნივერსიტეტების პროფესორ-მასწავლებლები; ობილისიდან კონფერენციაზე მოსსენტებით გამოვიდნენ ი. გოგებაშვილის შემოქმედების მკვლევარები, „დედაენის“ საფუძველზე დაწყებითი განათ-

ლების სკოლებისათვის სახელმძღვანელოების გადამუშავების მეცნიერები, პრაქტიკოსი პედაგოგები.



□ 19 ნოემბერს საქართველოს პარლამენტის გენერალური დირექტორის მოადგილებ მირიან ხესიგაშვილმა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საზღვრისპირა სოფელ ტყაიას ბიბლიოთეკას წიგნები გადასცა.

□ 20 ნოემბერს ეროვნული ბიბლიოთეკა შეუერთდა მსვლელობას „რუსთაველი-დან რუსთაველით თავისუფლებამდე“. აქცია მიემდგნა რუსთაველის 850 წლის იუბილეს. ამასთან დაკავშირებით ეროვნული ბიბლიოთეკის მესამე კორპუსში მოეწყო „ვეფხისტეფაოსნის“ გამოცემების გამოფენა.



□ 24 ნოემბერს ქ. თბილისის 42-ე საქალაქო ბიბლიოთეკაში გაიმართა ბიბლიოთეკათმცოდნე მზია ტოვონიძის დაბადებიდან 70-ე წლისთავთან დაკავშირებული შეხვედრა. შეხვედრაზე წარადგინეს მ. ტოვონიძის ბიობიბლიოგრაფია, შემდგენელი ნ. აბუშვილი, რედაქტორი გ. თავისაშვილი. შეხვედრაზე ისაუბრეს 42-ე ბიბლიოთეკის აქტიურ საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მუშაობის შესახებ. წიგნის შსახებ ისაუბრეს პროფ. ა. ლორიამ, პროფ. ი. ფილაურმა-ლორიამ, ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა.



□ 30 ნოემბერს ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი გ. პეტრიძი შეხვდა პარლამენტის ახალ თავზღვრმარჯეს



ირაკლი კობახიძეს. საუბარი შეეხო ეროვნული ბიბლიოთეკის შემდგომი განვითარების აქტუალურ საკითხებს.

□ 3 დეკემბერს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში მოხ-



და შეხვედრა ბიბლიოთეკის ადამინისტრაციასა და ქურნალ „არტ-გენის“ წარმომადგენლებს შორის. ეროვნული ბიბლიოთეკა ქურნალ არტ-გენის გამომცემელი გახდა და გამოცხადდა, რომ უახლოეს მომავალში, ბიბლიოთეკას ფოლკლორის დარბაზი დაემატება.

□ 3 დეკემბერს ეროვნულ ბიბლიოთეკაში



გაიმართა პროექტის „ინტერნეტი ყველა სოფლის ბიბლიოთეკას“ დასკვნითი დონისძიება. წარმოდგენილი იყო პროექტით გათვალისწინებული დონისძიებების მიმდინარეობა. დონისძიებას ესწრებოდა საქართველოს პრეზიდენტის ადამინისტრაციის უფროსი გ. აბაშიშვილი.



□ 6 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე მარიამ ჯაში, უმრავლესობის ლიდერი არჩილ თალაკვაძე ესტუმრნენ. შეხვედრას ესწრებოდნენ იტალიის ელჩი საქართველოში ანტონიო ენრიკო ბარტოლი და საფრანგეთის საელჩოს წარმომადგენლები. „ეროვნულ ბიბლიოთეკას ექნება სრული მხარდაჭერა ამ შესანიშნავი პროექტების დასასრულებლად და ახლების განსახორციელებლად - განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ, ირაკლი კობახიძემ ბიბლიოთეკაში პირველი ოფიციალური ვიზიტისას. პარლამენტის თავმჯდომარემ ბიბლიოთეკის პირველ და მეორე კორპუსში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერა, გაეცნო ბიბლიოთეკის პროექტებს და მათ სრული მხარდაჭერა აღუოქვა.

ბიბლიოთეკების საყურადღებოდ!

საბიბლიოთეკო ცონდების განახლებისათვის ბიბლიოთეკებს ვურჩევთ აქტიური მონაწილეობა მიიღონ პროექტში „მატულიტერატურა“. ბიბლიოთეკებიდან გარიცხული მოძველებული საბიბლიოთეკო დოკუმენტების

ნაცვლად ისინი მიიღებენ ახალ გამოცემებს. ამ პროექტით აქტიურად სარგებლობენ ქ. გორისა და ქ. ზუგდიდის ცენტრალური ბიბლიოთეკები. ინფორმაცია ამის შესახებ იხილეთ გაზეთში: „პვირის პალიტრა“ - 2016 - №46 - 14-20 ნოემბერი, კორესპონდენციის ავტორი რუსულან შელია.

ნაროლი

პროფესიისადმი უსაზღვრო ერთგულებით

(მზია ჭელიძე)

Gზია ჭელიძის გარდაცვალება ციალა კალმახელიძის გარდაცვალების მეორმოცე დღეს დაემოხვა. მოკლე დროში ორი უერთგულესი კოლეგის დაკარგვა დიდი დანაკლისი აღმოჩნდა მოელი საბიბლიოთეკო საზოგადოებისა და მეგობართა ფართო წრისთვის.

მზია ჭელიძე ნათელი, ულამაზესი, კუმანისტი, ლვაწლმოსილი ბიბლიოგრაფი - ამ დარგის ნამდვილი პროფესიონალი იყო. ბრწყინვალე ორატორული ნიჭითა და მსახიობის მანერუბით გამოირჩეოდა, ღირსებით ასრულებდა თავის შრომით საქმიანობას. მუდამ გააჩნდა სიამაყის განცდა თავისი პროფესიისადმი.

მზია ჭელიძე ერთადერთი და ნანატრი ქალიშვილი იყო ნიკოლოზ ჭელიძის და მარიამ მაჩაიძის ინტელიგენტურ ოჯახში, სადაც ის მშობლების გავლენით აღიზარდა და ჩამოყალიბდა ინტელექტუალად. მამა, სპეციალობით ისტორიკოსი, განათლებისა და კულტურის დარგის დვაწლმოსილი მუშაკი, დღევანდელი საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი იყო წლების განმავლობაში. დედა - ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოკტორი, საქართველოს წამყვან უნივერსიტეტებში კითხულობდა ლექციებს.

მზია ჭელიძემ საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე გააგრძელა. წარჩინებით დამთავრებისთანავე დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკა-






დემიის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში მთავარ ბიბლიოგრაფიად მუშაობა. პარალელურად ამთავრებს მოსკოვის კულტურის ინსტიტუტის ასპირანტურას ბიბლიოგრაფიის სპეციალობით. ასპირანტურის დამთავრების შემდეგ 1962 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა ა.ს. პუშკინის სახ. თბილისის სახელმწიფო ჟედაგოგიურ (ახლანდელ ილიაზნის) უნივერსიტეტში ბიბლიოთეკადმიცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის კათედრის უფროს მასწავლებლად, შემდეგ მუშაობდა ამავე ფაკულტეტის დეპანად, შემდგომ საზოგადოებრივ პროფესიათა ფაკულტეტის დეპანად. ფაკულტეტის გაუქმების შემდეგ სიცოცხლის ბოლომდე ის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში მთავარი ბიბლიოთეკარის მოვალეობას ასრულებდა.

მზია ჭელიძის პირვენება ყოველთვის ასოცირდებოდა აქტიურ და პროფესიონალ ადამიანთან, რომელსაც აღზრდილი ჰყავს ათასობით სტუდენტი, კითხულობდა ლექციებს ბიბლიოგრაფმცოდნეობის ციკლის ისეთ დისციპლინებში როგორიცაა: ბიბლიოგრაფმცოდნეობის ზოგადი კურსი, ხელოვნებათმცოდნეობის ბიბლიოგრაფია, უცხოური ქვეყნების ლიტერატურის ბიბლიოგრაფია და სხვა.

აი, ის, რაც ქალბატონმა მზიამ დატოვა თავისი სამარადისო ხსოვნისათვის და მოსაგონარად.

ურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“ რედაქცია, კოლეგები და მეგობართა ჯგუფი

2016 წლის ნომრაზი





ინტერნეტი ყველა სოფლის ბიბლიოთეკას

ლანჩხუთის რაიონის, სოფელ აცანის ბიბლიოთეკარის რეცეპტი

ინგრედიენტი:

- პარტნიორების მხარდაჭერა
- კომპიუტერული ტექნიკის არსებობა ბიბლიოთეკაში
- ინტერნეტი
- ბიბლიოთეკის FB გვერდი
- ბროშურების გავრცელება
- მოსახლეობის ჩართულობა
- მოსახლეობისთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდება
- კომპიუტერული კურსები




მომზადების დრო:	2 კვირა
სირთულე:	
ყველაზე მეტად უხდება:	ახალგაზრდებში სიახლეების ათვისების მიმართ სურვილის გაჩენა და გაფართოება.

რა უნდა გააკეთოთ თქვენ:



- ღონისძიების საჭირო ინგრედიენტების მოსაძიებლად გაეცანით აცანის ბიბლიოთეკის მენიუს
- მომხმარებელთა რიცხვის გასაზრდელად ხელი შეუწყვეთ პროექტის საინფორმაციო კამპანიას
- ეცადეთ წიგნი და კომპიუტერი ერთმანეთს თანაბრად შეუთავსოთ
- გაიღრმავეთ კომპიუტერული უნარ-ჩევები
- მიაწოდეთ ხალხს მათთვის საჭირო ინფორმაცია



შეფ-მზარეულის რჩევები:

თქვენი მიზანი ბიბლიოთეკის არა მხოლოდ კარგ სამკითხველოდ, არამედ - საზოგადოებისთვის საყვრელ თავშეყრის ადგილად გადაქცევა უნდა იყოს.



ეილოცავაზო
ქოძა-ახალ წელს!